



**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და
თვითსერტიფიცირების ანგარიშების საერთაშორისო ანალიზი:
სომხეთის, თურქეთის, ლატვიის, ხორვატიის, იტალიისა და
უნგრეთის მაგალითებზე**

დოკუმენტის აღწერა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (GEOREF)“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკომისიის ერაზმუს+პროგრამის მიზნობრივი დაფინანსებითა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესი, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება და ბოლონიის პროცესის ძირითადი რეკომენდაციაა.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰარმონიზებასა და შესაბამისობის დადგენას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF-LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA). აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სისტემის ცნობადობის ამაღლებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციების თავსებადობის დადგენას.

რეფერენსირების პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა. სხვადასხვა ქვეყნის რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების გაანალიზება წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც:

- უზრუნველყოფს განსხვავებული მიდგომებისა და მექანიზმების შეფასებას;
- გამოავლენს წარმატებულ პრაქტიკებს;
- ხელს შეუწყობს შესაძლო გამოწვევებისა და რისკების თავიდან აცილებას;
- ხელს შეუწყობს პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული საუკეთესო მოდელების გათვალისწინებით.

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით, პროექტის ფარგლებში შეარჩიეს რიგი ქვეყნები, რომელთა რეფერენსირებისა და თვითშეფასების ანგარიშები საფუძვლიანად



განალიზდა. შერჩევისას გაითვალისწინეს როგორც გეოგრაფიული, ასევე სისტემური და ინსტიტუციური მრავალფეროვნება, რაც ანალიზის სიღრმისეულობას უზრუნველყოფს.

კერძოდ, შეისწავლეს შემდეგი ქვეყნების გამოცდილებები:

- მეზობელი ქვეყნები - თურქეთი და სომხეთი;
- პოსტსაბჭოთა ქვეყანა - ლატვია.
- ევროკავშირის წევრი ქვეყნები - იტალია, უნგრეთი და ხორვატია.

მოცემული ანალიზი იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროცესის ეფექტიანობას, ხარისხიანობასა და საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაციას ევროპული განათლების სივრცეში.

სამუშაო ჯგუფი:

ნათია ვაჭარაძე

ნინო გოგლიჩიძე

სოფო გაფრინდაშვილი

ხატია ცირამუა

თემური თექეთუმანიძე



სარჩევი

I.	სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების ანგარიში (2017 წელი)...	9
1.1	ინფორმაცია სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ	10
1.2	თვითსერტიფიცირების ანგარიშის სტრუქტურა.....	11
1.3	სომხეთის განათლების სისტემის აღწერა	12
1.4	სწავლის შედეგების აღწერა; სწავლის შედეგების მაგალითები.....	15
1.5	შემთხვევები, სადაც გვხვდება ევროპული მეტაჩარჩოების დონეებისაგან განსხვავებული დონეები ან/და კვალიფიკაციები	18
1.6	თვითსერტიფიცირების პროცედურები	23
1.7	ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, მათ შორის ავტომატური აღიარება	25
1.8	ეროვნული განათლების სისტემისა და ჩარჩოების გამოწვევები; განვითარების სამომავლო გეგმები.....	26
1.9	საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება, გაზიარებულ იქნას;.....	27
1.10	შეჯამება	28
II.	თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება და თვითსერტიფიცირება (2016 წელი).....	29
2.1	თურქეთის რეფერენსირების/თვითსერტიფიცირების ანგარიშის შესახებ მოკლე ინფორმაცია	30
2.2	დოკუმენტის სტრუქტურა	31
2.3	განათლების სისტემის აღწერა.....	34
2.3.1	განათლებისა და კვალიფიკაციების სისტემა MoNE-ის პასუხისმგებლობის ქვეშ	36
2.3.2	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	37
2.3.3	პროფესიული და ტექნიკური საშუალო განათლება	37
2.3.4	სპეციალური განათლება.....	38
2.3.5	არაფორმალური განათლება	38
2.3.6	არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება.....	39
2.4	თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო	39



2.5 სწავლის შედეგების აღწერა, სწავლის შედეგების მაგალითები	41
2.6 ხარისხის უზრუნველყოფა	50
2.6.1 ხარისხის უზრუნველყოფა მე-5 კრიტერიუმის კონტექსტში	50
2.6.2 განათლების სამინისტროს კომპეტენციას დაქვემდებარებული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა	51
2.6.3 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ვალიდაცია;	52
2.6.5 თვითშეფასება და გარე შეფასება	52
2.7 ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, მათ შორის ავტომატური აღიარება	57
2.8 ეროვნული განათლების სისტემისა და ჩარჩოების გამოწვევები	57
2.9 განვითარების სამომავლო გეგმები	58
2.10 საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება გაზიარებულ იქნას	58
III. ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების და რეფერენსირების ანგარიში (2018 წელი)	59
3.1 ინფორმაცია ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ	60
3.2 რეფერენსირების ანგარიშის სტრუქტურა	60
3.3 განათლების სისტემის აღწერა	62
3.4 სწავლის შედეგების აღწერა	64
3.5 ხარისხის უზრუნველყოფა	65
3.6 ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, მათ შორის ავტომატური აღიარება	66
3.7 ეროვნული განათლების სისტემისა და ჩარჩოების გამოწვევები	67
IV. ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების და რეფერენსირების ანგარიში (2024 წელი)	68
4.1 ინფორმაცია ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ (CROQF)	69
4.2 რეფერენსირების ანგარიშის სტრუქტურა	70
4.3 ხორვატიის განათლებისა და ტრენინგების სისტემა	71
4.4 განათლების ხარისხის უზრუნველყოფა	73
4.5 არაფორმალური განათლების აღიარება	73



4.6 ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემდგომი განვითარების საკითხები	74
V. იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიში (2022 წელი).....	75
5.1 იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და მისი რეფერენსირების პროცესის მიმოხილვა.....	76
5.2 დოკუმენტის სტრუქტურა	79
5.3 იტალიის განათლების სისტემის აღწერა.....	81
5.3.1 საწყისი განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემა	82
5.3.2 ინტეგრირებული სისტემა 0-6 წელი (სკოლამდელი განათლება)	83
5.3.4 განათლების პირველი ციკლი.....	84
5.3.5 განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მეორე ციკლი	85
5.3.6 სკოლისშემდგომი უმაღლესი ტექნიკური განათლება და მომზადება	88
5.3.7 უმაღლესი განათლებისა (Tertiary) და მომზადების სისტემა.....	89
5.3.8 უმაღლესი ტექნიკური პროფესიული განათლების კურსები, რომლებიც ინიცირებულია უმაღლესი ტექნოლოგიური ინსტიტუტების (ITS აკადემია) მიერ	89
5.3.9 უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება	91
5.3.10 უმაღლესი განათლება ხელოვნებასა და მუსიკაში.....	93
5.3.11 სხვა კურსები, რომლებიც ორგანიზებულია სპეციალური დანიშნულების ინსტიტუტების მიერ	96
5.3.12 ზრდასრულთა განათლების სისტემა	97
5.3.13 რეგიონული პროფესიული მომზადების სისტემა	99
5.3.14 რეგულირებადი პროფესიები	102
5.3.15 არარეგულირებული პროფესიები	104
5.3.16 არაფორმალური სწავლების შეთავაზება	105
5.3.17 იტალიური კვალიფიკაციების სისტემები: სქემატური დიაგრამები, NQF ვიზუალური იდენტობა და მითითების სინოპტიკური ცხრილი	106
5.3.18 კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების აღიარების ინსტრუმენტები იტალიაში	111
5.3.19 NQF-ის სტრუქტურა და ტექნიკური სპეციფიკაციები.....	111
5.3.20 რეფერენსირების პროცესისა და ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ხარისხის უზრუნველყოფა განათლებასა და სწავლებაში	115
5.4 დასკვნა	118



VI. უნგრეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების და რეფერენსირების ანგარიში (2015 წელი).....	120
6.1 ინფორმაცია უნგრეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ	121
6.1 ეროვნულ დონეზე ჩარჩოს განვითარების ეტაპები	121
2005 - კონსულტაცია EQF-ზე: პასუხად უნგრული პოზიციის ამსახველი დოკუმენტის მომზადება; ..	121
6.2 თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირების ანგარიშის სტრუქტურა	122
6.2.1 სექციები	122
6.2.2 დოკუმენტის სრული სტრუქტურა	122
6.3 უნგრეთის განათლების სისტემა	124
6.3.1 ასაკობრივი განაწილება და სპეციფიკაციები	124
6.3.2 სისტემის მახასიათებლები და კრიტიკული ასპექტები	125
6.3.3 პროფესიული საშუალო სკოლები	126
6.3.4 პროფესიული სკოლები (Vocational Schools)	126
6.3.5 განათლების პროფილის/მიმართულების შეცვლის მოქნილობა	127
6.3.6 უმაღლესი განათლება	127
6.3.7 სპეციალური პროგრამები	127
6.3.8 მეორე შანსის პროგრამები	128
6.3.9 ზრდასრულთა განათლების პროგრამები	128
6.4 სწავლის შედეგების აღწერა	130
6.4.1 ძირითადი ორიენტირები	130
6.5 ხარისხის უზრუნველყოფა	131
6.5.1 ძირითადი პუნქტები	132
6.5.2 ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები	132
6.5.3 ინსტიტუციური ჩარჩო	132
6.5.4 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროში	133
6.5.5 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ზრდასრულთა განათლების სფეროში	133
6.5.6 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უმაღლესი განათლების საფეხურზე	134
6.6 კვალიფიკაციის დონეების შესაბამისობა მეტა ჩარჩოებთან	134
6.6.1 HuQF და EQF შედარებითი ანალიზი	134



6.6.2 კვალიფიკაციები HuQF დონეებზე	137
6.7 არაფორმალური განათლების აღიარება	139
6.8 უნგრეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გამოწვევები და სამომავლო გეგმები	139
6.9 ანგარიშის შესწავლისას გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკა	140



I. სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების ანგარიში (2017 წელი)



1.1 ინფორმაცია სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ

სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მთავრობის დადგენილებით (№332-N) დამტკიცდა 2011 წლის მარტში, ხოლო განახლებული ჩარჩო დამტკიცებულია 2016 წელს მთავრობის № 714-N დადგენილებით. სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აქვს რვა დონიანი სტრუქტურა და მოიცავს ზოგად განათლებას, პროფესიული განათლებისა და მომზადებისა და უმაღლესი განათლების დონეებს. უმაღლესი განათლების საფეხურები განთავსებულია ჩარჩოს VI-VIII დონეებზე. სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ჩართულია მხოლოდ ფორმალური კვალიფიკაციები და ჩარჩოში არაფორმალური კვალიფიკაციების შეტანის მექანიზმები არ არის შემუშავებული. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართავს სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

სომხეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებია:

- დააკავშიროს კვალიფიკაციის სხვადასხვა დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს იერარქიაში ყველაზე დაბლიდან - უმაღლესამდე;
- სომხური კვალიფიკაციის დაკავშირება სხვა ქვეყნების კვალიფიკაციასთან, საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისთვის;
- მსწავლეებს მისცეს კვალიფიკაციების მოპოვების; მისი სხვადასხვა მიზნით გამოყენების/პორტატულობისა და ჩარჩოს ერთი დონიდან მეორეზე პროგრესიის შესაძლებლობა.

(წყარო:

<https://www.etf.europa.eu/sites/default/files/document/Armenia.pdf>)

სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების ანგარიში შემუშავდა ევროპის კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის: TEMPUS ARMENQA პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და დარგობრივი კვალიფიკაციების ჩარჩოების დანერგვას. სომხეთში უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე 2009 წელს დაიწყო მუშაობა უმაღლესი განათლების ჩარჩოზე, ხოლო 2012 წელს სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებით დაიწყო ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცესი. თვითსერტიფიცირების ანგარიშის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვადასხვა უნივერსიტეტის, ასევე აკადემიური აღიარებისა და მობილობის ეროვნული საინფორმაციო



ცენტრის (ARMENIC), სომხეთის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო (ANQA), პროფესიული განათლებისა და ტრენინგების მომზადების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები და ორი უცხოელი ექსპერტი. სხვა ქვეყნების რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების ანგარიშების შესწავლის საფუძველზე და დაინტერესებულ მხარეებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შემუშავებულიყო თვითსერტიფიცირების ანგარიში სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების - უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (QF-EHEA) კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

1.2 თვითსერტიფიცირების ანგარიშის სტრუქტურა

აბრევიატურები

წინასიტყვაობა

1. სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირება უმაღლესი განათლებისთვის

1.1 თვითსერტიფიცირების მიზანი

1.2 თვითსერტიფიცირების პროცესი

2. სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემა

2.1 უმაღლესი განათლების სტრუქტურა

2.2 უმაღლესი განათლების მართვა და დაფინანსება

2.3 ხარისხის უზრუნველყოფა

2.4 სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

3. თვითსერტიფიცირების კრიტერიუმები და პროცედურები

- კრიტერიუმი 1
- კრიტერიუმი 2
- კრიტერიუმი 3
- კრიტერიუმი 4



- კრიტერიუმი 5
- კრიტერიუმი 6
- კრიტერიუმი 7

4. თვითსერტიფიცირების პროცედურები

- პროცედურა 1
- პროცედურა 2
- პროცედურა 3
- პროცედურა 4
- პროცედურა 5
- პროცედურა 6

5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და კონსულტაციები

დანართები

1.3 სომხეთის განათლების სისტემის აღწერა

სომხეთში ზოგადი განათლების ხანგრძლივობაა 12 წელი. ზოგადი განათლება შედგება დაწყებითი, საბაზო და უმაღლესი (საშუალო) საფეხურებისგან. მომდევნო საფეხურებზე ხელმისაწვდომია პროფესიული უმაღლესი და დიპლომისმდგომი განათლება.

სომხეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შესაძლებელია, იყვნენ საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო ინსტიტუტი, აკადემია და კონსერვატორია.

ამჟამად ARMENQA-ს ვებგვერდზე მითითებულია, რომ 70 უსდ-ს მინიჭებული აქვს ინსტიტუციური აკრედიტაცია.

უმაღლესი განათლების პროვაიდერები არიან ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, აკადემიები და კონსერვატორია. საგულისხმოა, რომ 2025 წელს ANQA-ს ვებგვერდზე საქველმოქმედო ფონდიცაა უსდ-დ მითითებული, "My Step" Charity Foundation" ასევე უსდ-დ მოიაზრება. ასევე მითითებულია სომხეთის პოლიციის საგანმანათლებლო კომპლექსი: Educational Complex of Police of the RA.



უმაღლესი განათლება განთავსებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამ დონეზე.

NQFA - VI დონე, QF EHEA- VI დონე, ბაკალავრიატი – პროგრამის მოცულობაა 180-240 კრედიტი; ხანგრძლივობა 3-4 წელი. დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან პროფესიული განათლების დიპლომი და ერთიანი მისაღები გამოცდების ჩაბარება.

NQFA - VII დონე, QF EHEA- VII დონე, მაგისტრატურა – მოცემულ საფეხურზე გვხვდება სამაგისტრო პროგრამები 1 ან 2 წლის ხანგრძლივობითა და 60-120 კრედიტის მოცულობით. ინტეგრირებული პროგრამები: მედიცინა - 360 კრედიტი (ხანგრძლივობა არანაკლებ 6 წელი); სტომატოლოგია 300 კრედიტი (ხანგრძლივობა არანაკლებ 5 წელი); და კლინიკური სარეზიდენტო პროგრამები. აღნიშნული პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

უწყვეტი სამედიცინო განათლებისთვის, მედიცინის სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობისთვის VII დონეზე ასევე შემოთავაზებულია კლინიკური რეზიდენტურის პროგრამები, რომელთა ხანგრძლივობა დამოკიდებულია საექიმო სპეციალიზაციაზე და მერყეობს 1-დან – 5 წლამდე. კურსდამთავრებულს ენიჭება ექიმის კვალიფიკაცია „Doctor in medicine“. საგულისხმოა, რომ განათლების სისტემის სქემაში, რომელიც შედარებით ახალი გამოქვეყნებულია, მითითებულია 2-5 წელი და კრედიტების მოცულობაც არანაკლებ 120-ია.

NQFA - VIII დონე, QF EHEA- VIII დონე, დოქტორანტურა – წარმოდგენილია სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონეზე, უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურზე. დოქტორანტურაში დაიშვებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები; დოქტორანტურის პროგრამების სავარაუდო მოცულობაა 180 კრედიტი და მათი ხანგრძლივობაა 3-4 წელი. თვითსერტიფიცირების ანგარიშის თანახმად, დოქტორის კვალიფიკაციის მიმნიჭებული პროგრამები კრედიტებით არ გამოითვლება, თუმცა სქემაში მითითებულია კრედიტების სავარაუდო ოდენობა. სადოქტორო ნაშრომის წარმატებით დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მეცნიერებათა კანდიდატის ან მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი. გასათვალისწინებელია, რომ ანგარიშში არ არის მითითებული განსხვავება ამ ორ კვალიფიკაციას შორის, თუმცა ANQA-ს ვებ-გვერდზე მითითებულია შემდეგი განმარტება: „ტრადიციულად სომხეთში სადოქტორო განათლება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ნაწილი იყო და ორი სამეცნიერო (კვლევითი) კვალიფიკაციისაგან შედგებოდა: მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი




(Candidate of Sciences and Doctor of Sciences) მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაცია, როგორც წესი, სამწლიანი სრული დატვირთვის პროგრამაა, რომელიც მოიცავს საკუროს ნაშრომის შესრულებასა და მის საჯარო დაცვას. მეცნიერებათა დოქტორის კვალიფიკაციას ორი მიმართულება აქვს: სადოქტორო ნაშრომის ან დამოუკიდებელი რეცენზირებული კვლევის შესრულება, რომელსაც მოსდევს დისერტაციის საჯარო დაცვა. ორივე სადოქტორო კვალიფიკაცია ტრადიციულად განიხილება აკადემიური კარიერის გზებად¹.

მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა მაგისტრის ან დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი.

გამოსახულება 1.1. სომხეთის განათლების სისტემა

¹ წყარო: <https://www.anqa.am/en/internationalization/documents/criteria-standards-and-guideline-for-quality-assurance-of-doctoral-education-in-the-republic-%D6%85f-armenia/>



1.4 სწავლის შედეგების აღწერა; სწავლის შედეგების მაგალითები

დოკუმენტში მოცემულია სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის შედეგების შედარება QF-EHEA-ს ჩარჩოს დონის აღმწერებთან. პროგრამულ დონეზე სწავლის შედეგების მაგალითები და მათი შესაბამისობა ჩარჩოს დონის აღმწერებთან არ არის



წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ მწვანე, წითელი და ლურჯი ფერი აქვთ გამოყენებული აღმწერებში იმ მონაკვეთების მისათითებლად, რომლებშიც ვლინდება სრული შესაბამისობა, განსხვავებები, ან რომელიც სომხეთის ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებითაა დამატებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში.

მაგალითი:

	NQFA-HE	QF EHEA
Knowledge	Demonstrates advanced knowledge and understanding of basic and state-of-the-art concepts, theories and methods within the field of professional work or study.	Advanced knowledge of a field of work or study, involving a critical understanding of theories and principles
Skills	Can apply acquired knowledge and understanding, basic principles and methods of the field for solving problems during the professional work or study. Can communicate and explain information, arguments, ideas, problems and their solutions that are related to the given field to the specialist and non-specialist audiences. Can apply ICTs to solve problems and intensify work in the specialty area. Can collect, process, analyse and interpret relevant quantitative and qualitative data within the specialty area to make reasonable judgments.	Advanced skills, demonstrating mastery and innovation, required to solve complex and unpredictable problems in a specialized field of work or study



	Can analyse and make judgments applying critical thinking, as well as demonstrate creativity to identify and provide different solutions to the problems of the specialty area.	
Competence	Can undertake full-fledged professional activity, manage professional functions and projects, and make autonomous decisions. Can manage working team and take on responsibility for the professional activity of its members. Is able to identify one's educational needs and/or career opportunities to decide on the ways of further study. Is able to take personal responsibility for the nation and the State, follow up the realization of democratic principles and dissemination of national and human values.	Manage complex technical or professional activities or projects, taking responsibility for decision-making in unpredictable work or study contexts; take responsibility for managing professional development of individuals and groups.



1.5 შემთხვევები, სადაც გვხვდება ევროპული მეტაჩარჩოების დონეებისაგან განსხვავებული დონეები ან/და კვალიფიკაციები

საგულისხმოა, რომ კრიტერიუმების ფორმულირებები მოდიფიცირებულია იმის გათვალისწინებით, თუ რა ნაწილში შეესაბამება სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და განათლების სისტემა აღნიშნულ კრიტერიუმებს. მაგალითად, რეფერენსირების კრიტერიუმში N3 ინგლისურ ენაზე ვხვდებით შემდეგ აღწერას: „NQFs and their qualifications are based on learning outcomes, linked to validation of non-formal and informal learning, and, where appropriate, credit systems.“ საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის დოკუმენტში კრიტერიუმი N3 შემდეგი ფორმულირებით გვაქვს წარმოდგენილი: „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ან სისტემა და მისი კვალიფიკაციები ეფუძნება სწავლის შედეგების პრინციპსა და მიზანს და უკავშირდება არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობებსა და კრედიტების სისტემას“. სომხეთის თვითსერტიფიცირების ანგარიში: „კრიტერიუმი N3: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ან სისტემა და მისი კვალიფიკაციები ეფუძნება სწავლის შედეგების პრინციპსა და მიზანს და კვალიფიკაციები დაკავშირებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS) ან მასთან შესადარის სისტემასთან.“ სომხეთის თვითსერტიფიცირების ანგარიშში მე-3 კრიტერიუმის აღწერაში საერთოდ არ ჩანს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საკითხი.

ამასთან დოკუმენტის ავტორები მიუთითებენ, რომ კონკრეტული კრიტერიუმის დაკმაყოფილებისთვის რიგი რეფორმებია გასატარებელი ან გარკვეული აქტივობებია შესასრულებელი, თუმცა საბოლოო ჯამში სომხეთის განათლების სისტემა თვითსერტიფიცირების კრიტერიუმთან შესაბამისად არის ჩათვლილი, იხ. კრიტერიუმი N3 და კრიტერიუმი N4.

მედიცინის დიპლომის შემდგომი სარეზიდენტო პროგრამა, რომელიც განთავსებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეზე. დაშვების წინაპირობაა MD Medical Doctor კვალიფიკაცია. პროგრამა ამზადებს სამხედრო ექიმებს ან სპეციალისტებს სხვადასხვა საექიმო მიმართულებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 2-5 წელი, და მოცულობა შეადგენს 120-300 კრედიტს. მხოლოდ აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ ეძლევათ პირებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება. საგულისხმოა, რომ პროგრამის წარმატებით დასასრულებლად საჭიროა საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება და გამოსაშვები გამოცდის ჩაბარება. კურსდამთავრებულს ენიჭება ინტერნის (სამხედრო მედიცინის მიმართულების



არჩევის შემთხვევაში) ან რეზიდენტის (საექიმო საქმიანობის სხვა ვიწრო სფეროს არჩევის შემთხვევაში) კვალიფიკაცია.

სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების კომიტეტმა დაადგინა, რომ სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო უმაღლესი განათლების ნაწილში შესაბამისობაშია ბოლონიის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ თვითსერტიფიცირების 7 კრიტერიუმთან და 6 პროცედურასთან. შემოწმების მიზანი იყო თავსებადობის დადგენა და არა სრული შესაბამისობის განსაზღვრა სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების საფეხურების აღმწერებსა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებთან (დუბლინის დესკრიპტორებთან). შემოწმება მიზნად ისახავდა პროცესის წარმართვას კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით, ასევე იმაში დარწმუნება, რომ შემოწმების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

კრიტერიუმი N1: სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების განვითარებაში ჩართული ეროვნული უწყებების ფუნქციები ან/და კომპეტენციები მკაფიოდ განსაზღვრულია და გასაჯაროებულია - კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო შეიქმნა სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. სამუშაო ჯგუფმა უსდ-ებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელთა ჩართულობით შეიმუშავა უმაღლესი განათლების დონეების აღმწერები, რომლებიც ითვალისწინებდა ჩართული მხარეების მოსაზრებებს. საბოლოო სახით აღნიშნული ჩარჩო 2016 წელს დამტკიცდა. TEMPUS ARMENQA პროექტის ფარგლებში შემუშავდა ჩარჩოს დანერგვის 5-წლიანი გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იყო ვადები და დანერგვაზე პასუხისმგებელი მხარეები.

კრიტერიუმი N2: არსებობს მკაფიო და თვალსაჩინო კავშირი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ან სისტემის დონეებსა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების აღმწერებს შორის - კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ამ კრიტერიუმით სრული თავსებადობა არ არის მოთხოვნილი, თუმცა კომიტეტმა გააანალიზა და შეადარა ევროპული მეტა ჩარჩოების აღმწერები სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებს და გამოიკვეთა შესაბამისობა არა მხოლოდ EHEA-ს ჩარჩოსთან არამედ, EQF LLL-თანაც, სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებში დონეების მიხედვით



იზრდება ცოდნისა და გაცნობიერების სიღრმისეულობა, უნარების კომპლექსურობა და კომპეტენციების (პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის) ხარისხი. სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო აგებულია იმავე ლოგიკით და იგივე სტრუქტურა და იერარქია აქვს, როგორც EHEA-ს ჩარჩოს, იმ განსხვავებით, რომ სომხეთის კვალიფიკაციების ჩარჩოში არ გვხვდება მოკლე ციკლის (ასოცირებული ხარისხის პროგრამები) და უმაღლესი განათლება იწყება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონიდან. სომხეთი სამსაფეხურიან უმაღლესი განათლების სისტემაზე გადავიდა 1991 წლიდან, ხოლო 2007 წლიდან გადავიდა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაზე ECTS. სომხეთის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის შედეგების ზოგიერთი აღმწერი მორგებულია სომხეთის რესპუბლიკის სპეციფიკაზე და სხვაგვარი ფორმულირებითაა ჩამოყალიბებული, განსხვავდება EHEA-ს ჩარჩოს აღმწერებისაგან. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ანგარიშში მოყვანილია უმაღლესი განათლების საფეხურზე სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებისა და EHEA-ს ჩარჩოს აღმწერების შედარება, სადაც მწვანედ დაფერილია შინაარსობრივი შესაბამისობა, წითლად განსხვავებები და ლურჯად დამატებითი სწავლის შედეგები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად მე-2 კრიტერიუმი, მიუხედავად ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით განსვავებებისა და უფრო ზოგადი ღირებულებითი კომპეტენციების დამატებისა, მიჩნეულია შესაბამისად.

კრიტერიუმი N3: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ან სისტემა და მისი კვალიფიკაციები ეფუძნება სწავლის შედეგების პრინციპსა და მიზანს და კვალიფიკაციები დაკავშირებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS) ან მასთან შესადარის სისტემასთან.

სომხეთის უმაღლესი განათლება სამსაფეხურიანია, ევროპული განათლების სისტემასთან ინტეგრირების პოლიტიკის გამო, რიგი კვალიფიკაციები შეიცვალა. საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილია სწავლის შედეგებით: ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც უკავშირდება პოტენციურ შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ მახასიათებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიულ მიღწევებს კონკრეტულ სწავლის სფეროში. სტრატეგიული გეგმის თანახმად, უსდ-ებში განახლებული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვა 2017-2018 წლებში უნდა დაწყებულიყო, ამისთვის შემუშავდა დარგობრივი კვალიფიკაციების ჩარჩოები (დარგობრივი მახასიათებლები) სოფლის მეურნეობის, სამართლის, განათლების, ფიზიკისა და სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით, რომლებიც განიხილებოდა სახელმძღვანელო ინსტრუმენტად პროგრამების შემუშავებისას. სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემაში არაფორმალური განათლების აღიარების საკანონმდებლო მექანიზმები არ არსებობს. თუმცა ანგარიშში მითითებულია, რომ უსდ-ებს შეუძლიათ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება უნივერსიტეტს მიღმა მოპოვებული სწავლის შედეგების აღიარებაზე. საგულისხმოა, რომ 1 ECTS კრედიტი სომხეთში 27 საათს უტოლდება.



საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა 180-240 ECTS კრედიტი; სამაგისტრო პროგრამის 60-120 ECTS კრედიტი, ხოლო სადოქტორო პროგრამის 180 ECTS კრედიტი. თვითსერტიფიცირების კომიტეტის მოსაზრებით, არაფორმალური და ინფორმალური განათლების ფარგლებში მოპოვებული სწავლის შედეგების ვალიდაციისა და აღიარების მექანიზმების შექმნისთვის სტრუქტურირებული სამუშაოებია შესასრულებელი, თუმცა ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

კრიტერიუმი N4: პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების ასახვას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ან აღწერს კვალიფიკაციების ადგილს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემაში, გამჭვირვალეა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ იგეგმება სომხეთის კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნა, ჩარჩოში კვალიფიკაციის დამატებაზე პასუხისმგებელი ორგანოა სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია შემდეგი 13 კრიტერიუმით უნდა აღიწეროს: კვალიფიკაციის დასახელება; კვალიფიკაციის სწავლის სფერო ან ქვე-სფერო; კვალიფიკაციის დონე/საფეხური; კვალიფიკაციის დასაბუთება; კვალიფიკაციის მიზანი; დატვირთვა ECTS კრედიტებში; კვალიფიკაციაზე დაშვება; საერთაშორისო შესადარისობა (ბენჩმარკები); კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა ინტეგრირებული, (ატესტაცია/შეფასება); აკადემიური/პროფესიული სფეროები; შემდგომ საფეხურზე პროგრესიის შესაძლებლობები; დაკავშირებული სწავლის სფეროები (ინტერ/მულტი დისციპლინური). ანგარიშის თანახმად, რეესტრს კოორდინირებას გაუწევს სამინისტროს ფარგლებში შექმნილი სპეციალური ორგანო.

კრიტერიუმი 5: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სისტემა უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს და შეესაბამება ბერლინის კომუნიკს და ნებისმიერ შემდგომ კომუნიკს, რომელიც შეთანხმებულია ბოლონიის პროცესში მინისტრების მიერ.

სომხეთში ფორმალური განათლება უმაღლესი განათლების საფეხურზე, ექვემდებარება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. უმაღლესი განათლების პროგრამულ და ინსტიტუციურ აკრედიტაციას. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო ANQA, რომელიც 2008 წელს შეიქმნა და ENQA-ს სრული წევრია. აღნიშნული სააგენტო ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე. აკრედიტაციის სტანდარტები ESG-ის მოთხოვნების გათვალისწინებით 2011 წელს შემუშავდა. პროგრამული აკრედიტაცია არ არის სავალდებულო, თუმცა ინსტიტუციური აკრედიტაციისას 2 პროგრამა

მოწმდება დეტალურად და დგინდება პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროგრამულ დონეზე არის 7 სტანდარტი:

1. აკადემიური პროგრამების შემუშავება და დამტკიცება;
2. აკადემიური პერსონალი;
3. სწავლებისა და სწავლის პრაქტიკები;
4. სტუდენტთა შეფასება;
5. კვლევა და განვითარება;
6. სასწავლო გარემო;
7. ხარისხის უზრუნველყოფა.

ამ კრიტერიუმების თანახმად, აკადემიური პროგრამების შესაბამისობა სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან სავალდებულო მოთხოვნაა როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის დროს.

კრიტერიუმი 6: ეროვნული ჩარჩო და ნებისმიერი შესაბამისობა ევროპულ ჩარჩოსთან, მითითებულია დიპლომის ყველა დანართში

2007/2008 სასწავლო წლიდან სომხეთის ყველა უსდ ვალდებულია, გასცეს დიპლომის დანართი სომხურ და ინგლისურ ენაზე, რომელიც ითვალისწინებს სომხეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა, უსდ-ებს ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შესაძლებელია, განსხვავებული დანართებიც ჰქონდეთ. დანართში მკაფიო მითითებაა სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და უმაღლესი განათლების საფეხურზე, ფორმა გადაიხედება რეფერენსირების პროცესის წარმატებით გავლის შემდგომ, რათა მიეთითოს შესაბამისობა EHEA-ს ჩარჩოსთან.

კრიტერიუმი 7: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვაზე მხარეების პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული და გასაჯაროებული.

სომხეთის მთავრობის დადგენილებებით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გარდა ამისა, სამინისტრომ შექმნა ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული კვალიფიკაციების განვითარების მხარდაჭერაზე, რომელიც კოორდინაციას უწევს კვალიფიკაციის ვალიდაციას და მათ კვალიფიკაციების რეესტრში შეტანას. ჩარჩოს მართვაზე ასევე პასუხისმგებელია სომხეთის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი ANQA და სომხეთის აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრი. ჩარჩოს დანერგვა პროგრამულ



დონეზე უსდ-ების პასუხისმგებლობაა, რომლებიც პროგრამების შემუშავებისას უნდა ეყრდნობოდნენ სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომას. ამასთან, ზემოაღნიშნულ ორგანოებს შორის ანგარიშის შემუშავების დროისთვის არ იყო სამართლებრივად განაწილებული უფლება-მოვალეობები და აღნიშნული იგეგმებოდა 5 წლის განმავლობაში.

1.6 თვითსერტიფიცირების პროცედურები

პროცედურა 1: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპულ ჩარჩოსთან თავსებადობის დადგენას, თვითსერტიფიცირებას ახორციელებს კომპეტენტური ეროვნული ორგანო ან ორგანოები .

რეფერენსირების პროცესში მონაწილეობდა სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული სამეთვალყურეო კომიტეტი, რომელშიც წარმოდგენილია რექტორთა საბჭო, სტუდენტური ორგანიზაცია, სომხეთის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო (ANQA), უმაღლესი სასერტიფიკაციო კომისია² და საერთაშორისო ექსპერტები. საბჭომ რეფერენსირების პროცესში შეიმუშავა ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები მოახსენა სამინისტროს. ანგარიშის პროექტი გაეცნო შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით მომზადდა საბოლოო ანგარიში. ანგარიშის საბოლოო ვერსია ფართოდ განიხილებოდა მათ შორის სხვა დარგობრივი სამინისტროების მიერაც. საბოლოო ვარიანტი დასამტკიცებლად წარედგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. თვითსერტიფიცირების ანგარიში გამოქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ საიტზე.

პროცედურა 2: თვითსერტიფიკაციის პროცესი უნდა მოიცავდეს შესაბამის ქვეყანაში ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოების გაცხადებულ თანხმობას, როგორც ეს აღიარებულია ბოლონიის პროცესით.

სომხეთის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო (ANQA) არის სომხეთში საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანო. თვითსერტიფიცირების ანგარიში დაიწერა ANQA-სთან, მასთან აფილირებულ აკრედიტაციის კომიტეტის წევრებთან აქტიური

² ეს კომისია სომხეთის კანონმდებლობის შესაბამისად, დისერტაციების განხილვისა და დაცვის საფუძველზე, ცენტრალიზებულად ანიჭებს დოქტორის PHD და მეცნიერებათა დოქტორის Doctor of Science კვალიფიკაციებს. ასევე ანიჭებს ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის წოდებას და ადგენს დოქტორანტურის საფეხურზე საზღვარგარეთ მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობას სომხეთის სადოქტორო კვალიფიკაციებთან.



კონსულტაციების შედეგად. ანგარიში ზემოაღნიშნული და დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრთან კონსულტაციების პირდაპირი შედეგია. ამ ანგარიშში ასახული ყველა ფორმულირება/განაცხადი ფართო კონსენსუსის საფუძველზე შემუშავდა ANQA-სთან ერთად და აკრედიტაციის კომიტეტმა დაადასტურა სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების (NQFA-HE) თავსებადობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (QF-EHEA) კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

პროცედურა 3: რეფერენსირების პროცესში უნდა მონაწილეობდნენ უცხოელი ექსპერტები.

თვითსერტიფიცირების სამუშაო ჯგუფი მინისტრის ბრძანებით შეიქმნა და პროცესში მონაწილეობდა ორი უცხოელი ექსპერტი შვედეთიდან და გერმანიიდან. ექსპერტები პროცესში ჩართულნი იყვნენ ელექტრონული მიმოწერის, პირისპირ შეხვედრებისა და სემინარების ფორმატში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა დოკუმენტის შემუშავების პროცესში შესაბამისი უკუკავშირების მიღება და ანგარიშის შინაარსის გაუმჯობესება. გარდა ამისა, დამატებით მოიწვიეს ევროსაბჭოს კიდევ 2 ექსპერტი უკუკავშირის მიღებისა და დასკვნითი კონსულტაციებისთვის დაინტერესებული მხარეებისთვის საბოლოო შეჯერებული დოკუმენტის წარსადგენად. აღნიშნულმა ექსპერტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ანგარიშზე მუშაობის პროცესის ფასილიტაციაში და საბოლოო ვერსიის მომზადებაში.

პროცედურა 4: თვითსერტიფიცირება და მისი დამადასტურებელი მტკიცებულება საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს და ცალ-ცალკე უნდა განიხილავდეს თითოეულ დადგენილ კრიტერიუმს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული თვითსერტიფიცირების ანგარიში გადაეგზავნა პასუხისმგებელ ორგანოებს, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი შემდგომი გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის. თვითსერტიფიცირების ანგარიში გამოქვეყნდა სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ARMENIC-ის, ასევე EHEA-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.³

პროცედურა 5: ENIC -ისა და NARIC -ის ქსელები საჯაროდ უნდა ჰქონდეთ გამოქვეყნებული იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დაასრულეს თვითსერტიფიცირების პროცესი.

³ საგულისხმოა, რომ აღნიშნული ანგარიში მხოლოდ ARMENQA-ს გვერდზე იძებნება



თვითსერტიფიცირების პროცესის გავლის შემდეგ ანგარიში გამოქვეყნდა ARMENIC-ისა და სომხეთის სხვა შესაბამისი ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ოფიციალურად ეცნობა ENIC-NARIC -ის ქსელს.

პროცედურა 6: თვითსერტიფიკაციის პროცესის დასრულება უნდა იყოს აღნიშნულია შემდგომში გაცემული დიპლომის დანართებზე აჩვენებს კავშირს ეროვნულ ჩარჩოსა და ევროპული ჩარჩო.

სომხეთში დიპლომის დანართებს გასცემენ უმაღლესი სასწავლებლები სამინისტროს დამტკიცებული დანართის ფორმის გამოყენებით. ეროვნულ დონეზე დიპლომის დანართის ფორმა დაინერგა 2008 წელს. არსებობს მკაფიო მითითება დიპლომის დანართის მე-3 პუნქტში: „3. ინფორმაცია კვალიფიკაცია“, სადაც მიეთითება უმაღლესი განათლების შესაბამისი ჩარჩოს დონის შესახებ ინფორმაცია.

ამჟამად მიმდინარეობს ევროპის მასშტაბით კონსულტაციები დიპლომის დანართის გადასინჯვის თაობაზე. დიპლომის დანართის ახალი ფორმის დანერგვისა და თვითსერტიფიცირების პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ სომხეთის ხელისუფლება განიხილავს არსებულ ფორმას. დიპლომის დანართში შევა ინფორმაცია სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და QF-EHEA-ს დონეებთან უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის დონის შესაბამისობის თაობაზე.

1.7 ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, მათ შორის ავტომატური აღიარება

ამ საკითხზე საუბარია რეფერენსირების მე-3 კრიტერიუმში, რეფერენსირების ანგარიშზე მუშაობისას სამართლებრივად მოსაწესრიგებელი იყო მთელი რიგი საკითხები და პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა საკანონმდებლო ჩარჩოს გამართვაზე. აღნიშნული კრიტერიუმის აღწერის ბოლოს ნათქვამია, რომ ქვეყანამ უნდა გააგრძელოს მუშაობა სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების კომპონენტშიც არაფორმალური და ინფორმალური განათლების დადასტურების/ვალიდაციისთვის და რომ სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ნაწილში თავსებადია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.



1.8 ეროვნული განათლების სისტემისა და ჩარჩოების გამოწვევები; განვითარების სამომავლო გეგმები

ძირითადად გამოიკვეთა საკანონმდებლო ბაზის გამართვის აუცილებლობა რეფერენსირების პროცესში გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, ასევე არაფორმალური განათლების დადასტურებისა და აღიარების მექანიზმების დანერგვის საჭიროება, და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი მხარეების ფუნქციამოვალეობების გამიჯვნის საკითხი და მისი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საჭიროება.

გარდა ამისა, თვითსერტიფიცირების ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციებისას დაინტერესებული მხარეების მიერ გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

საგანმანათლებლო სივრცემ უნდა უზრუნველყოს მოქნილობა სხვადასხვა სასწავლო გზისათვის, რადგან NQFA-HE-ს და სასწავლო პროგრამების ფიქსირებული სტრუქტურა ხელს შეუშლის შრომის ბაზარზე ორიენტირებულ განვითარებას.

აქცენტი ასევე დაისვა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის დახვეწის საჭიროებაზე, მიზანშეწონილია, განახლდეს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ასევე, შეფასების მეთოდები. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები, რადგან სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური პერსონალი ჯერ კიდევ ხშირ შემთხვევაში მიჰყვება ჩამოყალიბებული „ძველი“ სისტემის ინერციას და ახალ კულტურაზე ტრანსფორმაცია კვლავ გამოწვევაა.

დოკუმენტის შემუშავების დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო უზრუნველყოფილი მჭიდრო თანამშრომლობა პროფესიული შრომის ბაზრასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, კერძოდ, დაბალი იყო დამსაქმებელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და პილოტირების პროცესებში, ასევე უმაღლესი განათლების დარგობრივი სტანდარტების დარგობრივი მახასიათებლების ნაკლებობაც გამოწვევადაა დასახელებული.

აღნიშნული გამოწვევების დაძლევისთვის ანგარიშში შემოთავაზებულია შემდეგი გზები:

– კვალიფიკაციისა და სასწავლო პროგრამების შესაბამისობის გაუმჯობესება; - პროფილის და შინაარსის გადახედვა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად;



- იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის გადახედვა, რომლებიც ეფუძნება გამჭვირვალე პროცედურებს, შრომის ბაზარზეა ორიენტირებული, სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების აღმწერების შესაბამისადაა აღწერილი სწავლის შედეგებით;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე კვალიფიკაციის მოპოვებისთვის შესაბამისი პროგრამების შინაარსს, აღმწერებს, დაშვებისა და დამთავრების წინაპირობების გადახედვა;
- უზრუნველყოს დამსაქმებლების ჩართულობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთ შეფასებისა (Peer-review) და რეფორმირების პროცესში;
- უმაღლესი განათლების საკანონმდებლო ბაზის გადახედვა და გაუმჯობესება უცხოეთში მინიჭებული კვალიფიკაციის აღიარების სფეროებში, კერძოდ: ერთობლივი და ორმაგი კვალიფიკაციის მინიჭება უცხოურ და ადგილობრივ უსდ-ებთან ერთად, აგრეთვე ტრანსსასაზღვრო (cross-border) განათლების უზრუნველყოფა.
- სომხეთის უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ ცნობიერების ამაღლება დაინტერესებულ მხარეებში, განსაკუთრებით შრომის ბაზრის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ.

1.9 საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება, გაზიარებულ იქნას;

რეფერენსირების პროცესში ჩართული იყო რექტორთა საბჭო და სტუდენტური ორგანიზაციები. დოკუმენტი მოკლე და ადვილად აღქმადია. ჩარჩოს შესაბამის ღონეზე სწავლის შედეგების აღმწერების შედარებისას სხვადასხვა ფერია გამოყენებული იმ შედეგებისთვის, რომლებშიც დგინდება შესაბამისობა EHEA-ს ჩარჩოსთან, იმ შედეგებზე რომლებიც განსხვავდება და დამატებულ შედეგებზე, რომლებიც სომხეთის უმაღლესი განათლების კონტექსტიდან გამომდინარე დაემატა აღმწერებს.



1.10 შეჯამება

მიზანშეწონილია, რეფერენსირების ანგარიში ჩამოყალიბებული იყოს მოკლედ, ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ბრძანება და ა.შ. ბიბლიოგრაფიის ან დანართის სახით ინგლისურ ენაზე ჰქონდეს თანდართული დოკუმენტს. მიზანშეწონილია განათლების სისტემა, პროცესები და პროცედურები მკაფიოდ, მოკლედ და სქემატურად იყოს გამოსახული.

აღნიშნული დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, კრიტერიუმების თვითსერტიფიცირების კომპონენტები, სადაც იკვეთება შეუსაბამობა უმაღლესი განათლების ევროპულ ჩარჩოსთან, შერბილებული ფორმითაა წარმოჩენილი ან დაკნინებულია მოცემული საკითხების მნიშვნელობა. მიზანშეწონილია, ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების QF- EHEA -ს ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესები ქრონოლოგიის მიხედვით, უფრო თანმიმდევრულად და ობიექტურად იყოს აღწერილი. ამასთან, მიზანშეწონილია, ცხადად იყოს ჩამოყალიბებული და გაანალიზებული არსებული გამოწვევები, მათი გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები შესაბამისი ოპტიმალური ვადებისა და უფლებამოსილი ორგანოების მითითებით.



II. თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება და თვითსერტიფიცირება (2016 წელი)



2.1 თურქეთის რეფერენსირების/თვითსერტიფიცირების ანგარიშის შესახებ მოკლე ინფორმაცია

თურქეთისთვის პრიორიტეტულია ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის არსებობა, რომელიც აუმჯობესებს განათლებისა და სწავლების ხარისხს და აძლიერებს განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირს. ამიტომ, თურქეთმა განავითარა თურქული კვალიფიკაციების ჩარჩო (TQF), რომელიც შედგება რვა დონისგან და დაფუძნებულია სწავლის შედეგებზე. TQF უზრუნველყოფს ყველა პირისთვის განათლებისა და სწავლების საჭიროებების დაკმაყოფილებას მთელი ცხოვრების განმავლობაში, ხელს შეუწყობს შრომის ბაზრისთვის საჭირო კვალიფიკაციების განვითარებას.

TQF-ის ზოგადი მიზნებია თურქეთში არსებული კვალიფიკაციების ერთიან ჩარჩოში ინტეგრირება, კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესება, სწავლების უწყვეტი პროცესის მხარდაჭერა და სისტემური ხელშეწყობა, ეროვნული და საერთაშორისო გამჭვირვალობისა და აღიარების მაქსიმალიზაცია და საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობების რეალიზების უზრუნველყოფა.

რადგან აღნიშნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება ამ თვალსაზრისით პირველი გამოცდილებაა თურქეთისთვის, TQF-მა თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმებს დაუდო საფუძველი.

თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (TQF) მომზადდა პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს (VQA), ეროვნული განათლების სამინისტროსა (MoNE) და უმაღლესი განათლების საბჭოს (CoHE) ერთობლივი მუშაობის შედეგად, სხვადასხვა სამინისტროსთან, საჯარო დაწესებულებასთან, პროფესიულ ორგანიზაციასთან, პროფკავშირებთან, დამსაქმებელთა ასოციაციებთან, სტუდენტთა საბჭოსა და შესაბამის სოციალურ აქტორებთან თანამშრომლობით.

TQF ოფიციალურად მიიღეს [„თურქული კვალიფიკაციების ჩარჩოს განხორციელების პროცედურებისა და პრინციპების შესახებ დებულების“](#) შესაბამისად, (№ 29537, 2015 წლის 19 ნოემბერი).

TQF-ის ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF) შესაბამისობისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA) თვითსერტიფიცირების შესახებ ანგარიშს მოკლედ „თურქეთის რეფერენსირების ანგარიში“ ეწოდება. „თურქული



რეფერენსირების ანგარიში“ წარედგინა ევროპის კომისიას TQF-ის საბჭოს მიერ 2016 წლის 29 ნოემბერს დამტკიცების შემდეგ.

„თურქული რეფერენსირების ანგარიშის“ მომზადების სამუშაოები ჩატარდა სამუშაო ჯგუფის მიერ TQF-EQF რეფერენსირების კომიტეტისა და TQF-ის საბჭოს ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

რეფერენსირების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების როლში იყვნენ პროფესორი მილე ჯელალია (ხორვატია) და დოქტორი გეორგ ჰანფი (გერმანია), ხოლო ტექნიკურ ექსპერტებად მონაწილეობდნენ ედვინ მერნაგი (ირლანდია) და ჯონ ჰარტი (შოტლანდია).

2.2 დოკუმენტის სტრუქტურა

- თავფურცელი
- ავტორები (ადგილობრივი სამუშაო ჯგუფი; საერთაშორისო ექსპერტები, ტექნიკური ექსპერტები; დამხმარე ექსპერტები; ICT რედაქტორი, მთარგმნელი, დიზაინერი; ერაზმუს + ის თანადაფინანსებაზე მითითება)
- შესავალი
- აკრონიმებისა და აბრევიატურების განმარტება

1. თურქეთის განათლებისა და კვალიფიკაციების სისტემა

1.1. კვალიფიკაციები რომლებსაც მართავს თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტრო

- 1.1.1. შესავალი
- 1.1.1. სამართლებრივი ჩარჩო
- 1.1.2. ადმინისტრაციული სტრუქტურა
- 1.1.3. დაფინანსება
- 1.1.4. განათლებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა
- 1.1.5. წვდომა უმაღლეს განათლებაზე
- 1.1.6. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემა
- 1.1.7. მიმდინარე სამუშაოები
- 1.1.8. კვალიფიკაციები რომლებზეც პასუხისმგებელია თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტრო

1.2. უმაღლესი განათლების სისტემა და კვალიფიკაციები

- 1.2.1 შესავალი
- 1.2.2 სამართლებრივი ბაზა
- 1.2.3 ადმინისტრაციული სტრუქტურა
- 1.2.4 დაფინანსება



- 1.2.5 წვდომა უმაღლეს განათლებაზე
- 1.2.6 შემდგომ განათლებაზე წვდომა
- 1.2.7 აღიარება და შესაბამისობა
- 1.2.8 დაგეგმილი სამუშაოები (დონისძიებები)
- 1.2.9 უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები

1.3 ეროვნული პროფესიული განათლების კვალიფიკაციების სისტემა (NVQS)

- 1.1.1. შესავალი
- 1.3.2 სამართლებრივი ბაზა
- 1.3.3 ადმინისტრაციული სტრუქტურა
- 1.3.4 დაფინანსება
- 1.3.5 ეროვნული პროფესიული განათლების კვალიფიკაციების სისტემის ფუნქციები
- 1.3.6 აღიარება, შესაბამისობა, პროგრესია და ტრანსფერი
- 1.3.7 დაგეგმილი სამუშაოები
- 1.3.8 კვალიფიკაციები ეროვნული პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში

1.4 არაფორმალური და ინფორმალური განათლების ვალიდაცია

2. თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

2.1 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზანი და ფარგლები

2.2 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების პროცესი

2.3 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს არქიტექტონიკა

2.3.1 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეები

2.3.2 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციების სახეობები

2.4 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვლობა და დანერგვა

2.5 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების პროცესი

3. თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპულ ჩარჩოსთან

კრიტერიუმი 1

კრიტერიუმი 2

კრიტერიუმი 3

კრიტერიუმი 4

კრიტერიუმი 5

კრიტერიუმი 6

კრიტერიუმი 7

კრიტერიუმი 8

კრიტერიუმი 9

კრიტერიუმი 10

4. თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან



4.1 შესავალი

4.2 ტერმინოლოგიისა და დეფინიციების შედარება

4.3 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან კრიტერიუმების ჭრილში

კრიტერიუმი 1

კრიტერიუმი 2

კრიტერიუმი 3

კრიტერიუმი 4

კრიტერიუმი 5

კრიტერიუმი 6

კრიტერიუმი 7

4.4 თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან პროცედურების ჭრილში

პროცედურა 1

პროცედურა 2

პროცედურა 3

პროცედურა 4

პროცედურა 5

პროცედურა 6

4.5 დასკვნა

5. შემდგომი ნაბიჯები და გამოწვევები

5.1 შემდგომი ნაბიჯები

5.2 გამოწვევები

6. დასკვნები

7. დანართების ჩამონათვალი


საგულისხმოა, რომ დოკუმენტის დანართებში განთავსებულია სხვადასხვა სახის ცხრილები, დიაგრამები, გრაფიკული გამოსახულებები; მაგალითად, ცხრილის სახით მოცემულია თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს კროს რეფერენსირება (შედარება) ევროპულ მეტა ჩარჩოებთან; ეროვნული განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფაზე ინფორმაცია; მოდულარული პროგრამების მომზადების სქემა; ასევე სქემატურადაა ასახული მოდულარული პროგრამების სასწავლო მასალების მომზადების პროცესი; მათ შორის განათლების ქვესისტემებზე პასუხისმგებელი ორგანოების სტრუქტურები და მათი პროცესები. სქემატურადაა აღწერილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების პროცესი, არაფორმალური განათლების ვალიდაციის აღიარების პროცესი; პროფესიული სტანდარტის ვალიდაციის პროცესი; ეროვნული



კვალიფიკაციების ვალიდაციის პროცესი და ა.შ. დანართებადაა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დეტალური აღწერა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ქვესისტემებზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების მითითებით, თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩო აღმწერებით; ასევე დოკუმენტის შემმუშავებელი პირების ხელმოწერები და იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებთანაც გაიარეს კონსულტაციები რეფერენსირების პროცესში უკუკავშირისთვის.

2.3 განათლების სისტემის აღწერა

ფორმალური განათლების სისტემა თურქეთში:





Annex 4: Turkish Qualifications Framework Qualification Types, Provisional Levels and Responsible Bodies³⁰

8	Higher Education Institutions	Doctoral Diploma (PhD, Proficiency in Arts and Specialty in Medicine)			Vocational Qualifications Authority	Level 8 Vocational Qualification Certificate
7		Master Degree (with Thesis) Master Degree (without Thesis)				Level 7 Vocational Qualification Certificate
6		Bachelor's Degree				Level 6 Vocational Qualification Certificate
5		Associate Degree (Academic) Associate Degree (Vocational)				Level 5 Vocational Qualification Certificate
4	Ministry of National Education	High School Diploma	Vocational and Technical High School Diploma	Skilled Worker Certificate		Level 4 Vocational Qualification Certificate
3				Semi-Skilled Worker Certificate ³¹		Level 3 Vocational Qualification Certificate
		Lower Secondary Education Certificate				
2		Primary Education Certificate				Level 2 Vocational Qualification Certificate
1	Pre-School Participation Certificate					

ეროვნული განათლების სამინისტროს (MoNE): ცენტრალიზებულად მართავს განათლების პროცესს სკოლამდელიდან საშუალო განათლების დასრულებამდე. სამინისტრო ავითარებს და ეროვნული მასშტაბით ახორციელებს საბაზო და საშუალო განათლების პროგრამებს.

2012 წლიდან სავალდებულო განათლება 8 წლიდან 12 წლამდე გაიზარდა და სამ-ოთხწლიან ეტაპად დაიყო:

1. დაწყებითი განათლება (1-4 კლასები)
2. ქვედა საშუალო განათლება (5-8 კლასები)
3. საშუალო განათლება (9-12 კლასები)

სავალდებულო განათლება 6-დან 18 წლამდე ასაკს მოიცავს (სკოლამდელი განათლების გამოკლებით). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს შეუძლიათ, განათლება მიიღონ ინკლუზიური პროგრამების ფარგლებში ან სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უმაღლესი განათლების საბჭოს (CoHE) პასუხისმგებლობა: თურქეთში უმაღლესი განათლება ცენტრალურად იგეგმება, მაგრამ უნივერსიტეტებს ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია აქვთ. უმაღლესი განათლება უნივერსიტეტებში, უმაღლეს ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში და კერძო ფონდების მიერ დაფუძნებულ უმაღლეს პროფესიულ სკოლებში



ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამებს (Graduate education) მხოლოდ უნივერსიტეტები და უმაღლესი ტექნოლოგიური ინსტიტუტები ახორციელებენ.

უნივერსიტეტები CoHE-ის ნებართვით ახორციელებენ ახალ პროგრამებს და გასცემენ საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორის დიპლომებს. უსდ-ებს ასევე შეუძლიათ, გასცენ ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომებიც. უმაღლეს პროფესიულ სკოლებს შეუძლიათ, მხოლოდ ორწლიანი ასოცირებული ხარისხის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელონ პროფესიულ პრაქტიკაზე აქცენტით.

პროფესიული კვალიფიკაციების ეროვნული სისტემა (VQA): VQA 2006 წელს შეიქმნა და ადგენს ეროვნულ პროფესიულ სტანდარტებსა (NOS) და კვალიფიკაციებს (NQs) შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული ორგანიზაცია კოორდინირებას უწევს და წარმართავს გარე შეფასებასა და სერტიფიცირებას უფლებამოსილი მასერტიფიცირებელი ორგანოებისთვის. დაწესებულებებისთვის, რომლებიც შეიძლება იყოს სამინისტროები, სხვა საჯარო ორგანოები, პროფესიული ორგანიზაციები, დამსაქმებელთა გაერთიანებები, სავაჭრო ასოციაციები, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის პროგრამების განმახორციელებელი ცენტრები, უსდ-ები, და კერძო ორგანიზაციები.

VQA-ს მიზანია პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება, კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბება, განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირის გაძლიერება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ასევე მიზნად ისახავს ხარისხის კულტურის დანერგვას, გავრცელებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას განათლებისა და ბიზნესის სამყაროში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პოპულარიზაციასა და სამუშაო ძალის მობილობის წახალისებას.

2.3.1 განათლებისა და კვალიფიკაციების სისტემა MoNE-ის პასუხისმგებლობის ქვეშ

თურქეთში საბაზო, ზოგად საშუალო, პროფესიულ/ტექნიკურ და არაფორმალურ განათლებას ცენტრალიზებულად მართავს ეროვნული განათლების სამინისტრო (MoNE), რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკას, შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს, მართავს სკოლებს, ნიშნავს და აფინანსებს მასწავლებლებს. რეგიონული სამმართველოები უზრუნველყოფენ ამ გადაწყვეტილებების ადგილობრივ დონეზე განხორციელებას. სასწავლო პროგრამებს ამუშავებს MoNE და ამტკიცებს განათლების საბჭო, რის შემდეგაც ხდება მათი რეგულარული განახლება. სახელმწიფო სკოლები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო მასწავლებლებს აქვთ სწავლების მეთოდებისა და მასალების არჩევის თავისუფლება. MoNE ასევე პასუხისმგებელია ყველა სახელმძღვანელოს შერჩევაზე და მოწოდებაზე. MoNE-ის საქმიანობა რეგულირდება სხვადასხვა კანონითა და სტრატეგიული დოკუმენტით.



სამინისტროს სტრუქტურა მოიცავს გენერალურ დირექტორატებს სხვადასხვა მიმართულებით, ინსპექციის საბჭოსა და რეგიონულ სამმართველოებს.

2.3.2 სკოლამდელი და ზოგადი განათლება

ადრეული ბავშვობის განათლებას 0-36 თვის ბავშვებისთვის უზრუნველყოფს ბაგა-ბაღები და დღის ცენტრები, რომლებიც ოჯახისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ექვემდებარება. სკოლამდელი განათლება (36-66 თვე) მიზნად ისახავს ბავშვების განვითარებასა და დაწყებითი სწავლისთვის მომზადებას და საჯარო სკოლებში უფასო და არასავალდებულოა (გარდა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისა).

დაწყებითი განათლება (6-9 წელი) 12-წლიანი სავალდებულო განათლების პირველი 4 წელია. მისი დასრულების შემდეგ მოსწავლეები ავტომატურად ირიცხებიან საბაზო სკოლებში (10-13 წელი), რაც სავალდებულო განათლების მომდევნო 4 წელია. საბაზო განათლების შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ საშუალო განათლებას (14-17 წელი), რომელიც ასევე სავალდებულოა და მოიცავს ზოგად და პროფესიულ/ტექნიკურ მიმართულებებს. ზოგად საშუალო განათლებას კოორდინირებს საშუალო განათლების გენერალური დირექტორატი და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სკოლებში. შეფასება ეფუძნება გამოცდების, დავალებებისა და პროექტების 100%-იან შეფასებას, საგანში მინიმალური წარმატების ქულაა 50%, ხოლო მეორე სემესტრის ქულა არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები. საშუალო განათლება ღია სკოლებში სწავლების ფორმით ხელმისაწვდომია 18 წელს ზემოთ პირებისთვისაც.

2.3.3 პროფესიული და ტექნიკური საშუალო განათლება

პროფესიული და ტექნიკური საშუალო განათლება არის ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც ამზადებს მოსწავლეებს როგორც უმაღლესი განათლებისთვის, ასევე შრომის ბაზრისთვის და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში. პროგრამები რეგულარულად განახლდება VQA-ს ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. კურსდამთავრებულები იღებენ პროფესიული და ტექნიკური განათლების საშუალო სკოლის დიპლომს (TQF დონე 4) და შეუძლიათ, მოითხოვონ Europass-ის სერთიფიკატის დანართი და ტრანსკრიპტი.

ანატოლიური იმამ-ჰათიფის საშუალო სკოლები ასევე ოთხწლიანი პროგრამებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგად საშუალო განათლებას რელიგიურ განათლებასთან ერთად და ამზადებენ მოსწავლეებს როგორც პროფესიებისთვის, ასევე უმაღლესი განათლებისთვის. კურსდამთავრებულები იღებენ იმამ-ჰათიფის საშუალო სკოლის დიპლომს (TQF დონე 4).

შეგირდების განათლება მიზნად ისახავს სამუშაოსთვის მომზადებას და პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებას სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებაზე. სწავლება გრძელდება 2-



დან 4 წლამდე, სადაც 40% თეორიაა და 60% პრაქტიკა. კურსდამთავრებულები იღებენ "ხელოსნის სერთიფიკატს" (TQF დონე 3), ხოლო შემდგომში შესაძლებელია "ოსტატის სერთიფიკატისა" (TQF დონე 4) და "კვალიფიციური ინსტრუქტორის სერთიფიკატის" მიღება.

არაშეგირდულ პროფესიებში პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭება ხდება ვაჭართა და ხელოსანთა პალატების (TESK) მიერ შესაბამისი კანონის საფუძველზე, გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ გაიცემა "TESK ხელოსნის სერთიფიკატი" და "TESK ოსტატის სერთიფიკატი". განათლების სამინისტრო და ვაჭართა და ხელოსანთა პალატები თანამშრომლობენ პროფესიული სწავლებისა და სერთიფიცირების პროცესში.

2.3.4 სპეციალური განათლება

სპეციალური საჭიროების მქონე პირებს ინდივიდუალური განვითარების მიხედვით მოეთხოვებათ მათზე მორგებული, მაღალი ხარისხის განათლება. მათი შეფასება და განათლებაზე მიმართვა ხდება სახელმძღვანელო და კვლევითი ცენტრების მეშვეობით.

სასწავლო გარემო:

- პირველ რიგში – ინკლუზიური სწავლება თანატოლებთან ერთად.
- საჭიროების შემთხვევაში – სპეციალური კლასები ან სპეციალური სკოლები.
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო – სწავლა სახლში ან საავადმყოფოში.

მხარდამჭერი განათლება: გამორჩეული ნიჭის მქონე მოსწავლეები იღებენ დამატებით განათლებას მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრებში, რაც ეხმარებათ უნარების განვითარებასა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში.

2.3.5 არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლება და მისი კოორდინაცია

არაფორმალურ განათლებას კოორდინაციას უწევს ეროვნული განათლების სამინისტრო (MoNE) და უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE), თუმცა აქტივობებში ჩართულია სხვა ორგანიზაციებიც, მათ შორის, შრომის სამინისტრო, დასაქმების სააგენტო და მუნიციპალიტეტები.

არაფორმალური განათლება მოიცავს:

- მოკლევადიან კურსებსა და ტრენინგებს;



- პროფესიული უნარების შეძენასა და გაუმჯობესებას;
- კულტურული, სოციალური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობას;

მთავარი პასუხისმგებელი სტრუქტურა: მთელი ცხოვრების განათლების გენერალური დირექტორატი, რომელიც ახორციელებს პოლიტიკის დაგეგმვას, შეფასებასა და არაფორმალური განათლების სერვისების მიწოდებას.

თურქეთში საჯარო განათლება მოიცავს უწყვეტ სწავლებას, ზრდასრულთა განათლებასა და დამატებით ტრენინგებს, რომლებიც პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. სწავლება ხორციელდება მთელი ცხოვრების განათლების გენერალური დირექტორატის და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. პროგრამები იყოფა ზოგად და პროფესიულ-ტექნიკურ მიმართულებად. პროფესიული კურსები შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს და კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი, რომელიც თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეს შეესაბამება.

2.3.6 არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება

თურქეთში არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება ძირითადად პროფესიულ კვალიფიკაციებზეა ორიენტირებული და მნიშვნელოვანი როლი აქვს პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს (VQA). ინდივიდების სწავლის შედეგები VQA-ის მიერ განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების საფუძველზე ფასდება და სერტიფიცირდება. უმაღლეს განათლებაში აღიარების პროცესი საწყის ეტაპზეა, თუმცა უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE) ამ მიმართულებით მუშაობს. თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩო (TQF) ხელს უწყობს არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარებას, ხოლო პრინციპები და პროცედურები ამ პროცესისთვის TQF-ის საბჭოს მიერ დამუშავდება და შესაბამისი ინსტრუქციები დაწესდება.

2.4 თურქეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

TQF-ის (თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს) მოსამზადებელი სამუშაოები 2010 წელს დაიწყო განათლების სამინისტროს, უმაღლესი განათლების საბჭოსა და პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს მონაწილეობით. ჩარჩო აერთიანებს 8 დონეს და აღწერს სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების კლასიფიკაციას, აღიარებასა და საერთაშორისო შედარებადობას. TQF-ის მიზანია სიცოცხლის განმავლობაში სწავლის



მხარდაჭერა, ახალი კვალიფიკაციების განვითარება, არაფორმალურ და ინფორმალურ სწავლებაში მიღებული უნარების აღიარება, კვალიფიკაციებს შორის მოძრაობის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სისტემის განვითარება. პირველ ეტაპზე იგი მოიცავს განათლების სამინისტროს, პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს და უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ გაცემულ კვალიფიკაციებს, ხოლო მომავალში გაფართოვდება სხვა ორგანიზაციებზე.

TQF-ის მართვისა და განვითარება რეგულირდება „თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვასთან დაკავშირებული პროცედურებითა და პრინციპებით“. აღნიშნული რეგულაცია ადგენს იმ პროცედურებსა და პრინციპებს, რომლებიც წარმართავს TQF-ის მომზადებას, განვითარებას, დანერგვას, მართვასა და განახლებას.

TQF-ის რეგულაცია მოიცავს შემდეგს:

- ყველა საგანმანათლებლო პროგრამით (მათ შორის, უმაღლესი განათლებით) ან სხვა ტიპის სწავლის გზით მიღებული კვალიფიკაციების TQF-ში შეყვანის პრინციპები და პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციები და ორგანიზაციები;
- საკონსულტაციო, საკოორდინაციო და აღმასრულებელი ერთეულების შექმნა და ფუნქციონირება;
- რეგულაციით გათვალისწინებული საქმიანობების მართვის პროცესში ჩართული ინსტიტუტების როლები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები.

TQF-ის მომზადებას, განვითარებასა და განახლებას ძირითადად პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტო (VQA) ახორციელებს, ხოლო მისი დანერგვა სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყების ერთობლივი ძალისხმევით ხდება. ეროვნული განათლების სამინისტრო (MoNE) ფორმალური და არაფორმალური განათლების კვალიფიკაციებზე, უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE) უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებზე, ხოლო VQA პროფესიულ კვალიფიკაციებზე არის პასუხისმგებელი. სპეციალური ორგანოები მართავენ სხვა ტიპის კვალიფიკაციებს. ზემოაღნიშნული უწყებები კოორდინირებულად მუშაობენ, რათა უზრუნველყონ კვალიფიკაციების ხარისხი და მათი ინტეგრაცია TQF-ში.

TQF-ის ეფექტიანი მართვისთვის შექმნილია სამი ძირითადი სტრუქტურა:

1. **TQF-ის საკოორდინაციო საბჭო** – ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო.



2. **TQF-ის საბჭო** – ტექნიკური სამუშაო ორგანო, რომელიც ჩართულია ჩარჩოს განვითარებაში.
3. **TQF-ის მუდმივმოქმედი საკონსულტაციო კომიტეტი** – პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ, ფართო კონსულტაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

2.5 სწავლის შედეგების აღწერა, სწავლის შედეგების მაგალითები

დოკუმენტში არ არის მოცემული სწავლის შედეგების მაგალითები სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის. თუმცა მოცემულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერები და მისი შესაბამისობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპულ ჩარჩოსთან, TQF LLL:

	Knowledge	Skill	Competence
TQF Level 1	Have a general knowledge of self and environment	Have basic skills required to carry out simple tasks	Carry out simple tasks under guidance and supervision
EQF Level 1	Basic general knowledge	Basic skills required to carry out simple tasks	work or study under direct supervision in a structured context
TQF დონე 1	აქვს ზოგადი ცოდნა საკუთარ თავსა და გარემოზე	აქვს მარტივი დავალებების შესასრულებლად საჭირო უნარები	ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით მარტივი დავალებების შესრულება
TQF Level 2	Have an elementary factual knowledge in a field of work or study	Have basic skills required to use necessary information in order to carry out tasks and to solve potential simple problems	Carry out simple tasks under supervision with limited autonomy Have awareness of own learning needs within the scope of lifelong learning approach
EQF Level 2	basic factual knowledge of a field of work or study	basic cognitive and practical skills required to use relevant information in order to carry out tasks and to solve routine problems using simple rules and tools	work or study under supervision with some autonomy
TQF დონე 2	აქვს სწავლისა და საქმიანობის სფეროში ელემენტარული ფაქტობრივი ცოდნა	აქვს საბაზისო უნარები, რომლებიც საჭიროა აუცილებელი ინფორმაციის გამოსაყენებლად დავალებების შესრულებისა და პოტენციური მარტივი პრობლემების გადაჭრისთვის	ზედამხედველობის ქვეშ, ასრულებს მარტივ დავალებებს შეზღუდული ავტონომიით. აცნობიერებს საკუთარი სწავლის საჭიროებებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიდგომის ფარგლებში



TQF Level 3	Have an elementary theoretical knowledge and moderate factual knowledge in a field of work or study	Have skills required to select and apply data, methods, tools and materials in order to carry out tasks and solve problems	Take responsibility in carrying out tasks Complete tasks in consideration of changing situations Identify and meet own learning needs under guidance within the scope of lifelong learning approach
EQF Level 3	knowledge of facts , principles, processes and general concepts , in a field of work or study.	a range of cognitive and practical skills required to accomplish tasks and solve problems by selecting and applying basic methods, tools, materials and information	take responsibility for completion of tasks in work or study; adapt own behaviour to circumstances in solving problems
TQF დონე 3	აქვს საწყისი (ელემენტარული) თეორიული ცოდნა და საშუალო დონის ფაქტობრივი ცოდნა სწავლის ან დასაქმების სფეროში.	აქვს მონაცემების, მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების არჩევისა და გამოყენებისათვის, ასევე დავალებების შესრულებისა და პრობლემების გადასაჭრელად საჭირო უნარები	იღებს პასუხისმგებლობას დავალებების შესრულებისას. ასრულებს დავალებებს ცვალებადი სიტუაციების გათვალისწინებით და ახდენს საკუთარი სწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და დაკმაყოფილებას ზედამხედველობის ქვეშ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიდგომის ფარგლებში.
TQF Level 4	Have a moderate theoretical and operational knowledge and good factual knowledge in a field of work or study	Have cognitive and practical skills required to perform procedures and generate solutions to problems specific for a field of work or study	Take full responsibility in completing tasks within predictable, but changeable contexts Supervise the ordinary tasks of others, and take limited responsibility in evaluating and improving such tasks Meet own learning needs, and define proactive learning goals under guidance within the scope of lifelong learning approach Have awareness of the relationship of knowledge, skills, behaviours and attitudes in a field of work or study with moral issues and responsibilities
EQF Level 4	factual and theoretical knowledge in broad contexts within a field of work or study	a range of cognitive and practical skills required to generate solutions to specific problems in a field of work or study	exercise self-management within the guidelines of work or study contexts that are usually predictable, but are subject to



			change; supervise the routine work of others, taking some responsibility for the evaluation and improvement of work or study activities
TQF დონე 4	აქვს საშუალო დონის თეორიული და ოპერაციული ცოდნა და კარგი ფაქტობრივი ცოდნა საქმიანობის ან სწავლის სფეროში.	აქვს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა პროცედურების შესრულებისთვის და საქმიანობის ან სწავლის სფეროში სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად.	სრულად იღებს პასუხისმგებლობას პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად კონტექსტში დავალებების შესრულებაზე. ზედამხედველობს სხვების სტანდარტულ დავალებებს და იღებს შეზღუდულ პასუხისმგებლობას მათი შეფასებისა და გაუმჯობესების საკითხებსა და სწავლის საჭიროებებზე და წინასწარ განსაზღვრავს სწავლის მიზნებს ზედამხედველობის ქვეშ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიდგომის ფარგლებში. აცნობიერებს ცოდნის, უნარების, ქცევებისა და დამოკიდებულებების ურთიერთკავშირს საქმიანობის ან სწავლის სფეროში, ეთიკური (მორალური?) საკითხების და პასუხისმგებლობების კუთხით.
TQF Level 5	Have comprehensive, theoretical and factual knowledge in a field of work or study in aware of the boundaries of that field	Have comprehensive, cognitive and practical skills required to develop creative solutions to abstract problems, whose limits are defined, and concrete problems	Carry out management and supervision tasks in contexts with unpredictable changes Evaluate and improve own and others' performance level Be in interaction for operations in contexts of work or study including the management of projects Have general awareness of the scope of lifelong learning approach for a field of work or study as well as the relationship of this scope with formal, non-formal and informal ways of learning Have awareness of the relationship of



			knowledge, skills, behaviours and attitudes in a field of work or study with moral issues and responsibilities
EQF LLL 5	comprehensive, specialised, factual and theoretical knowledge within a field of work or study and an awareness of the boundaries of that knowledge	a comprehensive range of cognitive and practical skills required to develop creative solutions to abstract problems	exercise management and supervision in contexts of work or study activities where there is unpredictable change; review and develop performance of self and others
TQF დონე 5	აქვს საქმიანობის ან სწავლის სფეროს სრულყოფილი, თეორიული და ფაქტობრივი ცოდნა და იცის ამ ცოდნის საზღვრები.	აქვს სრულყოფილი, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად აბსტრაქტულ პრობლემებზე, რომელთა საზღვრები დადგენილია შემოქმედებითი გადაწყვეტილებების დასამუშავებლად .	ასრულებს მართვასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებულ დავალებებს არაპროგნოზირებადი ცვლილებების კონტექსტებში. აფასებს და აუმჯობესებს საკუთარი და სხვების შესრულების დონეს. არის ინტერაქციაში სამუშაო ან სწავლების კონტექსტებში, მათ შორის, პროექტების მართვის საკითხებში. აქვს ზოგადი ცნობიერება სიცოცხლის მანძილზე სწავლის მიდგომების შესახებ საქმიანობის ან სწავლების სფეროში, ასევე მიდგომის კავშირზე ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ სწავლის გზებთან. აცნობიერებს ცოდნის, უნარების, ქცევებისა და დამოკიდებულებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას სამუშაო ან სწავლების სფეროში, ეთიკური საკითხებისა და პასუხისმგებლობების კუთხით.
Level 6	Have an advanced theoretical, methodological and factual knowledge in a field of work or study, including inquiring thinking	Have advanced skills, including the quality of mastery and innovation, required to solve complex and unpredictable problems in a specialised field of work or study	Make decisions by taking responsibility in unpredictable work or study contexts and manage complex technical or professional activities or projects Take responsibility in managing the professional development of individuals and groups. Have experience in the concepts, policies, tools and practices of lifelong learning



			approach for a field of work or study as well as the relationship of them with formal, non-formal and informal ways of learning Have awareness of social and moral issues in assessing work or study
EQF LLL 6	advanced knowledge of a field of work or study, involving a critical understanding of theories and principles	advanced skills , demonstrating mastery and innovation , required to solve complex and unpredictable problems in a specialised field of work or study	manage complex technical or professional activities or projects , taking responsibility for decision-making in unpredictable work or study contexts; take responsibility for managing professional development of individuals and groups



დონე 6	აქვს მოწინავე/უახლესი თეორიული, მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ცოდნა საქმიანობის ან სწავლის სფეროში, მათ შორის, ანალიტიკური აზროვნება.	აქვს მოწინავე (განვითარებული) უნარები, მათ შორის ოსტატობისა და ინოვაციის ხარისხი, რომელიც საჭიროა კომპლექსური და პროგნოზირებადი პრობლემების გადაჭრისთვის სპეციალიზებულ საქმიანობის ან სწავლის სფეროში.	იღებს გადაწყვეტილებებს და მათზე პასუხისმგებლობას პროგნოზირებად სამუშაო ან სწავლის კონტექსტში, და მართავს კომპლექსურ ტექნიკურ ან პროფესიულ საქმიანობების ან პროექტების. იღებს პასუხისმგებლობას ინდივიდებისა და ჯგუფების პროფესიული განვითარების მართვაზე. აქვს კონცეფციების პოლიტიკის, ინსტრუმენტებისა და პრაქტიკების გამოცდილება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის მიდგომის გამოყენების გამოცდილება საქმიანობის ან სწავლის სფეროში, ასევე მათი კავშირზე ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური სწავლის გზებთან. აცნობიერებს სოციალურ და მორალურ/ ეთიკურ საკითხებს მუშაობის ან სწავლის შეფასებისას.
TQF Level 7	Have advanced specialized knowledge, some of which is at the forefront in a field of work or study, as the basis for original ideas and/or research Have an inquiring approach for knowledge issues in his/her field and at the interface between different fields related to his/ her field	Have advanced problems solving skills required in research and/or innovation activities that are carried out to develop new knowledge and methods in a field of work or study and to integrate knowledge from different fields Have skills required to understand, design, apply and adapt advanced research operations as a team member or partially autonomously	Manage and transform unpredictable and complex work or study contexts that require new strategic approaches Have experience in managing changes within a complex context. Take responsibility in contributing to professional knowledge and practice and/or evaluating the strategic performance level of teams Show leadership in the concept, policy, tools and practices of lifelong learning



			approach for knowledge in a field of work or study and the interface between different fields as well as the relationship of them with formal, non-formal and informal ways of learning Integrate knowledge and make judgements in a field of work or study in consideration of social and moral issues and responsibilities
EQF LLL 7	highly specialised knowledge, some of which is at the forefront of knowledge in a field of work or study, as the basis for original thinking; critical awareness of knowledge issues in a field and at the interface between different fields	specialised problem-solving skills required in research and/or innovation in order to develop new knowledge and procedures and to integrate knowledge from different fields	manage and transform work or study contexts that are complex, unpredictable and require new strategic approaches; take responsibility for contributing to professional knowledge and practice and/or for reviewing the strategic performance of teams
დონე 7	აქვს სიღრმისეული სპეციალიზებული ცოდნა, რომლის ნაწილიც არის მოწინავე (უახლესი) საქმიანობის ან სწავლის სფეროში, რაც საფუძვლად უდევს ორიგინალურ იდეებსა და/ან კვლევებს. აქვს შემეცნებითი მიდგომა თავის საქმიანობისა და სწავლის სფეროსა და მასთან დაკავშირებული სხვა სფეროების პრობლემატიკის შესწავლასთან დაკავშირებით	აქვს პრობლემების გადაჭრის განვითარებული უნარები, რომლებიც საჭიროა კვლევითი და/ან ინოვაციური საქმიანობებისთვის, რომელიც მიმდინარეობს საქმიანობის ან სწავლის სფეროში ახალი ცოდნისა და მეთოდების განვითარებისა და სხვადასხვა სფეროდან ცოდნის ინტეგრაციის მიზნით. აქვს უნარები, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ გაიგოს, დაგეგმოს, გამოიყენოს და შეადაროს მოწინავე კვლევითი ოპერაციები გუნდში წევრის სტატუსით ან ნაწილობრივ დამოუკიდებლად.	მართავს და გარდაქმნის არაპროგნოზირებად და კომპლექსური საქმიანობის ან სწავლის კონტექსტებს, რომლებიც საჭიროებენ ახალ სტრატეგიულ მიდგომებს. აქვს ცვლილებების მართვის გამოცდილება კომპლექსურ კონტექსტში. იღებს პასუხისმგებლობას პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაზე და/ან გუნდის სტრატეგიული საქმიანობის შეფასებაზე. აჩვენებს ლიდერულ უნარებს ცხოვრების განმავლობაში სწავლის კონტექსტში, პოლიტიკაში, ინსტრუმენტებსა და პრაქტიკებში, საქმიანობის ან სწავლის სფეროში და სხვადასხვა სფეროსთან კავშირში, აგრეთვე მათ ურთიერთკავშირში ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური სწავლის გზებთან. ახდენს ცოდნის ინტეგრირებასა და



			გადაწყვეტილების მიღებას საქმიანობის ან სწავლის სფეროში, სოციალური და მორალური საკითხებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით
TQF Level 8	Have the most advanced systematic knowledge and inquiry analysis capacity in the theory, practice, method and techniques of a field of work or study Have the most advanced interface knowledge in different fields of work or study related to a particular field of work or study	Have the most advanced and specialised skills , including synthesis and evaluation , that require the use of knowledge, methods and techniques, required to solve critical problems in the most advanced research and/or innovation within a field of work or study and to extend and redefine existing knowledge or professional practice Have skills required to understand, design, apply and adapt advanced research processes autonomously Have problem-solving skills, including the use of methods and approaches from different fields, required to solve new and complex problems in his/ her field	Demonstrate competence in the development of new ideas and processes at the forefront of work or study contexts, including strong competence, innovation, autonomy, scientific and professional consistency and research Show leadership in developing new and original approaches to redefine or extend existing knowledge or professional practice in a field of work or study Develop original policies and practices for the promotion of lifelong learning approach for knowledge in a field of work or study as well as the interface between different fields in unpredictable and complex contexts that require innovation, and for the promotion of this approach through formal, non-formal and informal ways of learning Create new knowledge in a field of work or study in consideration of social and moral issues and responsibilities
EQF LL 8	Have the most advanced systematic knowledge and inquiry analysis capacity in the theory, practice, method and techniques of a field of work or study; have the most advanced interface knowledge in different fields of work or study related to a particular field of work or study	Have the most advanced and specialised skills , including synthesis and evaluation , that require the use of knowledge, methods and techniques, required to solve critical problems in the most advanced research and/or innovation within a field of work or study and to extend and redefine existing knowledge or professional practice ; have skills required to understand, design, apply and adapt advanced research processes autonomously; have	demonstrate substantial authority, innovation, autonomy, scholarly and professional integrity and sustained commitment to the development of new ideas or processes at the forefront of work or study contexts including research.



		problem-solving skills, including the use of methods and approaches from different fields, required to solve new and complex problems in his/her field	
დონე 8	აქვს ყველაზე მოწინავე სისტემური ცოდნა და კვლევის ანალიზის შესაძლებლობა საქმიანობის ან სწავლის სფეროში თეორიის, პრაქტიკის, მეთოდებისა და ტექნიკების თვალსაზრისით. აქვს ყველაზე მოწინავე ინტერფეისის ცოდნა სხვადასხვა სფეროში, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობის ან სწავლის კონკრეტულ სფეროებთან .	აქვს ყველაზე მოწინავე და სპეციალიზებული უნარები, მათ შორის, სინთეზი და შეფასება, რომლებიც მოითხოვენ ცოდნის, მეთოდებისა და ტექნიკების გამოყენებას, კონკრეტულ სფეროში ყველაზე მოწინავე კვლევებში და/ან ინოვაციებში კრიტიკული პრობლემების გადაჭრისთვის და არსებული ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის გავრცელებისა და რეფორმირებისთვის. აქვს მოწინავე კვლევითი პროცესების დამოუკიდებლად აღქმის, დაგეგმვის, გამოყენებისა და ადაპტირების უნარები; აქვს პრობლემის გადაჭრის უნარები, მათ შორის სხვადასხვა სფეროიდან მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების უნარები, რომლებიც საჭიროა საქმიანობის ან სწავლის სფეროში ახალი და კომპლექსური პრობლემების გადაჭრისთვის	ავლენს კომპეტენციას ახალი იდეებისა და პროცესების განვითარებაში საქმიანობის ან სწავლის კონტექსტში; აჩვენებს განვითარებულ კომპეტენციებს ინოვაციის, ავტონომიურობის, სამეცნიერო და პროფესიული მდგრადობისა და კვლევის მიმართულებით. ავლენს ლიდერულ უნარებს ახალი და ორიგინალური მიდგომების განვითარებაში, რათა გააუმჯობესოს არსებული ცოდნა და საქმიანობის პრაქტიკა კონკრეტულ სფეროში. ახორციელებს ახალ პოლიტიკასა და პრაქტიკას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიდგომების პოპულარიზაციისთვის თავის საქმიანობისა და სწავლის სფეროში, ასევე სხვადასხვა სფეროს შორის ურთიერთკავშირის განვითარებისთვის, არაპროგნოზირებად და კომპლექსურ კონტექსტებში, რომლებიც საჭიროებენ ინოვაციას, და ამ მიდგომის პოპულარიზაციას ფორმალური და არაფორმალური სწავლის გზების საშუალებით. ქმნის ახალ ცოდნას საქმიანობის ან სწავლის სფეროში, ხოლო აღიქვამს სოციალურ და მორალურ საკითხებსა და პასუხისმგებლობებს.



2.6 ხარისხის უზრუნველყოფა

2.6.1 ხარისხის უზრუნველყოფა მე-5 კრიტერიუმის კონტექსტში

TQF-ის დანერგვამდე თურქეთში კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციებზე იყო დამოკიდებული და არ არსებობდა ეროვნული კოორდინაცია. TQF-ის დანერგვის შემდეგ შეიქმნა ეროვნული დონეზე გამჭვირვალე, სტრუქტურირებული და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. TQF-ის საბჭოების მეშვეობით ჩამოყალიბდა ინტეგრირებული მიდგომა მონიტორინგისა და ჰარმონიზაციის მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფა TQF-ის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და მასზე მოთხოვნები განსაზღვრულია სპეციალურ სამართლებრივ აქტში, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებელმა ინსტიტუტებმა უნდა ააგონ და განახორციელონ საკუთარი QA სისტემები.

1. კვალიფიკაციებისთვის ნათელი და გაზომვადი მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრა;
2. შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვა;
3. დაინტერესებული მხარეების ჩართვა პროცესში;
4. შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფა;
5. თვითშეფასებისა და გარე შეფასების მეთოდების განსაზღვრა;
6. უკუკავშირის (Feedback) მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება შემდგომი განვითარებისთვის;
7. შეფასების შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ეს პრინციპები (თურქული მხარის პოზიციით) სრულად შეესაბამება EQF რეკომენდაციის დანართ 3-ში მოცემულ პრინციპებს.

ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში სხვადასხვა ინსტიტუტს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

- თურქეთის განათლების სამინისტრო (MoNE) პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განათლებისა და გადამზადების (Training) კვალიფიკაციებზე;
- უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (HEIs) პასუხისმგებელი არიან უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებზე;



- პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტო (VQA) პასუხისმგებელია პროფესიულ კვალიფიკაციებზე;
- სხვა კვალიფიკაციების ხარისხს უზრუნველყოფენ შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებელი ორგანოები.

TQF-ის კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები განსაზღვრულია პასუხისმგებელ ორგანოებთან, კერძოდ, პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს (VQA) კოორდინაციით, ხოლო QA პრინციპები და პროცედურები დგინდება TQF საბჭოს მიერ. TQF კოორდინაციის საბჭო მონიტორინგს უწევს QA პროცესების გაუმჯობესებას.

თურქეთში განათლება ცენტრალიზებულია და განათლების სისტემას აქვს ვერტიკალური იერარქია, რაც ამ პროცესების ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. MoNE და CoHE QA სისტემების კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფას განიხილავენ EQF-ის პრინციპების შესაბამისად, თუმცა დოკუმენტის შემუშავების პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო სრულად მიღწეული მონიტორინგისა და შეფასების მოლოდინები. QA სისტემები განსხვავდება, რადგან MoNE-ის მიერ შემუშავებული კვალიფიკაციები უფრო აკადემიური და VQA-ის მიერ შემუშავებული კვალიფიკაციები დასაქმებისთვის აუცილებელ პრაქტიკული უნარებზეა ორიენტირებული.

2.6.2 განათლების სამინისტროს კომპეტენციას დაქვემდებარებული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა

MoNE-ის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ვალიდაცია;
- საგანმანათლებლო მასალებისა და ინსტრუმენტების (tools) განსაზღვრა და ვალიდაცია;
- საგანმანათლებლო პერსონალის დანიშვნა;
- შეფასება და მონიტორინგი;
- თვითშეფასება და გარე შეფასება;
- ინფორმაციის მართვის სისტემები;
- განათლებისა და მომზადების (training) ხარისხის სტანდარტები.



2.6.3 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ვალიდაცია;

პროგრამების შემუშავების პროცესი იწყება MoNE-ის შესაბამისი გენერალური დირექტორატებისა და კერძო სკოლების მიერ. პასუხისმგებელი დეპარტამენტები არიან პროგრამებისა და სასწავლო მასალების დეპარტამენტი და მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი. პროგრამები უნდა დაფუძნდეს სწავლის შედეგებზე და ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს პროცესში.

შემუშავებული პროგრამები გადაეგზავნება განათლების საბჭოს (BoE) ვალიდაციისთვის, რომელიც განსაზღვრავს მათ შესაბამისობას ეროვნულ პრიორიტეტებთან, პოლიტიკასთან, სამართლებრივ და ინსტიტუციურ რეგულაციებთან, ასევე, სწავლების მეთოდებთან. ვალიდაციის შემდეგ პროგრამები მინისტრს გადაეცემა დამტკიცებისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მათი განხორციელება.

პროგრამებს მონიტორინგს უწევენ და აფასებენ მათი განხორციელების ეტაპზე, სადაც შემდეგ მათ განაახლებენ, გაუმჯობესებენ და ეფექტიანობას შეაფასებენ.

2.6.4 საგანმანათლებლო მასალებისა და ინსტრუმენტების შემუშავება და ვალიდაცია

საგანმანათლებლო მასალები და ინსტრუმენტები შემუშავდება შესაბამისი გენერალური დირექტორატების მიერ და გადაეცემა განათლების საბჭოს (BoE) ვალიდაციისთვის. გარდა ამისა, წიგნები და საგანმანათლებლო მასალები შეიძლება, შემუშავდეს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. საბჭო განიხილავს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ წიგნებსა და საგანმანათლებლო საშუალებებს პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით და ვალიდაციის პროცესის გავლის შემდგომ მასალებსა და საშუალებებს გადასცემს მინისტრს დასამტკიცებლად. ასევე, საბჭო უზრუნველყოფს მათ ეფექტიან გამოყენებას მასწავლებლებისა და ტრენერების მიერ.

2.6.5 თვითშეფასება და გარე შეფასება

აღნიშნული ფუნქციები ხორციელდება სკოლებთან დაკავშირებული მონაცემებისა და ანგარიშების შეფასების საფუძველზე, რომელსაც აწარმოებენ როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ისე სამინისტროს შესაბამისი ერთეულები ეროვნულ დონეზე. თვითშეფასება ტარდება "განათლების ხარისხის მართვის სისტემის დირექტივის" ფარგლებში. ამ



დირექტივის თანახმად, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის თვითშეფასება სავალდებულო გახდა.

თვითშეფასება ტარდება ყოველწლიურად განათლების ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ინსტიტუციები რეგულარულად და სისტემატურად ახორციელებენ თვითშეფასებას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ანგარიშგების პროცედურები განსხვავებულია თითოეული ტიპის სკოლისთვის.

2009 წლიდან სკოლებში, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ და ტექნიკურ პროგრამებს, გამოყენებულია ხარისხის მართვის საერთო მიდგომა (The total quality management approach). ეს სკოლები თვითშეფასებას ახორციელებენ ევროპის ხარისხის მართვის ფონდის (EFQM) მიერ შემუშავებული სრულყოფის მოდელის (Excellence Model) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პრობლემური საკითხების უწყვეტ გაუმჯობესებას.

გარე შეფასება მოიცავს სკოლების ინსპექტირებასა და შეფასებას MoNE-ის მიერ. მისი ცენტრალური და რეგიონული ადმინისტრაციული სტრუქტურები პასუხისმგებელი არიან საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგსა და კონტროლზე. გარე შეფასება ახორციელდება სამი წლის ინტერვალით. გარე შეფასების ძირითადი მიზანია სკოლების შესაბამისობის შემოწმება მოქმედ კანონმდებლობასთან და მათთვის განმავითარებელი რეკომენდაციების მიცემა. ინსპექტორები გარე შეფასებას ახორციელებენ "სკოლის მართვისა და კონტროლის სახელმძღვანელოს" მიხედვით, რომელიც მომზადებულია განათლების ინსპექციის დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა ტიპისა და დონის სკოლისთვის.

2.6.6 საგანმანათლებლო და ტრენინგების სტანდარტები

MoNE-მ შეიმუშავა განათლების ხარისხის ეროვნული ჩარჩო, რომელიც მოქმედებაში შევიდა 2015 წლის მაისში და მიზნად ისახავს განათლებისა და მომზადების სტანდარტების განსაზღვრას, რომელიც MoNE-ის მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობს. ჩარჩო მოიცავს განათლებისა და მომზადების ყველა ასპექტს 14 თემატურ სფეროში. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი პასუხისმგებელია ჩარჩოს განხორციელების მონიტორინგზე ყველა საგანმანათლებლო სექტორში. ჩარჩოს განვითარება და განხორციელება განიხილება როგორც EQAVET-ის (ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების სისტემის) იმპლემენტაციის საშუალება.



2.6.7 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

რეფერენსირების ანგარიშის შემუშავების მომენტისთვის, თურქეთში უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის ტრადიციულმა ზომებმა, კორპორაციული მმართველობისა და სტრატეგიული დაგეგმვის არარსებობის გამო, მდგრადობა ვერ უზრუნველყო. ბოლონის პროცესში ჩართვამდე ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნის მცდელობები არ იყო პრიორიტეტული. 2005 წლის შემდეგ გააქტიურდა ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნებოდა. ამ მიზნით შეიქმნა უმაღლესი განათლების აკადემიური შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების კომისია (YODEK), რომელიც 2015 წელს გაუქმდა და მის ნაცვლად შეიქმნა უმაღლესი განათლების ხარისხის საბჭო (HEQB) უმაღლესი განათლების საბჭოს ფარგლებში. HEQB პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე, სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული მომსახურებების ხარისხზე, აკრედიტაციასა და დამოუკიდებელი შემფასებელი დაწესებულებების ავტორიზაციაზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- აკადემიური დაწესებულებებისა და ერთეულების შექმნა,
- აკადემიური პროგრამების განვითარება და დამტკიცება,
- სასწავლო მასალებისა და ინსტრუმენტების(tools) განსაზღვრა და დამტკიცება,
- აკადემიური პერსონალის დანიშვნა,
- შეფასებისა და მონიტორინგის პროცესები,
- თვითშეფასება და გარე შეფასება,
- ინფორმაციის მართვის სისტემები,
- უმაღლესი განათლების ხარისხის სტანდარტები.

აკადემიური ინსტიტუტებისა და ერთეულების შექმნა

თურქეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იქმნება სამინისტროს (MoNE) გადაწყვეტილებით, CoHE-ის რეკომენდაციის საფუძველზე. გამოწვევის წარმოადგენს ორწლიანი საჯარო პროფესიული სასწავლებლები და სხვა აკადემიური ერთეულები, რომელთაც ქმნის CoHE-ის გენერალური საბჭო. CoHE აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსებსა და მათ შესაბამისობას ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის პრინციპებთან.



აკადემიური პროგრამების განვითარება და დამტკიცება

CoHE პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული ყველა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე, რაც ავტომატურად ნიშნავს მათ აკრედიტაციას. ეს პროცესი უზრუნველყოფს პროგრამების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ხარისხიან ფუნქციონირებას. 2013 წლიდან ახალ პროგრამებს წარადგენენ ECTS სახელმძღვანელოს ფორმატის შესაბამისი სპეციალური ფორმით, სადაც სასწავლო კურსების შედეგები და პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებული და კვალიფიკაციებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

სასწავლო მასალებისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა და ვალიდაცია

სასწავლო მასალები უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს. ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მოამზადოს ECTS პაკეტი. აკადემიურ პერსონალს აქვს მასალების შერჩევის თავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფენ განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

აკადემიური პერსონალის დანიშვნა

აკადემიური პერსონალის დანიშვნის კრიტერიუმებს აღგენენ უნივერსიტეტები და ამტკიცებს CoHE, რის შემდეგაც ქვეყნდება. CoHE აწესრიგებს საჯარო უნივერსიტეტების პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების შტატებს დაწესებულებების საჭიროებების, დარგების სპეციფიკის, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

შეფასება და შეფასების მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტები ახორციელებენ როგორც თვითშეფასებას, ასევე გარე შეფასებას. ისინი ყოველწლიურად ამზადებენ თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც უკავშირდება შესრულების პროგრამასა და საქმიანობის ანგარიშს და წარედგინება HEQB-ს. ეს ანგარიშები საფუძვლად უდევს HEQB-ის მიერ ჩატარებულ გარე შეფასებას. თვითშეფასება მოიცავს მისიის, ხედვის, სტრატეგიული მიზნების, აკადემიური ერთეულების მიზნების, პროგრამების სტრუქტურისა და გაუმჯობესებისკენ მიმართული აქტივობების ანალიზს. თვითშეფასების ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, განათლების, კვლევისა და მენეჯმენტის შესახებ.

უნივერსიტეტები გარე შეფასებას გადიან ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ HEQB-ის მიერ. გარე შეფასებას ახორციელებენ HEQB-ის მიერ აღიარებული შემფასებლები ან დამოუკიდებელი



ორგანიზაციები. აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გარე შეფასებას პროგრამის დონეზე ახორციელებენ დამოუკიდებელი ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციები. თვითშეფასებისა და გარე შეფასების შედეგები საჯაროა და ქვეყნდება უნივერსიტეტებისა და HEQB-ის ვებგვერდებზე.

შეფასების პროცესი შეიძლება, განსხვავდებოდეს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო შედეგების მიხედვით. კანონით დადგენილია შეფასების ზოგადი პრინციპები, ხოლო უსდ-ებს აქვთ უფლება, შეიმუშავონ შეფასების სპეციფიკური რეგულაციები. უსდ-ს მიერ შემუშავებული რეგულაცია განსაზღვრავს მიმდინარე და დასკვნითი შეფასების ჩარჩოს, თუმცა კონკრეტული სასწავლო კურსის ან მოდულის შეფასების მეთოდზე გადაწყვეტილებას იღებს ლექტორი. ლექტორი ამზადებს კურსის სილაბუსს, რომელიც დეტალურად მოიცავს სწავლის შედეგებს, შეფასების მეთოდსა და კრიტერიუმებს.

უმაღლესი განათლების ხარისხის სტანდარტები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაცია ეფუძნება ევროპულ სტანდარტებსა და მითითებებს (ESG) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, რომელიც გამოქვეყნებულია ევროპული ასოციაციის მიერ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის (ENQA). ESG-სთან დაკავშირებული ცვლილებები გათვალისწინებული იყო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციის შემუშავებისას. შესაბამისად, თურქეთში უმაღლესი განათლების ხარისხის სტანდარტები (თურქული მხარის შეფასებით) შესაბამისობაშია ESG-სთან. უსდ-ების გარე შეფასების სტანდარტები გამოქვეყნებულია HEQB-ის მიერ.

კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა ეროვნული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემაში

პროფესიული კვალიფიკაციების ეროვნულ სისტემაში (NVQS) ხარისხს უზრუნველყოფს პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტო (VQA) ევროკავშირის პრინციპებისა და რეკომენდაციების (EQF, EQAVET, ECVET) გათვალისწინებით. NVQS-ის QA მოდელი მოიცავს ეროვნული პროფესიული სტანდარტებისა და კვალიფიკაციების შემუშავებასა და ვალიდაციას, სერტიფიცირების ორგანოების აკრედიტაციასა და ავტორიზაციას, შიდა და გარე ვერიფიკაციას, ავტორიზებული სერტიფიცირების ორგანოების თვითშეფასებასა და გარე შეფასებას. VQA მუდმივად კონსულტაციებს უწევს NVQS-ში ჩართულ მხარეებს. ავტორიზებული სერტიფიცირების ორგანოები (ACB) აკრედიტებულნი არიან TURKAK-ის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის შესაბამისად და ვალდებული არიან, განაზოცილონ თვითშეფასება და წარადგინონ ყოველწლიური ანგარიშები VQA-ს, ასევე გაიარონ TURKAK-ისა და VQA-ს გარე



შეფასება. NVQS არის მოქნილი სისტემა, რომელიც თავსებადია განათლების, პროფესიული მომზადებისა და შრომის ბაზრის ცვლილებებთან, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და QA ელემენტების დამატება, როგორიცაა ვერიფიკაცია, თვითშეფასების ანგარიშები და საკონსულტაციო მხარდაჭერა. სისტემა ითვალისწინებს ევროპული მეტაჩარჩოებისგან განსხვავებულ დონეებსა და კვალიფიკაციებს, ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის პროფილებს.

2.7 ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, მათ შორის ავტომატური აღიარება

თურქეთში არაფორმალური განათლების ვალიდაცია ძირითადად პროფესიულ კვალიფიკაციებზეა მიმართული და მასში მნიშვნელოვანი როლი აქვს პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს (VQA). პირის მიერ მიღებული არაფორმალური სწავლის შედეგები ფასდება და სერტიფიცირდება ეროვნულ კვალიფიკაციებზე დაყრდნობით, მიუხედავად განათლების მიღების ადგილისა და მეთოდისა. სიცოცხლის ბოლომდე სწავლების გენერალურმა დირექტორატმა (MoNE) 2013 წელს დაიწყო არაფორმალური განათლების აღიარების პროცესების მხარდაჭერა და პილოტური კვლევები. უმაღლეს განათლებაში აღიარება რეფერენსირების მომზადების პერიოდისთვის საწყის ეტაპზე იყო, თუმცა უმაღლესი განათლების საბჭო (CoHE) მუშაობდა შესაბამის რეგულაციებზე. თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩო (TQF) ხელს უწყობს არაფორმალური განათლების აღიარებას სხვადასხვა გზით, მათ შორის პროგრამებსა და გამოცდებზე წვდომის, კრედიტების დაგროვებისა და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობებით.

2.8 ეროვნული განათლების სისტემისა და ჩარჩოების გამოწვევები

TQF-ის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია განათლების სამინისტროს (MoNE), უმაღლესი განათლების საბჭოს (CoHE) და პროფესიული კვალიფიკაციების სააგენტოს (VQA) მჭიდრო თანამშრომლობა, თუმცა ეს პროცესი არაერთ გამოწვევას უკავშირდება. სირთულეებს ქმნის კვალიფიკაციების ფართო სპექტრის გაერთიანება საერთო ჩარჩოში, მრავალფეროვანი სისტემების ჰარმონიზაცია, საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება და ჩარჩოს კომპლექსური ბუნება.

გარდა ამისა, პრობლემად რჩება დაინტერესებული მხარეების განსხვავებული ცოდნა TQF-ის შესახებ, ცნობიერების ნაკლებობა, პროცესების დროში გაჭიანურების რისკი, დიდი მოსახლეობისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობის გათვალისწინებით



კვალიფიკაციების მრავალფეროვნება, ავტონომიური უნივერსიტეტების მიერ მსგავსი შინაარსის სხვადასხვა დასახელების კვალიფიკაციების შექმნა და ეროვნული თუ ევროკავშირის მიერ დადგენილი ვადების დაცვა.

ფინანსური და ადმინისტრაციული საწესიების არარსებობა, ასევე, წარმოადგენს გრძელვადიან გამოწვევას TQF-ის სრულყოფილი დანერგვისთვის.

2.9 განვითარების სამომავლო გეგმები

TQF-ის განვითარება და დანერგვა მიმდინარეობს ეტაპობრივად, რაც მოითხოვს პასუხისმგებელ ორგანოთა ეფექტიან თანამშრომლობასა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღებას. შეიქმნა მენეჯმენტის სტრუქტურა, მომზადდა 3-წლიანი სამოქმედო გეგმა და განახლდა საინფორმაციო რესურსები. რეფერენსირების ანგარიშის შემუშავების პერიოდში დაწყებულია TQF-ის გამოყენება ეროვნული კვალიფიკაციების სისტემაში, ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები და მომზადდა მონაცემთა ბაზა 1,400 კვალიფიკაციის აღწერით.

შემდგომი განვითარებისთვის დაგეგმილია დამატებითი კვლევები და სახელმძღვანელოების მომზადება, რისთვისაც გამოიყო დაახლოებით 1 მილიონი ევრო.

2.10 საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება გაზიარებულ იქნას

დოკუმენტზე დაყრდნობით შესაძლებელია, ითქვას, რომ თურქეთის განათლების სისტემის და მისი სპეციფიკური თავისებურებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ვრცლად, სიღრმისეული და სისტემატიზირებული ფორმით. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში დეტალური ინფორმაციაა მითითებული ავტორებზე, მუშაობის პროცესზე და ასევე, იკვეთება იმ ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი აქტორების ჩამონათვალი, რომლებმაც დოკუმენტის განხილვასა და მასზე უკუკავშირების მომზადებაში მიიღეს მონაწილეობა. დოკუმენტი ლოგიკურადაა აგებული, მკაფიოდ იკვეთება თურქეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისობა და განსხვავებები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპულ ჩარჩოსთან. დოკუმენტში გვხვდება სხვადასხვა პროცესის სქემატური აღწერა, ცხრილები, გრაფიკები, რაც აადვილებს მონაცემების აღქმას. ანგარიშში მკაფიოდაა გაწერილი სისტემის იმდროინდელი გამოწვევები და დასახულია მკაფიო გეგმა, მათი აღმოფხვრისთვის გასაწევი ღონისძიებებითა და შესაბამისი შესრულების ვადების მითითებით.



III. ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების და რეფერენსირების ანგარიში (2018 წელი)



3.1 ინფორმაცია ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ

ლატვიის /ლატვიის კვალიფიკაციების ჩარჩო (LQF)

ზოგადი ინფორმაცია. ლატვიამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპის კვალიფიკაციების მეტა ჩარჩოსთან (EQE-LLL) რეფერენსირების პირველი ანგარიში 2011 წელს შეიმუშავა. ორი წლით ადრე, 2009 წელს, ქვეყანამ წარმატებით დაასრულა უმაღლესი განათლების სისტემის თვითსერტიფიცირების ანგარიშზე მუშაობა ბოლონის უმაღლესი განათლების ჩარჩოსთან თავსებადობის დადგენის მიზნით. შემდეგ წლებში ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმის კვალდაკვალ ჩარჩოში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით, ლატვიამ 2017 წელს მოამზადა ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების განახლებული ანგარიშის სამუშაო ვერსია, რასაც წინ უსწრებდა თემატური კვლევების ჩატარება დაინტერსებული მხარეების ფართო ჩართულობით. პირველ ეტაპზე მომზადდა განახლებული თვითშეფასების ანგარიშის პროექტი, რომლის შეფასებაში ჩართული იყო სამი საერთაშორისო ექსპერტი. საჯარო განხილვების და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, ანგარიშმა საბოლოო სახე 2018 წელს მიიღო.

I ფაზა (2009-2011) – LQF-ის შემუშავება და ფორმალური განათლების სისტემის რეფერენსირება და თვითსერტიფიცირება ევროპული კვალიფიკაციების მეტა ჩარჩოებთან (EQF-LLL და QF-EHEA).

II ფაზა (2013-2018) – LQF-ის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, რომელიც ასახავდა პროფესიული განათლების ახალ კანონს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ და რამდენიმე პროექტის პილოტირების შედეგებს.

3.2 რეფერენსირების ანგარიშის სტრუქტურა

განახლებული თვითშეფასების ანგარიში შესავლისა და ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. დოკუმენტის პირველ ნაწილში აღწერილია ლატვიის კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში შესული ძირითადი ცვლილებები 2011 წლიდან. კერძოდ, განათლების სისტემის განვითარების ძირითადი მიღწევები, მათ შორის - სწავლის შედეგების სისტემის დანერგვის



როლი ლატვიის განათლების სისტემისთვის; განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა; ინფორმალური და არაფორმალური სწავლის შედეგების აღიარება და სხვა. ანგარიშის მეორე ნაწილი აღწერს ლატვიის კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შესაბამისობას ევროპული კვალიფიკაციების მეტა ჩარჩოებთან რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების კრიტერიუმების გამოყენებით. მოცემული დოკუმენტი 107 გვერდისგან შედგება და შემდეგი შინაარსისაა:

აბრევიატურა

შესავალი

თვითშეფასების პროცესი 2011 წლიდან

1. პირველი ნაწილი: ლატვიის განათლების სისტემის განვითარება 2011 წლიდან

- 1.1 LQF-ის სამართლებრივი ჩარჩო;
- 1.2 LQF დონეების მიმოხილვა;
- 1.3 LQF დონის მითითება განათლების დოკუმენტებში;
- 1.4 ბოლონიის პროცესამდე არსებული კვალიფიკაციების რეფერენსირება ბოლონიის პროცესის კვალიფიკაციებთან;
- 1.5 ტერმინოლოგიის შემუშავება;
- 1.6 კრედიტების სისტემის განვითარება ლატვიაში;
- 1.7 დარგობრივი კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავება;
- 1.8 ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების მონაცემთა ბაზის შემუშავება.

2. სწავლის შედეგების მნიშვნელობა ლატვიის განათლების სისტემაში

- 2.1 ზოგადი განათლება;
- 2.2 პროფესიული განათლება;
- 2.3 უმაღლესი განათლება.

3. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

- 3.1 ზოგადი და პროფესიული განათლება;
- 3.2 უმაღლესი განათლება.

4. არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება

- 4.1 პროფესიული განათლება;
- 4.2 უმაღლესი განათლება.

მეორე ნაწილი: ლატვიის კვალიფიკაციების შედარება ევროპული კვალიფიკაციების მეტა ჩარჩოებთან (EQF-LLL და QF-EHEA).

დანართები: (მაგალითები)



3.3 განათლების სისტემის აღწერა

ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო რვა დონისგან შედგება. რეფორმის შედეგად ცვლილებები შევიდა კვალიფიკაციების სისტემაში, კერძოდ, გაჩნდა პროფესიული კვალიფიკაცია სადოქტორო სწავლების საფეხურზე. ცვლილებები განათლების კანონში ლატვიის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (LQF) დაკავშირებით 2015 წელს დამტკიცდა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

(1) ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო რვა დონისგან შედგება. იგი მოიცავს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ლატვიის კვალიფიკაციის ჩარჩო რეფერენსირებულია ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF-LLL).

(2) ლატვიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეები აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებიც მიღწეულია შესაბამის დონეზე. თითოეული დონე აღწერილია საფეხურისთვის განსაზღვრული ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით.

(3) ლატვიის კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეებია:

- 1) პირველი დონე** – ელემენტარული ცოდნის დემონსტრირებისა და მისი გამოყენების უნარი. ძირითადი პრაქტიკული დავალებების შესრულება პროფესიონალის მეთვალყურეობის ქვეშ;
- 2) მეორე დონე** – საბაზისო უნარების დემონსტრირებისა და გამოყენების უნარი. მარტივი პრაქტიკული ამოცანების შესრულების უნარი შესაბამის სფეროში გარკვეული ავტონომიით ან დარგის სპეციალისტის ზედამხედველობით;
- 3) მესამე დონე** – კომპლექსური ცოდნის დემონსტრირებისა და მთელი რიგი ამოცანების შესრულების უნარი უცვლელ და სტაბილურ გარემოში, სამუშაოს შედეგზე პასუხისმგებლობის აღების უნარი;
- 4) მეოთხე დონე** – კომპლექსური ცოდნის დემონსტრირების უნარი და შესაბამის სფეროში სამუშაოების დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარი, სამუშაოს შესრულების უნარი ინდივიდუალურად, გუნდში ან სხვა პირების ხელმძღვანელობით;
- 5) მეხუთე დონე** – კომპლექსური და კონკრეტული სფეროს სპეციალიზებული ცოდნის დემონსტრირების უნარი; პრაქტიკული დავალების შესრულებისას ცვალებად გარემოში



პრობლემის მოგვარებისას ანალიტიკური მიდგომის გამოყენების უნარი; საკუთარი საქმიანობის გაგების უნარი უფრო ფართო სოციალურ კონტექსტში, რათა მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სფეროს განვითარებაში და შეაფასოს საკუთარი და სხვა პირების ქმედებები;

6) მეექვსე დონე – ზოგადი და სპეციალიზებული ცოდნის დემონსტრირების უნარი შესაბამის სფეროში და ცოდნის გამოყენების უნარი პროფესიული, შემოქმედებითი, ინოვაციური ან კვლევითი დავალების შესასრულებლად; პრობლემის გადაჭრისას მეცნიერული მიდგომის გამოყენების უნარი, პასუხისმგებლობის აღებისა და ინიციატივის გამოვლენის, ცვალებად კონტექსტში გადაწყვეტილების მიღებისა და შემოქმედებითი გადაწყვეტილებების პოვნის უნარი;

7) მეშვიდე დონე – მოწინავე ან ფართო ცოდნის დემონსტრირების უნარი სამუშაო ან სწავლის შესაბამის სფეროში; თეორიის, მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი, და პრობლემის გადაჭრის უნარები, რაც საჭიროა კვლევის ჩასატარებლად, შემოქმედებითი ან მაღალკვალიფიციური პროფესიული საქმიანობისთვის ცვალებად კონტექსტში; კომპლექსური სამეცნიერო და პროფესიული პრობლემების დამოუკიდებლად განსაზღვრის, ანალიზისა და კრიტიკის უნარი, სხვადასხვა სფეროში ცოდნის ინტეგრირების უნარი და ახალი ცოდნის შექმნაში წვლილის შეტანა;

8) მერვე დონე – ფართო სამეცნიერო ცოდნის დემონსტრირების უნარი; მოწინავე ცოდნისა და სამეცნიერო თეორიების გაგებისა და ცოდნის დემონსტრირების უნარი; სამეცნიერო მეთოდოლოგია და თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენების უნარი მეცნიერების ან პროფესიის შესაბამის სფეროში; მეცნიერული ცოდნის დამოუკიდებლად ამაღლების უნარი და ფართომასშტაბიანი სამეცნიერო პროექტების განხორციელების უნარი; მნიშვნელოვანი კვლევითი ან ინოვაციური ამოცანების შესასრულებლად დამოუკიდებელი კრიტიკის, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი.

ცხრილი N1. ლატვიის კვალიფიკაციის ჩარჩო.

კვალიფიკაცია	დონე
ზოგადი საბაზო განათლების სერტიფიკატი (პროგრამები რთული დარღვევების მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის/ ფსიქიკური განვითარების (მძიმე) დარღვევებით ან სხვადასხვა სახის მძიმე განვითარების დარღვევები)	1



ზოგადი საბაზო განათლების სერტიფიკატი პროფესიული საბაზო განათლების სერტიფიკატი პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი (საბაზო განათლების დონეზე)	2
პროფესიული განათლების სერტიფიკატი (arodizgñitba) პროფესიული კვალიფიკაციის სერტიფიკატი (პროფესიულ განათლებაში (arodizgñitba) დონე)	3
ზოგადი საშუალო განათლების სერტიფიკატი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი (საშუალო განათლების დონეზე)	4
პირველი საფეხურის პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომი (კოლეჯის განათლება, ხანგრძლივობა სრული განაკვეთი - 2-დან 3 წლამდე)	5
ბაკალავრის დიპლომი პროფესიული ბაკალავრის დიპლომი უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი, უმაღლესი პროფესიულის დიპლომი კვალიფიკაცია (სრულ განაკვეთზე სწავლის ხანგრძლივობა - მინიმუმ 4 წელი)	6
მაგისტრის დიპლომი პროფესიული მაგისტრის დიპლომი უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი, უმაღლესი პროფესიულის დიპლომი კვალიფიკაცია (სრულ განაკვეთზე სწავლის საერთო ხანგრძლივობა - მინიმუმ 5 წელი)	7
დოქტორის დიპლომი პროფესიული დოქტორის დიპლომი	8

3.4 სწავლის შედეგების აღწერა

ლატვიის განათლების კანონის 81-ე მუხლი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას ჩარჩოს თითოეული დონისთვის. თითოეული დონე მოიცავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა მიღწევა აუცილებელია შესაბამისი დონის დაძლევისთვის. ზოგადი განათლების მინიმალური განსაზღვრულია ზოგადი განათლების საფეხურისა და საგნობრივი სტანდარტებით, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებით, რომიც შემუშავებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. პროფესიული განათლების კანონის მიხედვით პროფესიული



განათლების შინაარსი რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტები, პროფესიის სტანდარტები და პროფესიული განათლების პროგრამები.

უმაღლესი განათლების შინაარსი რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: სახელმწიფო განათლების სახელმწიფო სტანდარტები, ანუ სახელმწიფო აკადემიური განათლების სტანდარტი, სახელმწიფო სტანდარტი პროფესიული უმაღლესი განათლების შესახებ და დოქტორის ხარისხის მიღების სტანდარტი.

3.5 ხარისხის უზრუნველყოფა

ზოგადი და პროფესიულ განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია განათლების ხარისხის სახელმწიფო სამსახური (State Education Quality Service (SEQS). პროფესიულ განათლებაში 2013 წლიდან დანერგილი ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს (EQAVET) სტანდარტები. პროფესიული განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის დროს გამოიყენება შემდეგი ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები;
2. სწავლა-სწავლების სისტემა;
3. საგანმანათლებლო მიღწევები;
4. სტუდენტთა მხარდაჭერა;
5. ინსტიტუციური გარემო;
6. ინსტიტუციური რესურსები;
7. სამუშაო კულტურა, მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა.

უმაღლეს განათლებაში გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს (ESG). სისტემაში დამკვიდრებულია შემდეგი გარე ხარისხის მექანიზმები: პროგრამული აკრედიტაცია (პროგრამების ლიცენზირება), უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია და სწავლის სფეროების აკრედიტაცია. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ შემდეგ ინსტიტუტებს:



1. აკადემიური საინფორმაციო ცენტრი – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (AIKA). ცენტრი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ლიცენზირებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლებლებისა და სწავლის სფეროების აკრედიტაციას.
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საბჭო უზრუნველყოფს სტრატეგიულ მენეჯმენტსა და სასწავლო პროგრამების ლიცენზირების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და სასწავლო სფეროების აკრედიტაციის ორგანიზების დაგეგმვას. საბჭოს სამდივნოს ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს აკადემიური საინფორმაციო ცენტრი (AIC).
3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აკრედიტაციის პროცესში AIC-ის აწვდის ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებიც შეტანილია სახელმწიფო და სამინისტროს საინფორმაციო რეესტრებში. აკრედიტაციის მიღების შემდეგ სასწავლო აკრედიტაციის ან სალიცენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე AIC გასცემს ლიცენზიას ან სასწავლო სფეროს აკრედიტაციის სერთიფიკატს, რომელსაც ხელს აწერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.
4. უმაღლესი განათლების საბჭო განიხილავს უმაღლესი სასწავლებლების განაცხადს აკრედიტაციის შესახებ, იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ და უგზავნის გადაწყვეტილებას სამინისტროს დასამტკიცებლად, ასევე ამტკიცებს შეფასების მეთოდოლოგიას. საბჭოს მიერ შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების მეთოდოლოგიას თავის ვებგვერდზე აქვეყნებს AIC.
5. ლატვიის მეცნიერების საბჭო AIC-ის მოთხოვნით, წარადგენს ანგარიშს დოქტორანტურის შესახებ ლიცენზირებისთვის წარდგენილი სასწავლო პროგრამების შეფასების შესახებ.

3.6 ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, მათ შორის ავტომატური აღიარება

ლატვიას აქვს კარგად ორგანიზებული არაფორმალური განათლების აღიარების სისტემა პროფესიულ განათლებაში (2-4 დონე). ლატვიას არაფორმალური განათლების სისტემის აღწერა წარმოდგენილი ჰქონდა რეფერენსირების 2012 წლის ანგარიშში, ხოლო განახლებულ



ანგარიშში აღწერილია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების კუთხით ჩატარებული სამუშაო და სტატისტიკური მონაცემები ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, ასევე იმ ძირითადი მიზეზების შესახებ, რაც განაპირობებს ინდივიდების მოტივაციას, მიმართონ არაფორმალური განათლების აღიარებას (ძირითადად შრომის ბაზრის მოთხოვნები). უმაღლესი განათლების საფეხურზე არაფორმალური განათლების აღიარების სისტემა ეფუძნება საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც ასევე 2012 წელს იქნა მიღებული. არაფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელია 5-7 დონეზე და წამყვანი როლი ეკისრებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. შესაბამისი წესების დაცვით დაწესებულების შიგნით იქმნება არაფორმალური განათლების აღიარების კომისია, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

3.7 ეროვნული განათლების სისტემისა და ჩარჩოების გამოწვევები

განხილულ ანგარიშში განვითარების სამომავლო გეგმები არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკებს, რომლებიც დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება გაზიარებულ იქნას, შემდეგია: (1). დოკუმენტის სტრუქტურა ძალიან ნათლად აწვდის მკითხველს ინფორმაციას ჩარჩოს შესახებ. (2). მარტივი და გასაგები ენით აღწერილია ჩარჩოს შედარება ევროპულ მეტა-ჩარჩოებთან (EQF-LLL და QF-EHEA) რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების კრიტერიუმების დაცვით. (3). საინტერესოა ლატვიის გამოცდილების გაზიარება უმაღლეს განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ნაწილში.



IV. სორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების და რეფერენსირების ანგარიში (2024 წელი)



4.1 ინფორმაცია ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ (CROQF)

ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (CROQF) შემუშავება 2007 წელს დაიწყო. 2011 წელს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით მომზადდა ჩარჩოს საკანონმდებლო პაკეტი, ხოლო 2013 წელს ჩარჩო დამტკიცდა ხორვატიის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მიერ. საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად განისაზღვრა ინსტიტუციური ჩარჩო CROQF-ის შემდგომი განვითარებისა და განხორციელებისთვის, მათ შორის, ჩარჩოს ევროპის მეტაჩარჩოებთან (QF-LLL EQF-LLL) თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირებისთვის. CROQF საკანონმდებლო აქტის მიხედვით, მეცნიერების, განათლებისა და სპორტის სამინისტრო (MSES) არის ეროვნული საკოორდინაციო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ჩარჩოს განვითარებასა და განხორციელებაზე. CROQF რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესზე ასევე პასუხისმგებელია ეროვნულ საკოორდინაციო უწყება (NCP).

CROQF არის ხორვატიის კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, რომელიც აერთიანებს ფორმალურ განათლებაში ყველა კვალიფიკაციას. იგი შედგება 10 დონისგან. თითოეულ დონეს აქვს დონის აღმწერი. ჩარჩოს მიზანია ხორვატიის განათლების სისტემაში არსებული კვალიფიკაციების შესადარისობის, გამჭვირვალობისა და მთელი სიცოცხლის სწავლის განმავლობაში სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

პროცესის შესახებ. ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების ანგარიში ერთიან დოკუმენტად ადგილობრივი ექსპერტთა ჯგუფის მიერ (სამუშაო ჯგუფი) და ხუთი საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით მომზადდა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ექსპერტები პროცესში მონაწილეობდნენ ანგარიშზე მუშაობის დაწყებისთანავე. ანგარიშის საჯარო განხილვების მიზნით ჩატარდა



არაერთი სამუშაო შეხვედრა, ხოლო მიღებული უკუკავშირის მიხედვით დოკუმენტში არსებითი ცვლილებები შევიდა. გარდა ამისა, 2012 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც თემატურ ჯგუფებში (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) ძირითადად დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს ანგარიში. 2012 წელს ანგარიში დაამტკიცა განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრომ და აგრეთვე უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულებმა. 2012 წლის მარტში ანგარიში წარადგინეს ევროკომისიის კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა ჯგუფში.

4.2 რეფერენსირების ანგარიშის სტრუქტურა

CROQF თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირების ანგარიში არის კარგად სტრუქტურირებული დოკუმენტი, რომელიც შედგება შესავლისა და ექვსი ძირითადი ნაწილისგან. შესავლის შემდეგ ანგარიშის მეორე ნაწილში გადმოცემულია ეროვნული კონტექსტი ჩარჩოს რეფერენსირებისთვის და ხორვატიის განათლება სისტემა საფუძვლიანად არის აღწერილი, რათა ის გასაგები გახდეს საერთაშორისო და ეროვნული მკითხველისთვის. ანგარიშის მესამე ნაწილში გადმოცემულია CROQF-ის შემუშავების მიზანი, როლი, ძირითადი კონცეფციები, სწავლის შედეგები, ჩარჩოს დონეები და დონის აღმწერები, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და წინარე განათლების აღიარება. მეოთხე ნაწილში აღწერილია ხორვატიის კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპის კვალიფიკაციების მეტა-ჩარჩოების EQF-სა და QF-EHEA-ს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების კრიტერიუმებთან მიმართებით. შედარების დროს მოყვანილია შესაბამისი მაგალითები სწავლის შედეგების შესახებ არსებული პროგრამებიდან. აგრეთვე გადმოცემულია კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციების ასახვის მეთოდოლოგია და აღწერილია სტრუქტურები, რომლებიც ჩართულნი არიან როგორც ჩარჩოს თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირების პროცესში, ასევე, ზოგადად, ჩარჩოს განვითარებასა და განხორციელებაში. ჩარჩოს მეხუთე ნაწილში,



მოცემულია პასუხები თითოეულ კრიტერიუმსა და პროცედურაზე შედარების კუთხით. ბოლო, მეექვსე, თავში მოცემულია CROQF-ის შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

4.3 ხორვატიის განათლებისა და ტრენინგების სისტემა

ხორვატიის განათლებისა და ტრენინგების სისტემა შემდეგი ქვესისტემებისგან შედგება:

- სკოლამდელი განათლება;
- დაწყებითი განათლება;
- საშუალო განათლება:
 - ზოგადი განათლება (გიმნაზია);
 - განათლება სახელოვნებო სკოლებში;
 - პროფესიული განათლება (1-წლიანი, 2-წლიანი, 3-წლიანი, 4-წლიანი პროგრამები, 5-წლიანი რეგულირებადი პროგრამები ჯანდაცვის სფეროში)
- შემდგომი პროფესიული განათლება;
- უმაღლესი განათლება: უმაღლეს განათლებაში არის ორი ძირითადი მიმართულება: აკადემიური და პროფესიული. აკადემიური მიმართულების პროგრამების განმახორციელებლები არიან უნივერსიტეტები, ხოლო პროფესიული მიმართულების უმაღლესი განათლების პროგრამებს უნივერსიტეტებთან ერთად ახორციელებენ პოლიტექნიკური დაწესებულებები. უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამები არის 3- დან 4-წლამდე ხანგრძლივობისა და 180-240 (ECTS) კრედიტის მოცულობის პროგრამები. რაც შეეხება სამაგისტრო სწავლების საფეხურს, სასწავლო პროგრამები 60-120 (ECTS) კრედიტის მოცულობისაა, ხოლო სწავლის ხანგრძლივობაა 1-2 წლამდე. ზოგიერთი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამების მოცულობა მინიმუმ 300 (ECTS) კრედიტია (მაგალითად - სამართალი) და 360 (ECTS) კრედიტი (მაგალითად - მედიცინა). ჩარჩოს მე-7 დონეზე არის აგრეთვე უმაღლესი განათლების სპეციალისტის კვალიფიკაცია. აღნიშნულ კვალიფიკაციაზე სწავლას აგრძელებენ კონკრეტული დარგის პროფესიონალები, რომელთაც სურთ დარგში სპეციალიზებული უმაღლესი



განათლების მიღება. ასეთ პროგრამების მოცულობა კრედიტებში შეადგენს 60-120 (ECTS) კრედიტს.

(1) აკადემიური მიმართულება უმაღლეს განათლებაში

- საბაკალავრო პროგრამები;
- სამაგისტრო პროგრამები;
- სამაგისტრო პროგრამა - სპეციალისტი;
- დიპლომის შემდგომი საუნივერსიტეტო განათლება.

(2) პროფესიული მიმართულება უმაღლეს განათლებაში

- მოკლე ციკლის პროფესიული პროგრამები;
- ბაკალავრის პროფესიული პროგრამები;
- სპეციალიზებული პროფესიული სამაგისტრო პროგრამები.

ცხრილი N2. ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შედარება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

Table 4.6: An overall referencing

EQF level	CROQF level	CROQF sublevel	QF-EHEA cycles
8	8	8.2	Third cycle
		8.1	
7	7	-	Second cycle
6	6	-	First cycle ²³
5	5	-	Short cycle (within or linked to the first cycle)
4	4	4.2	
		4.1	
3	3	-	
2	2	-	
1	1	-	



4.4 განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე შემდეგი ორგანიზაციები არიან პასუხისმგებელნი:

(1). დარგობრივი საბჭოები (25 დარგობრივი საბჭო და 1 ინტერ-სექტორული საბჭო) არის პასუხისმგებელი, ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. საბჭოების უფლებამოსილებაში შედის პროფესიის სტანდარტის ვალიდაცია და რეკომენდაციების შემუშავება. (2). ადამიანური პოტენციალის განვითარების ეროვნული საბჭო არის ცენტრალური სტრატეგიული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია CROQF განვითარებაზე. ეროვნული საბჭოს პასუხისმგებლობა და ამოცანებია: ჩარჩოს განვითარება და მონიტორინგი, კვალიფიკაციებთან დაკავშირებით საბჭოებისა და გაწყვეტილებების განხილვა და ვალიდაცია, აგრეთვე, რეკომენდაციების შემუშავება სამინისტროსთვის.

განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია/რეაკრედიტაციის მექანიზმით. დაწესებულებების, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების, აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია, აგრეთვე, მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას.

4.5 არაფორმალური განათლების აღიარება

ანგარიშში აღნიშნულია, რომ არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება მნიშვნელოვანი მექანიზმია და იგი ვითარდება ხორვატიის კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებასთან ერთად. ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ხედვა აღნიშნული სისტემის განვითარების კუთხით და ინფორმაცია, რომ კონკრეტული მექანიზმების შემუშავება დაგეგმილია ჩარჩოს განვითარებასთან ერთად.



4.6 ხორვატიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემდგომი განვითარების საკითხები

ჩარჩოს შემდგომი განვითარება მოიცავს, პირველ რიგში, ინსტიტუციური ჩარჩოს შემდგომ სრულყოფას ჩარჩოს სრული იმპლემენტაციისთვის. ჩარჩო დამტკიცების შემდეგ კანონქვემდებარე აქტებმა უნდა დააზუსტოს ჩარჩოს განვითარების პროცედურა და პასუხისმგებელი ინსტიტუციების და დაინტერესებული მხარეების უფლება-მოვალეობები. აგრეთვე, დასახელებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემდგომი სრულყოფა, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები. ანგარიშში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ დაგეგმილია არაფორმალური განათლების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. ასევე, ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მნიშვნელობის გაძლიერება ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის და ჩარჩოს შემდგომი განვითარების დაგეგმვა ევროკავშირის მნიშვნელოვანი ინიციატივების გათვალისწინებით, როგორც არის EQF/Ploteus portal, ESCO და სხვა.

რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკებს, რომლებიც დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება გაზიარებულ იქნას, დოკუმენტის სტრუქტურა ძალიან ნათლად აწვდის მკითხველს ინფორმაციას ჩარჩოს შესახებ. განსაკუთრებით, დეტალურად არის აღწერილი თითოეული კვალიფიკაცია: მასზე დაშვების წინაპირობები, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები და სხვა.



V. იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიში (2022 წელი)



5.1 იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და მისი რეფერენსირების პროცესის მიმოხილვა

მთელი სიცოცლის განმავლობაში სწავლისთვის განკუთვნილი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (შემდგომში – EQF) წარმოადგენს ერთიან საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რომლის მიზანია ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებში კვალიფიკაციების გამჭვირვალობისა და შედარებადობის გაუმჯობესება. EQF მოიცავს ყველა ეროვნულ საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემაში არსებულ სხვადასხვა დონის და კატეგორიის კვალიფიკაციებს და სრულყოფილად ასახავს მის განხორციელებაში ჩართული ქვეყნების კვალიფიკაციების სისტემებს.

იტალია EQF-ს მისი ამოქმედების პირველი ეტაპიდანვე შეუერთდა და 2013 წელს მიიღო „იტალიის კვალიფიკაციების EQF-თან რეფერენსირების პირველი ეროვნული ანგარიში“ (ISFOL, 2014).

EQF-ის რეკომენდაციის განხორციელების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, რომელიც 2013 წელს "იტალიური კვალიფიკაციების EQF-თან შესაბამისობის ანგარიშის" მიღებით დასრულდა, იტალიამ თანდათანობით გადაინაცვლა EQF-ის განხორციელების მეორე ფაზაში.

ამ პროცესის ფარგლებში, პირველი შესაბამისობის ეტაპთან შედარებით, ორი მთავარი ინოვაციური მიმართულება გამოიკვეთა, რაც აღნიშნული ანგარიშის შემუშავების საფუძველი გახდა:

1. ეროვნული კომპეტენციების სერტიფიკაციის სისტემის (NSCC) განხორციელება, რომელიც ეროვნული და პროფესიული განათლების სხვადასხვა სისტემაში ნერგავს ახალ სერვისებს. ეს მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების იდენტიფიკაციას, ვალიდაციასა და სერტიფიკაციას. ამასთან, კვალიფიკაციების ეროვნულ რეესტრში ჩასართავად EQF-თან შესაბამისობის დადგენა სავალდებულო კრიტერიუმად განისაზღვრა.
2. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) შექმნა, რომელიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, უზრუნველყოფს საჯარო განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემების უკეთ ორგანიზებას, მოდერნიზაციას და აღწერას. ეს ქმნის პირობებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გაცემული ყველა კვალიფიკაციისა – როგორც უკვე EQF-თან შესაბამისობაში მოყვანილი, ისე 2013 წლის პირველ ანგარიშში ჯერ არ შეტანილი კვალიფიკაციებისა – თანმიმდევრული შესაბამისობის დასადგენად.



იტალიამ 2018 წელს მიიღო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (NQF), რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია მისი განახლებული რეფერენსირების ანგარიში (რომელიც ანაცვლებს წინას) და მიზნად ისახავს იტალიური კვალიფიკაციების EQF-თან შესაბამისობის განახლებას.

2018 წლის იანვარში მიღებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) შემუშავდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) სტრუქტურასთან მჭიდრო შესაბამისობაში. იგი შედგება რვა კვალიფიკაციის დონისგან, რომლებიც განსაზღვრულია დონის აღმწერებით და მოიცავს სამ განზომილებას: ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. თითოეული იტალიური კვალიფიკაციის ჩარჩოს უზრუნველსაყოფად შემუშავდა დამატებითი ქვეაღწერები, რომლებიც ავსებს EQF-ის დონის აღმწერებს. იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს კვალიფიკაციებს სასკოლო განათლებიდან (ზოგადი, ტექნიკური და პროფესიული), უმაღლესი განათლებიდან და რეგიონულ დონეზე ადმინისტრირებულ პროფესიული და ტექნიკური განათლებიდან (VET).

სკოლებში (ზოგადი, ტექნიკური და პროფესიული) მინიჭებული კვალიფიკაციების მართვაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო, უმაღლესი განათლების მიმართულებას კურირებს უნივერსიტეტებისა და კვლევების სამინისტრო, ხოლო რეგიონული პროფესიული და ტექნიკური განათლების (VET) კვალიფიკაციებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ რეგიონებს და ტრენტოსა და ბოლცანოს ავტონომიურ პროვინციებს.

„იტალიური კვალიფიკაციების ჩარჩოს EQF-თან რეფერენსირების ანგარიში“ მიზნად ისახავს 2018 წლის უწყებათაშორისი დადგენილებით შექმნილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) პრაქტიკულ გამოყენებაში მოყვანას. ეს ხორციელდება ეროვნული და რეგიონული საგანმანათლებლო და სატრენინგო სისტემებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და EQF-თან შესაბამისობის უზრუნველყოფით.

ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) დამამტკიცებელი დადგენილების მითითებების შესაბამისად, ასევე EQF-ის რეკომენდაციების მიხედვით, დაინერგება "ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გაცემული ინდივიდუალური კვალიფიკაციების NQF/EQF-თან შესაბამისობის დადგენის პროცედურა". ამ მიზნის მისაღწევად EQF-ის ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი (EQF NCP), რომელიც ეკუთვნის აქტიური შრომის პოლიტიკის ეროვნული სააგენტოს (ANPAL), მიიღებს და პერიოდულად განახლებს "ოპერატიულ სახელმძღვანელოს" კვალიფიკაციების NQF-თან შესაბამისობის წინასწარი ანალიზის, აღწერისა და დადგენის პროცესისთვის. ეს სახელმძღვანელო უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ინფორმაციის, სწავლებისა და ოპერატიული მხარდაჭერის ელემენტებს, რათა ხელი შეუწყოს კვალიფიკაციების შესაბამისობის დადგენას.

აღნიშნული პროცედურა განხორციელდება სპეციალურად შექმნილი IT აპლიკაციის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს:



- კომპეტენტური საჯარო ორგანოების მიერ წარდგენილი კვალიფიკაციების შესაბამისობის მოთხოვნების შეგროვებასა და მართვას;
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი კვალიფიკაციების იტალიური რეესტრის შევსებას.

ელექტრონული რეესტრი თავსებადი იქნება ეროვნულ მონაცემთა ბაზებთან, ასევე, ევროპულ Europass პორტალთან, როგორც ეს Europass-ის დადგენილებითაა გათვალისწინებული და EURES ქსელთან, როგორც ეს EURES რეგულაციითაა განსაზღვრული, ESCO პროგრამის კლასიფიკაციებთან კავშირის საშუალებით.

„იტალიური საკვალიფიკაციო ჩარჩოს EQF-თან რეფერენსირების ანგარიში“ ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური საკონსულტაციო პროცესის შედეგია, რომელიც მოიცავს შემდეგი ინსტიტუციების ჩართულობას:

- შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს, როგორც ეროვნულ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია NQF-თან დაკავშირებული დებულებების განხორციელებაზე;
- განათლებისა და დამსახურების სამინისტროსა და უნივერსიტეტებისა და კვლევის სამინისტროს, როგორც ეროვნული საკოორდინაციო ორგანოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ NQF-ის დებულებების აღსრულებას;
- ინსტიტუციურ პარტნიორობას, რომელიც შედგება NSCC-ის ფარგლებში კომპეტენტური ეროვნული, რეგიონული და ავტონომიური პროვინციების წარმომადგენლებისგან;
- ევროკომისიას, CEDEFOP-ს, ევროპის საბჭოს, EQF-ის საკონსულტაციო ჯგუფში მონაწილე ქვეყნებს და საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებიც სპეციალურად დაინიშნენ ამ პროცესში მონაწილეობისათვის;
- ეკონომიკურ და სოციალურ პარტნიორობას;
- საზოგადოებრივი პოლიტიკის ეროვნული ანალიზის ინსტიტუტს (INAPP), რომელიც განსაზღვრულია, როგორც დამოუკიდებელი შემფასებელი, რომელიც განიხილავს შესაბამისობის მოთხოვნებს.

ანგარიში დამტკიცებულია შეთანხმებით სახელმწიფოს, რეგიონებსა და ტრენტოსა და ბოლცანოს ავტონომიურ პროვინციებს შორის ურთიერთობათა მუდმივ კონფერენციაზე (სახელმწიფო-რეგიონების კონფერენცია) და მიღებულია შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და დამსახურების მინისტრსა და უნივერსიტეტებისა და კვლევის მინისტრთან.

იტალიის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) არა მხოლოდ ის ფუნქცია აკისრია, რომ დააკავშიროს და შეადაროს ეროვნული საკვალიფიკაციო ხარისხები ევროპული



საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (EQF) და ხელი შეუწყოს იტალიის საკვალიფიკაციო სისტემის ინტეგრაციას სხვა მონაწილე ქვეყნების განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში, არამედ ის ასევე წარმოადგენს ეროვნულ მმართველობით სისტემას, რომლის მიზანია კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობის, გამოყენებადობისა და პორტაბელურობის ხელშეწყობა ეროვნული კომპეტენციების სერტიფიცირების სისტემის ფარგლებში.

NQF-ის ორი მთავარი ფუნქცია გააჩნია: იტალიური კვალიფიკაციების აღწერა და კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს განათლების, ტრენინგისა და პროფესიულ კვალიფიკაციებს; და მოცემული კვალიფიკაციების EQF-თან დაკავშირება, რათა შედგეს რეფერენსირება იტალიურ კვალიფიკაციებსა და სხვა ევროპული ქვეყნების კვალიფიკაციებს შორის.

EQF-ის პრინციპების საფუძველზე, იტალიური NQF-ის მიზნები მოიცავს:

- კვალიფიკაციების სისტემის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა და გამტარიანობის გაუმჯობესებას;
- კვალიფიკაციების აქტუალობის ხელშეწყობას ეროვნულ და ევროპულ დონეებზე, მათ შორის გეოგრაფიული და პროფესიული მობილობის თვალსაზრისით;
- პიროვნების ცენტრალურობისა და ინდივიდუალური გამოცდილების მნიშვნელობის ხელშეწყობას, მათ შორის არაფორმალურ კონტექსტებში მიღებული კომპეტენციების ვალიდაციისა და სერტიფიცირების გზით, ასევე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით მიღებული კომპეტენციების შემთხვევაში;
- პიროვნული, სამოქალაქო, სოციალური და პროფესიული ზრდისათვის ინდივიდების მიერ მიღებული განათლებისა და კომპეტენციების ხარისხში წვლილის შეტანას.

5.2 დოკუმენტის სტრუქტურა

- საკითხავი სახელმძღვანელო;
- წინასიტყვაობა;
- შესავალი;
- რა არის EQF?
- EQF-ის მიზნები და ამოცანები;
- ანგარიშის მიზნები, განხორციელების პროცესი და სტრუქტურა;
- **თავი 1 - რეგულაციების კონტექსტი იტალიის რეფერენსირების ანგარიშის EQF-ის კვალიფიკაციებთან მიმართებით განახლებასთან დაკავშირებით**
 - 1.1 - იტალიის სტრატეგია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებისა და ეროვნული სისტემა კომპეტენციების სერტიფიცირებისათვის;



- 1.2 - სხვა პოლიტიკური ინტერვენციები, რომლებიც ავითარებენ იტალიის სტრატეგიას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებისთვის;
- 1.3 - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო იტალიის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების სტრატეგიაში;
- 1.4 - კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების აღიარებისა და გამოყენების ინსტრუმენტები იტალიაში.

- **თავი 2 - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო: მიზნები, სტრუქტურა, პროცედურები, მართვა და EQF-ის ათ კრიტერიუმთან შესაბამისობა**

- 2.1 - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პირველი რეფერენსირება EQF-სთან;
- 2.2 - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
 - 2.2.1 - NQF-ის მიზნები და ამოცანები;
 - 2.2.2 - NQF-ის განმსაზღვრელი ჩარჩო;
 - 2.2.3 - NQF-ის სტრუქტურა და ტექნიკური სპეციფიკაციები;
 - 2.2.4 - კვალიფიკაციების NQF-სთან რეფერენსირების პროცესის იურიდიული შედეგები და ეტაპები;
 - 2.2.5 - განსხვავებული კვალიფიკაციების ტიპოლოგიების რეფერენსირება NQF-სთან;
 - 2.2.6 - იტალიური კვალიფიკაციების NQF-სთან რეფერენსირების კრიტერიუმები
 - 2.2.7 - თითოეული NQF დონის შიდა დაყოფის განსაზღვრის კრიტერიუმები;
 - 2.2.8 - მკაფიო კრიტერიუმები კვალიფიკაციების NQF-სთან რეფერენსირებისთვის
 - 2.2.9 - საინფორმაციო სისტემები, რომლებიც მხარს უჭერენ NQF-ის დანერგვასა და იტალიური კვალიფიკაციების რეფერენსირებას;
 - 2.2.10 - NQF-ის მართვა;
 - 2.2.11 - რეფერენსირების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა და ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები განათლებასა და მომზადებაში;
 - 2.2.12 - NQF-ის განახლების პროცესი;
- 2.3 - EQF-სთან რეფერენსირებისათვის ათი კრიტერიუმის შესრულება.

- **თავი 3 - იტალიის კვალიფიკაციის სისტემები და მათი რეფერენსირება NQF-სთან**

- 3.1 - დაწყებითი განათლებისა და მომზადების სისტემა;
 - 3.1.1 - ინტეგრირებული სისტემა 0-6 წლის (სკოლამდელი);
 - 3.1.2 - განათლების პირველი ციკლი;
 - 3.1.3 - განათლებისა და მომზადების სისტემის მეორე ციკლი;
 - 3.1.4 - სკოლისშემდგომი უმაღლესი ტექნიკური განათლება და მომზადება;
 - 3.1.5 - უმაღლესი განათლებისა და მომზადების სისტემა;
- 3.2 - ზრდასრულთა განათლების სისტემა;
- 3.3 - რეგიონული პროფესიული მომზადების სისტემა;
- 3.4 - სამუშაოზე მყოფი პირების უწყვეტი მომზადება;
- 3.5 - პროფესიების სისტემა;
 - 3.5.1 - რეგულირებადი პროფესიები;



- 3.5.2 - არარეგულირებადი პროფესიები;
- 3.6 - არაფორმალური სწავლების შეთავაზება;
- 3.7 - იტალიური კვალიფიკაციის სისტემები: სქემატური დიაგრამები, NQF-ის ვიზუალური იდენტობა და რეფერენსირების სინოპტიკური ცხრილი.

- **თავი 4 - ინსტიტუციური დებატებისა და ეროვნული და საერთაშორისო კონსულტაციების შედეგების შეჯამება**

- 4.1 - ეროვნული და რეგიონული საჯარო კომპეტენტურ ორგანოებთან გამართული დებატების ძირითადი მიგნებები;
- 4.2 - საერთაშორისო კონსულტაციის ძირითადი შედეგები;
- 4.3 - საჯარო ონლაინ კონსულტაცია.

5.3 იტალიის განათლების სისტემის აღწერა

იტალიაში განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემა ორგანიზებულია კომპლექსური სტრუქტურის მიხედვით, რომლის მმართველობის, მიზნებისა და სამიზნე ჯგუფების ძირითადი მახასიათებლები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

1. განათლებისა და სწავლების სისტემა – წარმოდგენილია ოთხ დონედ, რომლებიც განაწილებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და მოიცავს სკოლამდელი აღზრდიდან უმაღლესი განათლების დონემდე მთელ სასწავლო პროცესს. მისი მართვა განათლებისა და დამსახურების სამინისტროს, რეგიონების, ავტონომიური პროვინციებისა და უნივერსიტეტებისა და კვლევის სამინისტროს შორის არის გადანაწილებული.
2. ზრდასრულთა განათლების სისტემა – ხორციელდება ზრდასრულთა განათლების პროვინციული ცენტრების (CPIA) მიერ და ექვემდებარება განათლებისა და დამსახურების სამინისტროს.
3. პროფესიული განათლების სისტემა – რეგიონებისა და ავტონომიური პროვინციების პასუხისმგებლობის სფეროა და ფოკუსირებულია ახალგაზრდებისა და მოზრდილებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. მუშაკთა უწყვეტი პროფესიული მომზადება ასევე რეგიონისა და ავტონომიური პროვინციების პასუხისმგებლობის ქვეშ შედის.
4. უწყვეტი პროფესიული სწავლება, რომელიც ერთობლივი ინტერპროფესიული ფონდების მიერ ფინანსდება და ექვემდებარება სოციალურ პარტნიორებს. მოცემული სწავლება მიზნად ისახავს კომპანიების, სექტორების, ტერიტორიული ერთეულებისა და



ინდივიდუალური მომზადების ხელშეწყობას ინოვაციების განვითარებისა და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

5. რეგულირებადი სწავლება – სახელმწიფოსა და რეგიონებს/ავტონომიურ პროვინციებს შორის ერთობლივი პასუხისმგებლობის სფეროა, რომელიც მიზნად ისახავს სპეციფიკური პროფესიის ან საქმიანობისათვის საჭირო კვალიფიკაციების მიღებასა და პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

ზემოთ აღნიშნული თითოეული სისტემა უზრუნველყოფს განსხვავებული სასწავლო შესაძლებლობების შეთავაზებას, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციები (სერტიფიკატები, დიპლომები, დამადასტურებელი მოწმობები და სხვა). ამ კვალიფიკაციებისთვის განსაზღვრული სასწავლო შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) კონკრეტულ დონეს.

5.3.1 საწყისი განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემა

იტალიის საწყისი განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემა სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

- 1.1. 0-დან 6 წლამდე ინტეგრირებული საგანმანათლებლო სისტემა (პრე-სკოლა);
- 1.2. განათლების პირველი ციკლი;
- 1.3. განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მეორე ციკლი;
- 1.4. სკოლის შემდგომი (Post-secondary) განათლება და პროფესიული ტექნიკური მომზადება;
- 1.5. სკოლის შემდგომი (tertiary) განათლება და პროფესიული მომზადება.

იტალიაში სავალდებულო განათლება გრძელდება 10 წელი (6-დან 16 წლამდე) და მოიცავს პირველი ციკლის რვა წელს (ხუთი წელი დაწყებითი სკოლა და სამი წელი ქვედა საშუალო სკოლა) და მეორე ციკლის განათლებისა და მომზადების პირველ ორ წელს (რომლებიც შეიძლება გავლილ იქნას ზედა საშუალო სკოლაში ან რეგიონულ პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში). სავალდებულო განათლების ბოლო წელი შესაძლებელია, სტაჟირების (apprenticeship) ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდეს. გარდა ამისა, სწავლებისა და მომზადების უფლება და ვალდებულება მოიცავს, სულ მცირე, 12 წელს (ან, ნებისმიერ შემთხვევაში, სამწლიანი პროფესიული კვალიფიკაციის მიღებამდე 18 წლამდე ასაკში), რის შემდეგაც სტუდენტებს შეუძლიათ, აირჩიონ სწავლის გაგრძელება: 1) ზედა საშუალო განათლების სისტემაში, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობაში შედის, 2) ან განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემაში, რომელიც რეგიონების პასუხისმგებლობაშია.

განათლებისა და მომზადების ყველა სისტემაში, მეორე ციკლის ბოლო სამ წელიწადში, გათვალისწინებულია სავალდებულო სკოლა-სამუშაოს სწავლების პერიოდი ან

საგანმანათლებლო სტაჟირება თითოეული სისტემისა და სასწავლო მიმართულების სპეციფიკური პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

სტუდენტებს, რომელთაც გაიარეს სავალდებულო განათლება, შეუძლიათ გააგრძელონ სწავლა ასევე ზრდასრულთა განათლების სისტემაში.

რაც შეეხება მმართველობის საკითხებს:

- სახელმწიფოს აქვს ექსკლუზიური საკანონმდებლო უფლებამოსილება განათლების ზოგადი წესებისა და "სამოქალაქო და სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული მომსახურების მინიმალური დონეების" განსაზღვრისთვის, რომლებიც უნდა იყოს გარანტირებული მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სახელმწიფო, რეგიონები და ავტონომიური პროვინციები მონაწილეობენ საკანონმდებლო პროცესში განათლების სფეროში, სახელმწიფოს მიერ აუცილებელი პრინციპების განსაზღვრით და ავტონომიური რეგიონების და პროვინციების მიერ დეტალური ნორმების გამოცემით;
- რეგიონებსა და ავტონომიურ პროვინციებს აქვთ მმართველობის მხოლოდ საკანონმდებლო უფლებამოსილება პროფესიული მომზადების საკითხებში, მათ შორის, საწყისი განათლებისა და პროფესიული მომზადების კურსებში;
- ადგილობრივი ხელისუფლებები მონაწილეობენ რეგიონში განათლებისა და მომზადების მომსახურებების ორგანიზებაში.

საერთო საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფო, რეგიონები და ადგილობრივი ორგანოები ერთობლივად უწევენ კოორდინაციას პროცესებს და აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო-რეგიონების ერთობლივ კონფერენციებში.

იტალიის განათლებისა და მომზადების სისტემა აღიარებს განათლების, ორგანიზაციული, კვლევითი, ექსპერიმენტული და განვითარების ავტონომიას სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

5.3.2 ინტეგრირებული სისტემა 0-6 წელი (სკოლამდელი განათლება)

დაბადებიდან ექვს წლამდე ინტეგრირებული სისტემა (ადრეული ბავშვობის განათლება და მოვლა - ECEC) იყოფა:

- 1) 0-დან 3 წლამდე ბავშვთა საგანმანათლებლო სერვისებად, რომლებიც მოიცავს:
 - ბაგა-ბაღებს და მიკრო-ბაგა-ბაღებს, რომლებიც 3-დან 36 თვის ასაკის ბავშვებს იღებენ;
 - „გაზაფხულის სექციებს“, რომლებიც 24-დან 36 თვის ასაკის ბავშვებს იღებენ;
 - დამატებით სერვისებს;
- 2) საბავშვო ბაღს, რომელიც 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებს იღებს.



განათლებისა და დამსახურების სამინისტრო, რეგიონები და ავტონომიური პროვინციები ერთად ახორციელებენ კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილებებს დაბადებიდან ექვს წლამდე ინტეგრირებული სისტემის მართვაში, ასევე, მათთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლება და სხვა საჯარო ან კერძო სუბიექტებიც მონაწილეობენ მის ფუნქციონირებაში.

სკოლამდელი განათლება განათლებისა და მომზადების სისტემის განუყოფელი ნაწილია, თუმცა იგი არ არის სავალდებულო და არ უზრუნველყოფს NQF-თან დაკავშირებული კვალიფიკაციების მინიჭებას.

5.3.4 განათლების პირველი ციკლი

განათლების პირველი ციკლი, რომლის მართვა და კოორდინაცია ევალება განათლებისა და დამსახურების სამინისტროს, გრძელდება 8 წელი, რომელიც სავალდებულო და უფასოა. ის იყოფა ორ ეტაპად:

- **დაწყებითი სკოლა** – ხუთწლიანი პერიოდი (6-11 წელი), რომლის მიზანია, მოსწავლეებს მიაწოდოს საბაზისო ცოდნა და ინსტრუმენტები, რათა ისინი მზად იყვნენ აქტიური მოქალაქეობისა და საკუთარი გამოცდილების გააზრებისთვის. დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ გაიცემა კომპეტენციების სერტიფიკატი, რომელიც ასახავს მიღწეულ პროგრესს და მხარს უჭერს შემდგომი საგანმანათლებლო პროცესის გაგრძელებას. ამ ეტაპზე მიღებული სწავლის შედეგები შეესაბამება NQF/EQF-ის 1-ლი დონის პირველ ქვეკატეგორიას (ცხრილი 3.1).
- **ქვედა საშუალო სკოლა** – სამწლიანი პერიოდი (11-14 წელი), რომელიც მიმართულია მოსწავლეების დამოუკიდებელი სწავლის უნარების გაძლიერებაზე, სოციალურ ურთიერთქმედებასა და მათი ცოდნისა და უნარების სისტემატიზაციაზე. სამი წლის ბოლოს მოსწავლეები აბარებენ განათლების პირველი ციკლის სახელმწიფო გამოცდას, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გაიცემა განათლების პირველი ციკლის დიპლომი. ამ ეტაპზე მიღებული სწავლის შედეგები შეესაბამება NQF/EQF-ის 1-ლი დონის მეორე ქვეკატეგორიას (ცხრილი 3.1).

განათლების პირველი ციკლი მიმდინარეობს სახელმწიფო სკოლებსა და დამოუკიდებელ პარიტეტულ სკოლებში (*paritarie*), რომლებიც ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს წარმოადგენენ. ასევე, იგი შეიძლება, განხორციელდეს არაპარიტეტულ (*non paritarie*) დამოუკიდებელ სკოლებში ან ოჯახში სწავლის (*home-schooling*) გზით. ბოლო ორ შემთხვევაში საჭიროა გარკვეული პირობების დაკმაყოფილება, როგორიცაა სპეციალური გამოცდების წარმატებით ჩაბარება მომდევნო კლასებში გადასასვლელად.



3.1 განათლების პირველი ციკლის საკვალიფიკაციო სისტემის რეფერენსირება NQF-თან

Table 3.1 - Referencing of the qualifications system of the first cycle of education to NQF

Public Competent Authority	Public Entitled Body	Name of qualifications	Minimum NQF level access requirements	NQF level and sub-articulation	EQF
Ministry of Education and Merit	State institutions and independent with parity educational institutions	Certification of competences at the end of primary school	-	IT 1.1	1
Ministry of Education and Merit	State institutions and independent with parity educational institutions	Final diploma of the first cycle of education	-	IT 1.2	1

5.3.5 განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მეორე ციკლი

განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მეორე ციკლი, რომლის სწავლაც ორი წლის ჩათვლით სავალდებულო და უფასოა, მოიცავს სხვადასხვა ტიპის სასწავლო მიმართულებას, რომლებიც მიზნად ისახავს საკვანძო კომპეტენციების შეძენას, რაც აუცილებელია მოქალაქისათვის და შემდგომი დასაქმებისთვის.

სავალდებულო განათლების მიზნები წარმოადგენს მეორე ციკლის ყველა კურსის თანაბარ საგანმანათლებლო საფუძველს, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული სასწავლო პროგრამები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო განათლება არ წარმოადგენს მეორე ციკლში საბოლოო კვალიფიკაციას, სტუდენტებს შეუძლიათ, მიიღონ სავალდებულო განათლების სერტიფიკატი, რომლის სასწავლო შედეგები განთავსებულია NQF/EQF-ის მე-2 დონეზე, ქვეპუნქტით 2, როგორც ნაჩვენებია ცხრილში 3.2.

განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მეორე ციკლი იყოფა ორ პარალელურ სისტემად:

- **ზედა საშუალო განათლების სისტემა**, რომელიც ექვემდებარება განათლებისა და დამსახურების სამინისტროს;
- **პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემა**, რომელიც ექვემდებარება რეგიონებსა და ავტონომიურ პროვინციებს.

ზედა საშუალო განათლების სისტემა მოიცავს ხუთწლიან კურსებს ან ოთხწლიან საპილოტე პროგრამებს, რომლებიც სამ სასწავლო მიმართულებად იყოფა:



- **ლიცეუმი** – მიზნად ისახავს სტუდენტისთვის კულტურული და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების მიწოდებას, რაც რეალობის ღრმა გაგებასა და რაციონალური, კრეატიული, კრიტიკული და დაგეგმვის უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. იგი ძირითადად უმაღლესი განათლებისკენ, სოციალური ცხოვრებისადმი ინტეგრაციისა და შრომის ბაზარზე შესვლისკენ არის მიმართული შესაბამისი ცოდნის, კომპეტენციებისა და უნარების შეძენის გზით.
- **პროფესიული ინსტიტუტები** – უზრუნველყოფს სტუდენტისთვის ზოგადი განათლებისა და ტექნიკურ-პროფესიული კომპეტენციების მყარ საფუძველს, რაც მას საშუალებას აძლევს, ოპერატიულად ჩაერთოს შრომის ბაზრის სხვადასხვა საწარმოო სექტორში (პირველადი, მეორადი, მესამე სექტორები).
- **ტექნიკური ინსტიტუტები** – სტუდენტს სთავაზობს მყარ კულტურულ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ საფუძვლებს, რაც აუცილებელია შესაბამის პროფესიულ სექტორებში ტექნიკური პროფესიების განსახორციელებლად (ეკონომიკა, ტექნოლოგია).

ზედა საშუალო განათლების ეტაპის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია სახელმწიფო გამოცდა, რომლის მიზანია მეოთხეული დიპლომის გაცემის დამოწმება (ლიცეუმი, ტექნიკური ან პროფესიული), რაც უზრუნველყოფს წვდომას უმაღლეს განათლებასა და მომზადებაზე, როგორც აკადემიური (უნივერსიტეტი და მაღალი განათლება ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით), ისე არააკადემიური (მაღალი ტექნოლოგიური განათლების სისტემა - ITS აკადემია) და რომლის სწავლების შედეგები განთავსდება დონეზე 4 NQF/EQF, დამატებითი ქვედონით 2, როგორც არის განისაზღვრული ცხრილში 3.2.

მეთოდოლოგიურად, პირველი ციკლის კურსების მსგავსად, ზედა საშუალო სასწავლო კურსები ტარდება სახელმწიფო სკოლებსა და დამოუკიდებელ სკოლებში პარიტეტით (paritarie), აგრეთვე დამოუკიდებელ სკოლებში, რომლებმაც არ მიიღეს პარიტეტი, ასევე სახლში, როგორც Home schooling-ი. ბოლო ორ შემთხვევაში, არსებობს გარკვეული პირობები, როგორიცაა კონკრეტული სახელმწიფო გამოცდების გავლა შემდეგ კლასებში გადასვლისთვის.

პირველადი განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემა (leFP), რომელიც გამოირჩევა მნიშვნელოვანი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით, მიზნად ისახავს ძირითადი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებასა და შეძენას სამუშაოსთან დაკავშირებული პროფილების მიხედვით. იგი დაყოფილია ორი სასწავლო მიმართულებით განსხვავებული ხანგრძლივობით:

- სამწლიანი კურსები, რომლებიც მიზნად ისახავს პირველადი განათლებისა და პროფესიული მომზადების სერთიფიკატის მიღებას, რომელიც აჩვენებს სასწავლო შედეგებს NQF/EQF-ის მე-3 დონეზე, როგორც აღნიშნულია ცხრილში 3.2. პროფესიული სერთიფიკატის მიღების შემდეგ შესაძლებელია, გაგრძელდეს დამატებით ერთი წელი leFP კურსზე დიპლომის მისაღებად ან პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის მეშვეობით, გადასვლით პროფესიულ



განათლების სისტემასა და პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემას შორის, რათა მიიღოს სრული ზოგადი განათლების დიპლომი.

- ოთხწლიანი კურსები Initial Education and Vocational Training (IeFP) დიპლომის მისაღებად, რომელიც აღიარებს სასწავლო შედეგებს მე-4 დონის NQF/EQF-ში, ქვედონით 4, როგორც ჩანს ცხრილში 3.2. ოთხი წლის შემდეგ, პროფესიული დიპლომის მიღების შემდეგ, გადადიხარ პროფესიულ განათლების კურსებში, რომ მიიღოთ საშუალო განათლების დიპლომი, ან გადადიხარ ტექნიკურ უმაღლეს განათლების და პროფესიული მომზადების (IFTS) გზაზე, რათა შეხვიდე მაღალ ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში (ITS Academy). გარდა ამისა, არსებობს ორი სხვა კურსი, რომლებიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ საშუალო განათლების დიპლომი: დამატებითი ერთი წელი, რომელიც მიმდინარეობს შეთანხმებით უნივერსიტეტებთან და უმაღლეს განათლებასთან ხელოვნების და მუსიკის სფეროში, ან დამატებითი ერთი წელი, რომელიც ორგანიზებულია რეგიონებისა და ავტონომიური პროვინციების მიერ.

კურსები ტარდება რეგიონების მიერ აკრედიტირებულ სასწავლო დაწესებულებებში ან პროფესიულ ინსტიტუტებში, რომლებიც რეგიონის მიერ ორგანიზებული დამატებითი სასწავლო შეთავაზების ნაწილი არიან (რეგიონულ საგანმანათლებლო ოფისებთან შეთანხმებით). Initial Education and Vocational Training (IeFP) სერტიფიკატი და Initial Education and Vocational Training (IeFP) დიპლომი შედის პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული რეესტრის ფარგლებში, აქვთ ეროვნული ვალიდურობა, მიემართებიან სხვადასხვა ეკონომიკური-პროფესიული სექტორის პროფესიულ პროფილებს და აღეწერებიან სასწავლო შედეგების თვალსაზრისით.

3.2 განათლებისა და მომზადების მეორე ციკლის საკვალიფიკაციო სისტემის რეფერენსირება NQF-თან

Table 3.2 - Referencing of the qualifications system of the second cycle of the education and training system to NQF

Public Competent Authority	Public Entitled Body	Name of qualifications	Minimum NQF level access requirements	NQF level and sub-articulation	EQF
Ministry of Education and Merit	State and independent with parity educational institutions	Compulsory education certificate	IT 1.2	IT 2.2	2
		Upper secondary education diploma (lycée, technical, vocational)	IT 2.2 IT 2.2 IeFP	IT 4.2	4
Regions and Autonomous Province	State and independent with parity educational institutions	Compulsory education certificate (IeFP)	IT 1.2	IT 2.2	2
		Initial education and vocational training certificate (IeFP)	IT 1.2 IT 2.2 IeFP	IT 3.4	3
	Accredited training institutions	Initial education and vocational training diploma (IeFP)	IT 1.2 IT 2.2 IeFP	IT 4.4	4



5.3.6 სკოლისშემდგომი უმაღლესი ტექნიკური განათლება და მომზადება

უმაღლესი ტექნიკური განათლებისა და მომზადების სისტემა (IFTS) სთავაზობს სკოლისშემდგომ კურსებს, რომლის ორგანიზებაც რეგიონებსა და ავტონომიურ პროვინციებს ეკუთვნის და რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკური პროფესიული სპეციალიზაციების განვითარებას, რათა შეესაბამებოდეს ეკონომიკური წარმოების სექტორების მომზადების საჭიროებებს რეგიონული დაგეგმარების კონტექსტში.

უმაღლესი ტექნიკური განათლება და მომზადება არის მთელი წლის განმავლობაში გრძელვადიანი კურსები (ჩვეულებრივ 800-1000 საათი), რომლებიც განკუთვნილია ახალგაზრდა ადამიანებისა და ზრდასრული პირებისთვის, რომლებიც ფლობენ სრული ზოგადი განათლების დიპლომს ან პირველადი განათლებისა და პროფესიული მომზადების დიპლომს; ასევე, დასაშვებია ყველასთვის, რომლებიც მიღებულნი არიან მეხუთე წლის ლიცეუმის კურსებზე და ასევე მათთვის, რომელთაც არ აქვთ სრული ზოგადი განათლების დიპლომი, მაგრამ უღიარეს წინა განათლების, მომზადებისა და სამუშაო კონტექსტში მიღებული კომპეტენციები. კურსებზე დასწრება, როგორც წესი, უფასოა ან მხოლოდ რეგისტრაციის საფასური და საგაკვეთილო მასალები მოითხოვება.

კურსები ტარდება პარტნიორობის ფარგლებში, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც აკრედიტებულია რეგიონების მიერ, უნივერსიტეტსა და, სულ მცირე, ერთ საწარმოს. კურსების შედეგით მინიჭებულ კვალიფიკაციებს აქვთ ეროვნული ვალიდურობა, რადგან ისინი შედიან უმაღლესი ტექნიკური განათლებისა და მომზადების კურსების ეროვნულ მონაცემთა ბაზაში, რომლებიც ეხება პროფესიულ პროფილებს სხვადასხვა ეკონომიკურ-პროფესიულ სექტორთან და აღწერილია სწავლის შედეგების თვალსაზრისით.

უმაღლესი ტექნიკური განათლებისა და მომზადების კურსების დასრულების შემდეგ, გაიცემა სკოლისშემდგომი უმაღლესი ტექნიკური სპეციალიზაციის სერტიფიკატი, რომელიც საშუალებას იძლევა წვდომაზე არა აკადემიურ უმაღლეს განათლებასა და მომზადებაზე (უმაღლესი ტექნოლოგიური განათლების სისტემა - ITS აკადემია) მათთვის, რომელთაც აქვთ პირველადი განათლებისა და პროფესიული მომზადების დიპლომი, და რომლის სწავლის შედეგები განისაზღვრება დონეზე 4 NQF/EQF, ქვედონით 4, როგორც აღნიშნულია ცხრილში 3.3.



3.3 უმაღლესი ტექნიკური განათლებისა და მომზადების საკვალიფიკაციო სისტემის რეფერენსირება NQF-თან

Table 3.3 - Referencing of the qualification system for higher technical education and training to NQF¹⁵⁵

Public Competent Authority	Entitled Body	Name of qualifications	Minimum NQF level access requirements	NQF level and sub-articulation	EQF
- c) EQF-ის რეკომენდაციაში არსებულ არაპირდაპირი დესკრიპტორების განმარტება;
- d) დამატებითი აღწერითი ელემენტების ჩასმა, სადაც საჭირო იქნება, რათა დესკრიპტორი უფრო ინკლუზიური გახდეს ეროვნული კვალიფიკაციის სხვადასხვა ტიპის მიმართ.

ქვედომენები მიზნად ისახავს თითოეული EQF დონის ტაქსონომიისა და მახასიათებლების გაუმჯობესებას, რათა NQF გახდეს უფრო ინკლუზიური და უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიკაციების გამჭვირვალობა, შედარებადობა და გამოყენებადობა, რადგან:

- ისინი გამოხატავენ მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იცოდეს და შეეძლოს ინდივიდმა კვალიფიკაციის გარკვეულ დონეზე;
- ისინი წარმოადგენენ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ხელს უწყობენ კვალიფიკაციების განვითარებასა და მათ პოზიციონირებას თითოეულ დონეზე;
- ისინი ფართოა, რათა შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება როგორც სამუშაოს, ისე სწავლის კონტექსტში და სხვადასხვა აქტორის საჭიროებების დაკმაყოფილება განათლების, სწავლებისა და დასაქმების სისტემაში.

ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების შესაბამისად და ცხრილი 2.2-ის შეჯამების მიხედვით, EQF-ის სამი დომენი (ცოდნა, უნარები, ავტონომია და პასუხისმგებლობა) NQF-ში მდიდრდება კონკრეტული ქვედომენებით.



Table 2.2 NQF sub-domains and respective methodological criteria

Knowledge	Skills	Responsibility/Autonomy
Theoretical and/or factual dimension of knowledge The EQF explicit dimensions are fully adopted CRITERION 1	Procedural and practical skills The EQF explicit dimensions are fully adopted CRITERION 1 Technical, professional and context specific skills Further descriptive elements to make NQF descriptors more inclusive CRITERION 4	Context The EQF implicit dimensions CRITERION 2
Extent and depth of knowledge The EQF implicit dimensions are made explicit are made explicit CRITERION 2	Cognitive skills The EQF explicit dimensions are fully adopted CRITERION 1 Social-interaction and activation skills Further descriptive elements to make NQF descriptors more inclusive CRITERION 4	Responsibility The EQF explicit dimensions adjusted to the national qualifications systems CRITERION 3
Understanding and awareness of knowledge The EQF implicit dimensions are made explicit CRITERION 2		Autonomy The EQF explicit dimensions adjusted to the national qualifications systems CRITERION 4

იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო



Table 2.3 - The Italian National Qualifications Framework (2018)

Level	KNOWLEDGE	SKILLS	RESPONSIBILITY and AUTONOMY
Sub-domains	<i>Theoretical and/or factual dimension</i> <i>Extent and depth</i> <i>Understanding and awareness</i>	<i>Procedural, practical, technical, professional and context specific skills</i> <i>Cognitive, social-interaction and activation skills</i>	<i>Responsibility</i> <i>Autonomy</i> <i>Context</i>
Level 1	General and basic knowledge, with a limited extent, aimed at performing simple tasks in well-known and structured contexts.	Using know-how, materials and tools to perform simple tasks by involving basic cognitive, interpersonal and social skills. Typically: FOCUS and INTERACTION	Performing given task in accordance with required parameters, under direct supervision of the activities, in a structured context.
Level 2	General and basic knowledge, with a moderate extent, aimed at performing simple tasks in different sequences.	Using know-how, materials and tools to perform simple tasks in different sequences, by involving cognitive, interpersonal and social skills, in a detailed range of context variables. Typically: MEMORY and PARTICIPATION	Performing assigned tasks in compliance with established criteria, under supervision for the achievement of results, in a structured context characterized by a limited range of diversified circumstances.
Level 3	A range of mainly general knowledge with conceptual elements, aimed at producing logical connections. Capability of understanding.	Applying a range of know-how, methods, materials and tools to achieve expected results by involving a set of cognitive, interpersonal, social and activation skills which facilitate the adaptability in changeable contexts. Typically: UNDERSTANDING, CO-OPERATION and GOAL ORIENTATION	Achieving expected results by ensuring their compliance and by identifying the most appropriate implementation methods, in a structured context characterized by mutable circumstances requiring own activity change.
Level 4	A wide range of specialized knowledge in different fields, integrated by the factual and/or conceptual dimension. Capability of understanding.	Applying a range of know-how, methods, routines, procedures, materials and tools to solve problems, by involving a set of cognitive, interpersonal, social and activation skills needed to overcome increasing difficulties. Typically: PROBLEM SOLVING, CO-OPERATION and MULTITASKING	Achieving goals by coordinating and integrating own and others results and activities, and by participating in both decision-making and implementation process, in a foreseeable context subject to unpredictable changes.
Level 5	Integrated, comprehensive, in-depth and specialized knowledge. Awareness of fields of knowledge.	Applying a wide range of methods, routines, procedures and tools, in a conscious and selective manner also to modify them, by involving an extensive set of cognitive, interpersonal, social and activation skills needed to find unconventional technical solutions. Typically: ANALYSIS AND EVALUATION, SPECIALIZED AND EFFECTIVE COMMUNICATION IN A TECHNICAL FIELD and MANAGEMENT OF CRITICAL PROBLEMS	Ensuring compliance of goals, achieved autonomously and by others, by identifying and planning corrective and development measures, and by taking part in the implementation process, in a specific and complex context subject to frequent and unpredictable changes.



Level 6	Integrated and advanced knowledge in a specific field, transferable from one context to another. Critical awareness of theories and principles in a specific field.	Transferring, in different contexts, methods, routines and procedures needed to solve complex and unexpected problems, by involving advanced cognitive, interpersonal, social and activation skills needed to synthesize review and address demands through innovative and creative solutions. Typically: SYNTHESIS VISION, NEGOTIATION AND MOTIVATION and PLANNING	Overseeing objectives and processes of individuals and teams, by facilitating the day-to-day management and conditions stability, by autonomously making decisions and negotiating both goals and implementation methods, in an undefined context subject to unpredictable changes.
Level 7	Integrated and highly specialized knowledge, some of which is cutting – edge in a given field. Critical awareness of theories and principles in multiple extent of knowledge.	Integrating and turning know-how, methods, practices and procedures, by involving specialized cognitive, interpersonal, social and activation skills needed to address development scenarios and to plan and implement new activities and procedures. Typically: SYSTEMIC VISION, PLANNING, LEADERSHIP, SOCIAL INTERACTION and COMPLEX RELATIONSHIP MANAGEMENT	Leading integration and turning processes, by implementing strategies and directing objectives and resources development, by autonomously making decisions on goals and implementation methods, in an undefined context subject to continuous changes and comparable to well-known variables.
Level 8	Integrated, proficient and cutting-edge knowledge in a specific field and in common extent of different fields. Critical awareness of theories and principles in multiple extent of knowledge.	Creating new knowledge, methods, routines and procedures, by involving accomplished cognitive, interpersonal, social and activation skills, needed to detect and react to the demand for innovation. Typically: STRATEGIC VISION, CREATIVITY and INNOVATION	Promoting innovation and strategic development processes, by foreshadowing scenarios and solutions, and by assessing their possible effects, in an advanced context not comparable to known situations and settings

5.3.20 რეფერენსირების პროცესისა და ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ხარისხის უზრუნველყოფა განათლებასა და სწავლებაში

განათლების სისტემის შეფასების ეროვნული ინსტიტუტი - INVALSI არის პასუხისმგებელი ეროვნული შეფასების სისტემისთვის, რომელიც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს სასკოლო განათლებაში, დაწყებითი და საშუალო საფეხურის დონეებზე.



შეფასების პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან: სკოლების თვითშეფასება (თვითშეფასების ანგარიში - RAV), სკოლების გარე შეფასება, გაუმჯობესების ქმედებები და სკოლების საჯარო ანგარიშვალდებულება. გარე შეფასება ასევე მოიცავს მოსწავლეთა სასწავლო მიდწევების გარე შეფასებას. შეფასების პროცედურები მიმდინარეობს სამი წლის განმავლობაში.

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა რეგულირდება როგორც შიდა, ასევე გარე შეფასებით ევროპულ ძირითად დირექტივებთან შესაბამისობით. შიდა შეფასებას ახორციელებენ „შეფასების ცენტრები“ და თითოეული უნივერსიტეტის სხვა კონკრეტული ორგანოები. 2012 წლიდან მთავრობის მიერ რეგულირდება უნივერსიტეტის კურსებისა და გარემოებების აკრედიტაციისა და შეფასების პროცედურები შემდეგი საშუალებით: უნივერსიტეტის გარემოებებისა და კურსების საწყისი და განმეორებითი შეფასების დანერგვა; შეფასების სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებასა და კვლევის ხარისხს, ეფექტურობასა და ეფექტიანობას; თვითშეფასების სისტემის განმტკიცება, რომელიც ეყრდნობა სწავლებისა და კვლევის საქმიანობის ხარისხსა და ეფექტურობას. გარე შეფასება პასუხისმგებელია ავტონომიურ ეროვნულ სააგენტოზე უნივერსიტეტისა და კვლევითი სისტემის შეფასებისთვის - ANVUR, ეროვნული სააგენტო ხარისხის უზრუნველყოფისთვის, როგორც ეს არის განსაზღვრული ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში (EHEA), საერთაშორისო დონეზე შეფასების პრაქტიკების შესაბამისად და ავტონომიის, თანასწორობის, გამჭვირვალობის და დოკუმენტების საჯაროობის პრინციპების შესაბამისად. 2012 წელს, დოკუმენტში "თვითშეფასება, განმეორებითი შეფასება და იტალიის უნივერსიტეტის სისტემის აკრედიტაცია" - AVA, ANVUR-მა განსაზღვრა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი. AVA სისტემა ეყრდნობა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში (ESG) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შედგენილია ევროპული ასოციაციის მიერ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის (ENQA). ამჟამად, მიმდინარეობს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ვიზუალური ხელოვნების, მუსიკისა და ცეკვის სფეროში - AFAM.

მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შეთავაზების ხარისხს რეგიონულ პროფესიულ მომზადების სისტემებში, არის სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაცია, რომელიც გულისხმობს ამ დაწესებულებებისათვის რამდენიმე მოთხოვნის არსებობას, რომლებიც განისაზღვრება თითოეულ რეგიონსა და ავტონომიურ პროვინციაში, ხოლო ეროვნულ დონეზე დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმების შესაბამისად, ასევე ევროპული პროფესიული განათლებისა და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს (EQAVET) შესაბამისად.

NQF-ის მართვა - განათლების სამინისტრო; განათლებისა და დამსახურების სამინისტრო.



მრავალაქტორიანი და მრავალდონიანი მმართველობა

სტრატეგიული განხორციელება

- შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- უნივერსიტეტებისა და კვლევების სამინისტრო;
- რეგიონები და ავტონომიური პროვინციები.

ოპერაციული განხორციელება

- ANPAL: EQF-ის ეროვნული კოორდინაციის ტესტირების დასაწყისი;
- იტალიური კვალიფიკაციების NQF-ში ჩართვა, მონიტორინგი, შეფასება და მართვა, NQF-ის რეფერენსირების ანგარიშის პერიოდული განახლება.

რეფერენსირების განაცხადის დამოუკიდებელი შეფასება

- INAPP საჯარო პოლიტიკის ანალიზის ეროვნული ინსტიტუტი

საჯარო კომპეტენტური ორგანოების ადაპტაცია

- (National Competent Authorities of the National System for Certification of Competences – NSCC - NSCC-) კომპეტენციების სერტიფიცირების ეროვნული სისტემა კვალიფიკაციის სისტემების ადაპტაცია და ეკონომიკური და სოციალური პარტნიორების ჩართულობა

საჯარო უფლებამოსილი ორგანოები და დაინტერესებული მხარეები

- უფლებამოსილი ორგანოები, განათლების დაწესებულებები, სააგენტოები, ორგანიზაციები, საწარმოები, მოქალაქეები

ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოები

- ეროვნული EQAVET-ის რეფერენსების დაწყება -საჯარო პოლიტიკის ეროვნული ანალიზის ინსტიტუტი
- INVALISI (National Institute for the Evaluation of the Education and Training System (განათლებისა და ტრენინგების სისტემის შეფასების ეროვნული ინსტიტუტი), ANVUR (National Agency for the evaluation of the university and research system – უნივერსიტეტებისა და კვლევების სისტემის შეფასების ეროვნული ინსტიტუტი), CIMEA (Information Centre on Mobility and Academic Equivalences აკადემიური შესაბამისობისა და ამობილობის



საინფორმაციო ცენტრი) და CRRS-ების (National network of Regional Research, Experimentation and Development Centres of the Provincial Centres for Adult Education რეგიონული კვლევების, ექსპერიმენტებისა და განვითარების ცენტრების პროვინციული ცენტრების ეროვნული ქსელი).

მმართველი სტრუქტურები:

- ეროვნული ტექნიკური კომიტეტი;
- EQF-ის მრჩეველთა ჯგუფი;
- ტექნიკური ჯგუფი - TG;
- რეგიონული კონფერენცია;
- სახელმწიფო რეგიონთა კონფერენცია.

5.4 დასკვნა

იტალიის ეროვნული კვალიფიკაციების რეფერენსირების დოკუმენტი გამოირჩევა სტრუქტურული თანმიმდევრულობითა და დეტალიზებული აღწერით, რაც მას გამჭვირვალესა და ინფორმაციულს ხდის. ამასთან, ტექსტი გაჯერებულია იურიდიული და სტატისტიკური მონაცემებით, რაც მას ოფიციალურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დოკუმენტად აქცევს. ის, ასევე, მოიცავს განათლების, შრომის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორის წარმომადგენლების აქტიურ მონაწილეობას, რაც კვალიფიკაციებს რეალურ ღირებულებას ანიჭებს.

დოკუმენტის დადებითი მხარეა მისი დეტალიზებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრუქტურა, რაც ხელს უწყობს პროცესის სანდოობასა და გასაგებად გადმოცემას. მკაფიოდაა აღწერილი სხვადასხვა ინსტიტუციური როლი და მათი კავშირი რეფერენსირების პროცესთან, რაც ეხმარება პოლიტიკის შემუშავებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, უკეთ გაიაზრონ პროცესი. ასევე, ძლიერი მხარეა ხარისხის უზრუნველყოფისადმი განსაკუთრებული ყურადღება, რაც უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციების სისტემა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს.

თუმცა, დოკუმენტის განხორციელებას გარკვეული სირთულეებიც ახლავს. იტალიის საგანმანათლებლო სისტემა დეცენტრალიზებულია, რაც რეგიონებს შორის ერთიანი სტანდარტების დანერგვას ართულებს. თითოეულ რეგიონს გააჩნია საკუთარი აკრედიტაციის პროცედურები, რაც ზოგჯერ კვალიფიკაციების ეროვნული აღიარების პროცესს აფერხებს. პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მოქნილი, მიუხედავად იმისა, რომ ITS მოდელი მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს.

დოკუმენტს აქვს გარკვეული სირთულეები აღქმის კუთხითაც. მისი სტილი საკმაოდ ტექნიკურია და რთულად გასაგები შეიძლება იყოს იმ მკითხველისთვის, რომელიც ნაკლებად



ფლობს რეფერენსირების პროცედურების ან კვალიფიკაციების ჩარჩოს სპეციფიკას. მასში გამოყენებულია უამრავი იურიდიული და ადმინისტრაციული ტერმინი, რაც დამატებით ართულებს მას. ასევე, ტექსტის სიგრძე და ზოგჯერ განმეორებითი ინფორმაცია შესაძლოა, მკითხველს დამღლელი მოეჩვენოს.

ჩვენი ქვეყნის რეფერენსირების დოკუმენტის შემუშავებისას შეიძლება, გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი იტალიური გამოცდილებიდან. პირველ რიგში, დოკუმენტის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო და ლოგიკური მიმდევრობა, რათა მკითხველმა ეტაპობრივად გაიგოს რეფერენსირების პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი იყოს მაქსიმალურად გასაგები და ნაკლებად ბიუროკრატიული ენის მექონე, რათა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს (პოლიტიკის შემუშავებლებს, აკადემიურ საზოგადოებას, დამსაქმებლებს) მარტივად შეეძლოთ მისი გამოყენება. სასურველია, დაინერგოს ვიზუალური ელემენტები, როგორიცაა ცხრილები, დიაგრამები და გრაფიკები, რაც პროცესის აღქმას გაამარტივებს.



VI. უნგრეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების და რეფერენსირების ანგარიში (2015 წელი)



6.1 ინფორმაცია უნგრეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების ანგარიშის შექმნის შესახებ

უნგრეთმა 2015 წელს დაიწყო ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (HuQF) ანალიზის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. პროცესი მოიცავდა ექსპერტების, აკადემიური წრეებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენლების აქტიურ ჩართულობას. 2018 წელს, HuQF-ის საბოლოო დოკუმენტი ოფიციალურად წარდგენილი იქნა ევროპული კომისიისთვის, რაც საერთაშორისო აღიარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა.

6.1 ეროვნულ დონეზე ჩარჩოს განვითარების ეტაპები

2005 - კონსულტაცია EQF-ზე: პასუხად უნგრული პოზიციის ამსახველი დოკუმენტის მომზადება;

2006 - ევროკავშირის კონფერენცია EQF-ის შესახებ ევროპული კონსულტაციების შედეგების განხილვის მიზნით;

2007 - EQF-ის განვითარებაზე ბუდაპეშტში გაიმართა PLA;

2008 - მთავრობის მიერ პირველი გადაწყვეტილების მიღება HuQF-ზე;

2011 - კონფერენცია EQF-ზე HU პრეზიდენტობით;

- პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი
- უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონი

2012 - კანონის ცვლილება;

- მთავრობის გადაწყვეტილება HuQF-ის შესახებ

2013 - HE სემინარები; დონის აღწერები HE სწავლების სფეროებისთვის;

- პირველი საერთაშორისო კონსულტაცია

2014 - მეორე და მესამე საერთაშორისო კონსულტაციები;

- 150-650 VET კვალიფიკაციები, დაკავშირებული EQF-ის დონეებთან



2015 - რეფერენსირების ანგარიშის წარდგენა EQF-ისთვის;

- EQF-ის დონეების ჩვენება უნგრეთში გაცემულ სერტიფიკატებში

2015-2018 - სხვა ტიპის კვალიფიკაციების დაკავშირება;

2018 - HuQF-ის გადასინჯვა და ანგარიშის განახლება.

6.2 თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირების ანგარიშის სტრუქტურა

6.2.1 სექციები

- შესავალი: პროცესის მიზნები, ჩართული მხარეები და მეთოდოლოგია;
- უნგრეთის განათლების სისტემის მიმოხილვა;
- HuQF-ის და EQF-ის დონეების შედარება;
- სწავლის შედეგების აღწერა და გამოყენებული მეთოდოლოგიები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განხილვა;
- გამოწვევები და განვითარების სამომავლო გეგმები;
- დასკვნები და რეკომენდაციები.

6.2.2 დოკუმენტის სრული სტრუქტურა

I. შესავალი

II. უნგრეთის განათლებისა და კვალიფიკაციების სისტემა:

II.1. განათლების სისტემა;

II.2. მეორე შანსის პროგრამები და ზრდასრულთა განათლების პროგრამები;

II.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მოსწავლეების განათლება .

III. უნგრეთის კვალიფიკაციების ჩარჩო (HuQF) :

III.1. HuQF-ის განვითარების ისტორია;

III.2. პოლიტიკის ხედვები; ძირითადი მიზნები და ფუნქციები;

III.3. პასუხისმგებლობების სტრუქტურა, სამართლებრივი საფუძველი;

III.4. კვალიფიკაციების ტიპები;

III.5. სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა;

III.6. მატრიცა და შესაბამისობა :



- III.6.1. HuQF-ის დიზაინი;
 - III.6.2. HuQF-ის დონეების შესაბამისობა EQF-ის დონეებთან.
- III.7. კვალიფიკაციების დაკავშირება :
- III.7.1. ქვესექტორებს შორის ჰარმონიის უზრუნველყოფა;
 - III.7.2. ზოგად განათლებაში საგანმანათლებლო კვალიფიკაციების დაკავშირება;
 - III.7.3. პროფესიული განათლების კვალიფიკაციების დაკავშირება;
 - III.7.4. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების დაკავშირება;
- III.8. სოციალურ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა;
- III.9. ხარისხის უზრუნველყოფა:
- III.9.1. ზოგადი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
 - III.9.2. ზრდასრულთა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
 - III.9.3. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- III.10. წინარე სწავლის აღიარება (VPL);
- III.11. მდგრადობა და მენეჯმენტი;
- IV. შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება;
- V. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო:
- V.1. კრიტერიუმების დადასტურება;
 - V.2. პროცედურების დადასტურება.
- VI. დანართები:
- VI.1. ილუსტრაცია 12. NVQR-ის დონეები;
 - VI.2. ილუსტრაცია 13. პროფესიული განათლების სფეროები ;
 - VI.3. ილუსტრაცია 14. NVQR-ის მოდიფიკაციის პროცესი ;
 - VI.4. ილუსტრაცია 15. პროფესიული გამოცდის პროცესი;
 - VI.5. ილუსტრაცია 16. ზრდასრულთა ტრენინგის პროცესები ;
 - VI.6. ილუსტრაცია 17. ზრდასრულთა ტრენინგის პროგრამების ლიცენზირება;
 - VI.7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა:
 - VI.7.1. ილუსტრაცია 18. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა (პროფესიული უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა);
 - VI.7.2. ილუსტრაცია 19. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე მხარეები;
- VI.8. უნგრეთის უმაღლესი განათლების აკრედიტაციის კომიტეტის წევრობა ENQA-ში ;
- VI.9. კვალიფიკაციების დაკავშირების მაგალითები:
- VI.9.1. პროფესიული განათლების კვალიფიკაციების დაკავშირების შედეგები
 - VI.9.2. ზოგადი განათლების კვალიფიკაციების დაკავშირების შედეგები
 - VI.9.3. უმაღლესი განათლების შერჩეული კვალიფიკაციების დაკავშირების შედეგები
- VI.10. აღწერის კატეგორიის დამატებითი განმარტება
- VI.11. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოების მოსაზრებები
- VI.11.1. უნგრეთის ეროვნული შრომის ოფისის მოსაზრებიდან ამონარიდი (ნოემბერი 2014)
 - VI.11.2. უნგრეთის აკრედიტაციის კომიტეტის მოსაზრებიდან ამონარიდი (ნოემბერი 2014)



- VI.11.3. უნგრეთის განათლების კვლევისა და განვითარების ინსტიტუტის მოსაზრებიდან ამონარიდი (ნოემბერი 2014)
 - VI.11.4. უნგრეთის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის მოსაზრებიდან ამონარიდი (ნოემბერი 2014)
 - VI.11.5. საგანმანათლებლო ორგანოს მოსაზრებიდან ამონარიდი (ნოემბერი 2014)
- VI.12. საერთაშორისო ექსპერტთა მოსაზრებები
- VI.12.1. ევა ჩმილევას მოსაზრება
 - VI.12.2. ილდიკო პატოკვას მოსაზრება
 - VI.12.3. პატრიკ ვერკენის მოსაზრება
- VI.13. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი: წევრთა სია
- VI.14. ტერმინთა განმარტებები
- VI.15. უნგრეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს მატრიცა
- VI.16. HuQF-ის დონის მიხედვით კვალიფიკაციები
- VI.17. ილუსტრაციების სია
- VI.18. აბრევიატურების სია

6.3 უნგრეთის განათლების სისტემა

უნგრეთის განათლების სისტემა მრავალდონიანია და მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- **სკოლამდელი განათლება:** 3 წლიდან სავალდებულოა და ემსახურება ბავშვების სოციალური, კოგნიტიური და მოტორული უნარების განვითარებას.
- **სავალდებულო სასკოლო/საყოველთაო განათლება:** მოიცავს დაწყებით (6–10 წელი) და საშუალო საფეხურს (10–16 წელი), რაც ფუნდამენტურ განათლებას უზრუნველყოფს.
- **პროფესიული განათლება:** მოიცავს საშუალო და შემდგომ საფეხურებს, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ სპეციალიზაციებს (პროგრამებს) აერთიანებს.
- **უმაღლესი განათლება:** უნივერსიტეტები და კოლეჯები სთავაზობენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და მოკლე ციკლის პროგრამებს.

6.3.1 ასაკობრივი განაწილება და სპეციფიკაციები

1. საბავშვო ბაღი და მისი როლი:

- საბავშვო ბაღში სწავლა იწყება 3 წლიდან და გრძელდება სკოლაში შესვლამდე.



- კანონის მიხედვით, ბაღში შესაძლოა, მიიღონ ბავშვები, რომლებიც 3 წლის გახდებიან მიღებიდან 6 თვის განმავლობაში, თუ თავისუფალი ადგილებია.
- 5 წლიდან ბავშვებს აქვთ ვალდებულება, დღეში 4 საათი მაინც დაესწრონ საბავშვო ბაღის განათლებას.
- 2014 წლიდან საბავშვო ბაღი 3 წლიდან სავალდებულოა, მაგრამ მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ განთავისუფლება.

2. სავალდებულო სასკოლო ასაკი:

- 6-დან 16 წლამდე ბავშვებისთვის სწავლა სავალდებულოა.
- 6 წლის 31 აგვისტომდე ვინც ხდება, ის სექტემბერში იწყებს სკოლას.
- შესაძლებელია, სწავლა 1 წლით გადაიდოს, თუ ბაღის პერსონალი მიიჩნევს, რომ ბავშვი სკოლისთვის მზად არ არის.
- მშობლებს შეუძლიათ, მოითხოვონ სკოლის დაწყება 6 წლამდე, თუ ბავშვის განვითარება ამის საშუალებას იძლევა.

3. სკოლების სტრუქტურა:

- დაწყებითი განათლება: 1-დან 4 კლასამდე.
- ქვედა საშუალო განათლება: 5-დან 8 კლასამდე.
- ზოგიერთი სკოლა ასევე გვთავაზობს გაერთიანებულ პროგრამებს, რომლებიც მოიცავს 5-დან 12 ან 7-დან 12 კლასამდე.
- 8 კლასის წარმატებით დასრულება იძლევა პირველადი განათლების კვალიფიკაციას.

4. საშუალო განათლება და კარიერული მიმართულებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, გააგრძელონ სწავლა ზოგად საშუალო სკოლებში, პროფესიულ საშუალო სკოლებში ან პროფესიულ სასწავლებლებში.
- საშუალო სკოლაში შესასვლელი გამოცდები ცენტრალიზებულად იმართება.
- თუ მოსწავლე ვერ ჩაირიცხა ან ვერ დაასრულა მე-8 კლასი, მათთვის არსებობს "Bridge Programme" (ეგ. წ „ხიდი პროგრამები“), რომელიც 1 წელი გრძელდება და ამზადებს პროფესიული განათლებისთვის.
- ზოგადი საშუალო სკოლა, როგორც წესი, 4 წელი გრძელდება და ამზადებს უნივერსიტეტისთვის.
- სკოლადამთავრებულებს შეუძლიათ უმაღლესი განათლების ან პროფესიული პროგრამების არჩევა.

6.3.2 სისტემის მახასიათებლები და კრიტიკული ასპექტები

- **მოქნილი სტრუქტურა:** ბავშვებს აქვთ სკოლაში ადრე ან გვიან შესვლის შესაძლებლობა, რაც მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას უწყობს ხელს.
- **სავალდებულო განათლება:** უზრუნველყოფს მინიმალურ განათლების დონეს 16 წლამდე



- **ალტერნატიული გზები:** თუ მოსწავლე ვერ გადის სტანდარტულ სისტემაში, მას შეუძლია "Bridge Programme"-ში ჩართვა.
- **ცენტრალიზებული გამოცდები:** შესაძლოა, გაზარდოს კონკურენცია და ზეწოლა მოსწავლეებზე.
- **სავალდებულო საბავშვო ბაღი:** მშობლების მხრიდან შეიძლება, არსებობდეს წინააღმდეგობა, თუმცა გათვალისწინებულია გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობა.

6.3.3 პროფესიული საშუალო სკოლები

- მოიცავს 9-დან 12 კლასამდე განათლებას;
- სტუდენტები იღებენ ზოგად, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას პროფესიულ სფეროში;
- აბარებენ საშუალო სკოლის დამამთავრებელ გამოცდას, რომელიც მოიცავს ოთხი ზოგადი საგნისა და ერთი პროფესიული საგნის გამოცდას;
- ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ, გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა თავად ეს სერტიფიკატი პროფესიულ კვალიფიკაციას არ იძლევა;
- 12 კლასის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ, გააგრძელონ სწავლა პროფესიულ არაუმაღლეს (non-tertiary) განათლებაში (13 კლასიდან), რაც ამზადებს მათ პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად (NVQR - National Vocational Qualifications Register);
- ზოგიერთ პროგრამას სჭირდება საშუალო სკოლის ატესტატი, ზოგიერთი კი მხოლოდ პროფესიული საშუალო სკოლის დასრულებას მოითხოვს.

6.3.4 პროფესიული სკოლები (Vocational Schools)

- მოიცავს მე-9 და მე-10 კლასებში ზოგად და წინასაბაზისო პროფესიულ განათლებას;
- მე-11 და მე-12 კლასებში კი სტუდენტები იღებენ პროფესიულ მომზადებას;
- 2012 წლის შემდეგ ეს მოდელი გაუქმდა და 2013 წლიდან პროფესიული სკოლები სამწლიანი გახდა და სწავლება მე-9 კლასიდან იწყება;
- ყველა პროფესიული კვალიფიკაცია რეგულირდება NVQR-ის (ეროვნული პროფესიული კვალიფიკაციის რეესტრი) მიერ.



6.3.5 განათლების პროფილის/მიმართულების შეცვლის მოქნილობა

- კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ სტუდენტებმა შეცვალონ თავიანთი განათლების კურსი;
- პროფესიული სკოლის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ, გააგრძელონ სწავლა პროფესიულ საშუალო სკოლებში, რათა ჩააბარონ საშუალო სკოლის დამამთავრებელი გამოცდა;
- ზოგადი განათლების მქონე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ პროფესიული კვალიფიკაციის მიღება დამატებითი ერთი წლის განმავლობაში.

6.3.6 უმაღლესი განათლება

- უნივერსიტეტები და კოლეჯები გვთავაზობენ:
 - საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს;
 - ერთსაფეხურიანი/ინტეგრირებულ პროგრამების— მაგალითად, მედიცინა, არქიტექტურა, სამართალი, ვეტერინარია, ხელოვნება, მუსიკა და მასწავლებლობის გარკვეული მიმართულებები;
- პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები არ იძლევა უმაღლესი განათლების ხარისხს, თუმცა 30-120 ECTS კრედიტის აღიარება შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამებში;
- უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა შესაძლებელია სრული განაკვეთით, ნახევარ განაკვეთზე ან დისტანციურად;
- მაგისტრის პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებელია სპეციალიზებული კურსების გავლა ან დოქტორანტურის (Ph.D, DLA, ISCED 864) პროგრამებში ჩართვა.

6.3.7 სპეციალური პროგრამები

ეს ნაწილი აღწერს **მეორე შანსის (Second Chance) და ზრდასრულთა განათლების (Adult Education) პროგრამებს**, რომლებიც მიზნად ისახავს იმ პირების მხარდაჭერას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო გამოეთიშნენ განათლების სისტემას ან სურთ უკეთესი კვალიფიკაციის მიღება.




6.3.8 მეორე შანსის პროგრამები

- განკუთვნილია მოსწავლეებისთვის, რომლებმაც ვერ დაასრულეს საბაზისო განათლება ან არ მიიღეს საკმარისი ქულები, რათა შეეძლოთ საშუალო განათლების გაგრძელება.
- ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა ხიდი პროგრამა, რომელიც:
 - საბაზისო განათლების არმქონე სტუდენტებს ამზადებს საშუალო განათლებისთვის.
 - უზრუნველყოფს მიზანმიმართულ განვითარებას, რაც მათ საშუალებას აძლევს, კვლავ ჩაერთონ განათლების სისტემაში.

6.3.9 ზრდასრულთა განათლების პროგრამები

- უზრუნველყოფს ნახევარ განაკვეთზე განათლებას ზრდასრულებისთვის, რომლებიც:
 - არ არიან საბაზისო განათლების კურსდამთავრებულები;
 - სურთ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიღება (მაგალითად, საშუალო განათლების ან პროფესიული სერტიფიკატის მიღება).
- ამ პროგრამებში შედის:
 - წერა-კითხვის პროგრამები – საბაზისო განათლების (დაბალი საშუალო განათლების) მისაღებად;
 - საშუალო განათლების მოსამზადებელი პროგრამები – ზოგადი საშუალო სკოლისთვის, პროფესიული საშუალო სკოლისთვის ან პროფესიული სასწავლებლისთვის;
 - საშუალო სკოლის დამამთავრებელი გამოცდისა და პროფესიული გამოცდის მოსამზადებელი კურსები – მონაწილეები სწავლობენ იმავე პირობებით, როგორც რეგულარული სტუდენტები.

სქემა: უნგრეთის ფორმალური განათლება



NB: ISCED-P 2011.
Source: Cedefop and ReferNet Hungary, 2019.



6.4 სწავლის შედეგების აღწერა

6.4.1 ძირითადი ორიენტირები

სწავლის შედეგების აღწერა: HuQF-ში სწავლის შედეგები განისაზღვრება ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მიხედვით.

- **ზოგადი განათლება:** მოსწავლეები იღებენ ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შემდგომი სწავლისა და კარიერის საფუძველს ქმნის.
- **პროფესიული განათლება:** სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შრომის ბაზარს.
- **უმაღლესი განათლება:** სტუდენტები ავითარებენ კვლევით უნარებს, კრიტიკულ აზროვნებასა და დამოუკიდებლად მუშაობის კომპეტენციებს.

ზოგადი განათლების სისტემაში ძირითადი მახასიათებლებია: კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრა, საგანმანათლებლო მიზნებისა და დავალებების მკაფიო ფორმულირება, ასევე სასწავლო შედეგების გათვალისწინება.

1. კომპეტენციაზე ორიენტაცია:

- ეროვნული კურიკულუმის ცვლილებები, განსაკუთრებით 2003 და 2006 წლებში, ნათლად ასახავს სასწავლო სისტემაში პროცესის კონტროლის გადანაცვლებას კომპეტენციის განვითარებისკენ. ეს ნიშნავს, რომ განათლების პოლიტიკა აღიარებს ცოდნის მიღმა სწავლების სხვა კომპონენტებს, როგორებიცაა უნარები და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია XXI საუკუნის მოთხოვნებისთვის.
- სწავლა-დასწავლების პროცესში სასწავლო შედეგების შეფასება და სწავლის მიზნების გათვალისწინება ხელს უწყობს მეტად შედეგზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას.

2. პროფესიული განათლება:

- პროფესიული განათლების სისტემაში სასწავლო შედეგების შეფასება ეყრდნობა არა მხოლოდ ფორმალურ განათლებას, არამედ არაოფიციალურ და არაფორმალურ სწავლასაც. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად შრომის ბაზარზე ადამიანები, რომლებმაც არ დასრულეს ფორმალური განათლების კურსები, მაინც ფლობენ საჭირო კომპეტენციებს, რომლებიც მათთვის სასარგებლოა.



- პროფესიული და გამოცდილების მოთხოვნები მოიცავს არა მხოლოდ შედეგების აღიარებას, არამედ ყველა შესაძლო ვარიანტს, თუ როგორ შეიძლება, სტუდენტმა დაამტკიცოს თავისი კომპეტენცია, რაც უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ პროფესიული განათლება იყოს მისაღები და ადაპტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

3. განათლების რეფორმები:

- დუბლინის დესკრიპტორების გამოყენება და შედეგზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვით მნიშვნელოვნად შეიცვალა რეგულაციების შინაარსი. თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ, მიუხედავად ამ სიახლის დანერგვისა, შედეგზე ორიენტირებული მიდგომა ჯერ კიდევ მორგებულია მხოლოდ მცირე ჯგუფს - იმ პროფესორებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამების მართვაზე.
- ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა არის, რომ სწავლის შედეგები სრულად არ არის დანერგილი ყველა დონეზე.

4. მასწავლებლის კვალიფიკაციის რეგულირება:

- მასწავლებელთა კვალიფიკაციები განიხილება არა მხოლოდ ფუნდამენტური ცოდნის, არამედ სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და პროფესიული განვითარების კონტექსტში. ეს ასახავს იმას, რომ მასწავლებლების უნარები უნდა იყოს მუდმივად განახლებული და მზად იყვნენ ახალი მიდგომების დანერგვისთვის.

6.5 ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს პროცესების მონიტორინგს, შეფასებას და ანგარიშგებას:

- **უმაღლესი განათლება:** პასუხისმგებელია უნგრეთის აკრედიტაციის კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.
- **პროფესიული განათლება:** ხარისხის მართვის პროცესებს ხელმძღვანელობს ცენტრალური სააგენტო, რომელიც ასრულებს რეგულარულ შეფასებებს.



6.5.1 ძირითადი პუნქტები

- **ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები:** დოკუმენტი გამოკვეთს, რომ HuQF-ის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებს.
- **ინსტიტუციური ჩარჩო:** განხილულია სხვადასხვა ინსტიტუტების როლი, როგორცაა უნგრეთის აკრედიტაციის კომიტეტი (HAC) და განათლების ორგანო, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე.
- **პროცესები და მექანიზმები:** დეტალურადაა აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, მათ შორის, აკრედიტაციის, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვალიფიკაციების შესაბამისობას HuQF-ის დონეებთან.
- **EQF-თან შესაბამისობა:** დოკუმენტი აღნიშნავს, რომ HuQF-ის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შეესაბამება EQF-ის კრიტერიუმებს და რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებას და მობილობას.

6.5.2 ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები

- **გამჭვირვალობა:** კვალიფიკაციების მინიჭების პროცესები და პროცედურები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და გასაგები.
- **ანგარიშვალდებულება:** ყველა აქტორი (განათლების ინსტიტუტები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები) პასუხისმგებელი უნდა იყოს საკუთარ როლზე.
- **უწყვეტი გაუმჯობესება:** ხარისხი უნდა იყოს გაუმჯობესების პროცესზე ორიენტირებული.

6.5.3 ინსტიტუციური ჩარჩო

HuQF-ის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორგანიზებულია, როგორც ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩო. ამ ჩარჩოს ნაწილი არის:

- **Hungarian Accreditation Committee (HAC):** რომელიც აკრედიტაციას უწევს განათლების დაწესებულებებს.
- **განათლების სამინისტრო** - მისი როლია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავება.



აკრედიტაციის ეს პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ განათლების პროგრამები აკმაყოფილებენ ეროვნულ სტანდარტებს.

შეფასება მიზნად ისახავს კურსებისა და პროგრამების შეფასება, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი სწავლის შედეგებს ზუსტად აღწერენ და ხელს უწყობენ კვალიფიკაციის მიღწევას.

მონიტორინგი: მუდმივი დაკვირვება და შეფასება იმისთვის, რომ არ დაეცეს ხარისხი და პროგრამები მუდმივად აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს.

HuQF-ის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შეესაბამება European Qualifications Framework (EQF)-ის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების ადვილად აღიარებას და შესადარობას სხვა ქვეყნებში.

6.5.4 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროში

ეს განყოფილება აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს, რომლებიც გამოიყენება ზოგად და პროფესიულ განათლებაში.

- **ზოგადი განათლება:** აქ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია, უზრუნველყოს მომავალი თაობებისათვის მიღებული განათლება შესაბამისია ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების.
- **პროფესიული განათლება:** ის გულისხმობს მასშტაბურ შეფასებებსა და რეგულაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.
- სხვადასხვა ორგანო, მაგალითად, პროგრამების აკრედიტაცია და დამსაქმებლების კომიტეტები მუშაობენ ამ სისტემებში.

6.5.5 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ზრდასრულთა განათლების სფეროში

- **ზრდასრულთა განათლება** ცალკე სფეროა, სადაც სისტემა გათვალისწინებულია ინდივიდუალური და პროფესიული განვითარების საჭიროებებს;



- პროგრამები და განათლების სტანდარტები მუდმივად ახლდება, რომლებიც უზრუნველყოფენ მიღებული ცოდნის ხარისხის შეფასებას;
- ხშირად იქმნება პარტნიორული სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორების თანამშრომლობას.

6.5.6 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უმაღლესი განათლების საფეხურზე

- უმაღლესი განათლების საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უფრო სიღრმისეული და კომპლექსური ხდება.
- აქაც აქტიურად ხდება აკრედიტაცია, ამასთან ერთად ყურადღება გამახვილებულია თანამშრომლობაზე საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სადაც ხორციელდება სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლა, კურსების დაგეგმვა და შეფასება.
- გუნდური მუშაობა, გამჭვირვალე შეფასების პროცესები და უწყვეტი ინოვაციების დანერგვა იკავებს მნიშვნელოვან ადგილს.

6.6 კვალიფიკაციის დონეების შესაბამისობა მეტა ჩარჩოებთან

6.6.1 HuQF და EQF შედარებითი ანალიზი

უნგრეთის კვალიფიკაციების ჩარჩოსა (HuQF) და ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) შორის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად ზოგადი თანხვედრისა, არსებობს გარკვეული კონცეპტუალური და სტრუქტურული განსხვავებები. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები:

ორივე ჩარჩო იყენებს იერარქიულ და აკუმულაციურ მიდგომას, რაც ნიშნავს, რომ თითოეული დონე მოიცავს წინა დონის კომპეტენციებს, თუმცა უფრო დიდი სიღრმითა და სირთულით.

HuQF-ის შემთხვევაში:

- ქვედა დონის დესკრიპტორები შედის ზედა დონის კომპეტენციებში გამეორების გარეშე.



- ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების აღწერისას განისაზღვრება მათი განვითარების გზები.

EQF-თან შედარებით, HuQF-მა შეიმუშავა უფრო კომპლექსური მიდგომა, რაც განაპირობებს მეტ სიზუსტეს, მაგრამ გარკვეულწილად არათანმიმდევრულ ტერმინოლოგიას.

HuQF კომპეტენციების აღწერისას ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

- **ცოდნა:** ცოდნის სიღრმე, ორგანიზაცია, არეალი, მოქნილობა და ფორმირებადობა.
- **უნარები:** მოიცავს მოტორულ, სფეროსთან ზოგად კოგნიტურ და სფეროს პეციფიკურ კოგნიტურ უნარებს.
- **დამოკიდებულება (Attitudes):** HuQF ამ კომპონენტს უფრო დეტალურად განიხილავს, ვიდრე EQF, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების უფრო სიღრმისეულ აღწერას.
- **ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა:** ყურადღებას ამახვილებს ინდივიდის სოციალური ჩართულობის დონესა და დამოუკიდებლობის ხარისხზე.

EQF-ისგან განსხვავებით, HuQF-ს აქვს დამატებითი კომპონენტი – „დამოკიდებულება“, რაც ზოგადად არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ჩარჩოებში.

მაგალითისთვის აღწერილია უნგრეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონე:

ცოდნა

- იცის თავისი სამუშაო ან სასწავლო სფეროს ფუნდამენტური, ყოვლისმომცველი ფაქტები, ტენდენციები და შეზღუდვები.
- იცის თავისი სასწავლო ან სამუშაო სფეროს ძირითადი კავშირები, თეორიები და ტერმინოლოგია.
- იცის ცოდნის მიღებისა და თავისი სპეციალობის პრობლემების გადაჭრის ფუნდამენტური მეთოდები.

უნარები

- შეუძლია, განახორციელოს სამუშაო ან სასწავლო სფეროს ცოდნის საფუძვლად მყოფი ცნებების ელემენტარული ანალიზი, გამოკვეთოს კავშირები და გააკეთოს სათანადო შეფასებები.
- ფლობს დამოუკიდებლად სწავლისთვის საჭირო უნარებს.
- შეუძლია, ამოიცნოს თავის სფეროში ხშირად განმეორებადი პრობლემები, გამოიკვლიოს მათი გადაჭრისთვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები და გადაჭრას ისინი სტანდარტული პროცედურების გამოყენებით.
- შეუძლია, გამოიყენოს და გაიგოს თავისი პროფესიის ლიტერატურა, მისი ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წყაროები.
- შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.
- შეუძლია სხვადასხვა რესურსის მართვა.
- შეუძლია, გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა სამუშაო ადგილის მრავალფეროვანი მოლოდინების შესაბამისად.



დამოკიდებულებები

- იცის, იღებს და გულწრფელად ახორციელებს თავისი სამუშაოს სოციალურ ფუნქციასა და მის კავშირს გარე სამყაროსთან.
- მზადაა, გაავრცელოს თავისი პროფესიის ზოგადი აზროვნების წესი და პრაქტიკული ფუნქციონირების ძირითადი მახასიათებლები.
- ისწრაფვის უწყვეტი თვითგანათლებისკენ.

ავტონომია და პასუხისმგებლობა

- შეუძლია, დამოუკიდებლად გაიაზროს თავისი პროფესიის ყოვლისმომცველი, ფუნდამენტური საკითხები და გადაწყვიტოს ისინი მოცემული წყაროების გამოყენებით.
- პასუხისმგებლობით ახორციელებს პროფესიის ფუნდამენტური პრინციპების კომუნიკაციას.
- თანამშრომლობს და პასუხისმგებლობით იქცევა თავისი სფეროს პროფესიონალებთან.
- შეგნებულად იღებს თავისი პროფესიის ეთიკურ სტანდარტებს.

EQF0-თან შედარებით HuQF უფრო დაბალ დონეებზე მოითხოვს:

- ავტონომიას, კრეატიულობასა და ინოვაციურ უნარებს, რაც EQF-ში გვხვდება უფრო მაღალ დონეებზე.
- აბსტრაქტული ცნებების ცოდნასა და აბსტრაგირების უნარს უფრო ადრეულ ეტაპზე.
- თანასწორ თანამშრომლობასა და დამოუკიდებელი ამოცანების შესრულებას მაღალ დონეებზე უფრო მკაფიოდ.

მეორე მხრივ, EQF უკეთესად აყალიბებს მმართველობითი და გადაწყვეტილების მიღების უნარებს, განსაკუთრებით უფრო მაღალ დონეებზე.

HuQF-ის პირველ სამ დონეს EQF-ის შესაბამის დონეებთან შედარებით უფრო მაღალი დონის მოთხოვნები აქვს.

- **Level 1:** HuQF არ უზრუნველყოფს სახელმწიფო აღიარებულ კვალიფიკაციას ამ დონეზე, თუმცა ის დაახლოებით ექვემდებარება EQF-ის Level 2-ს.
- **Level 2-3:** HuQF-ის ეს დონეები EQF-ის შესაბამის დონეებზე მეტ კომპეტენციებს მოითხოვს, თუმცა რეგულაციურ დოკუმენტებში ეს არ აისახება.
- **Level 4:** პრაქტიკულად იდენტურია EQF Level 4-ს.
- **Level 5-6:** HuQF-ის დესკრიპტორები არ შეიცავს ყველა იმ კომპეტენციას, რაც EQF-ს აქვს ამ დონეებზე, მაგრამ საერთო ჯამში დონის შესაბამისობა დადასტურებულია.
- **Level 7-8:** ორი ჩარჩო ერთმანეთთან სრულად თანხვედრაშია.


HuQF-ის დონის აღწერები ზოგჯერ არ ემთხვევა პრაქტიკულ შედეგებს.



- **Level 2-3-ზე რეგულაციური დოკუმენტები სწავლების შედეგებს ზედმეტად აფასებენ,** რაც პრაქტიკაში სტუდენტების რეალურ მიღწევებს არ შეესაბამება (მაგ., PISA, PIRLS, TIMMS კვლევების მიხედვით).
- **მომავალში იგეგმება სწავლების შედეგების გადახედვა,** რათა დოკუმენტური მოთხოვნები რეალობასთან უფრო ახლოს იყოს.

სქემა:

6.6.2 კვალიფიკაციები HuQF დონეებზე



ზოგადი განათლება და კვალიფიკაციები

- საბაზისო განათლება (8 კლასის დასრულება);
- საშუალო განათლება (სკოლის ატესტატი, 12 კლასი);
- საშუალო სკოლის დამამთავრებელი/გამოსაშვები გამოცდა (Matura) – საჭიროა უმაღლესი განათლებისთვის.



პროფესიული განათლება და კვალიფიკაციები (VET, NVQR)

- NVQR (National Vocational Qualifications Register) – რეგულირებული პროფესიული კვალიფიკაციები.
- პროფესიული კვალიფიკაციები განსხვავდება მათი გამოყენების მასშტაბით:
 - სპეციფიკური (მაგ., მექანიკოსი, მოლარე, პარკის მოვლა);
 - კომპლექსური (მაგ., სატყეო და ველური ბუნების მენეჯმენტი).
- კვალიფიკაციები იყოფა:
 - ნაწილობრივი კვალიფიკაცია (სკოლაში და არაფორმალურ განათლებაში);
 - სრული კვალიფიკაცია (ყველა საჭირო მოდულის დასრულების შემდეგ);
 - დამატებითი კვალიფიკაცია (მიმართულების გაფართოება არსებული კვალიფიკაციაზე).

უმაღლესი განათლება და კვალიფიკაციები

- ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორანტურა (PhD, DLA – ISCED 864)
- ერთსაფეხურიანი პროგრამები (მაგ., მედიცინა, სამართალი, არქიტექტურა)
- სამაგისტრო და სერტიფიცირების პროგრამები
- HuQF უკვე მოიცავს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს, ხოლო სექტორული და სპეციალური ტრენინგები შემდგომ ეტაპზე იქნება ინტეგრირებული

მეორე მანის პროგრამები/ხიდი პროგრამები

- **ხიდი პროგრამა I** – სკოლის არდამთავრებულებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მომზადება საშუალო განათლებისთვის
- **ხიდი პროგრამა II** – მათთვის, ვისაც არ აქვს საბაზისო განათლება, მაგრამ მინიმუმ 6 კლასი აქვს დასრულებული

განსხვავებული დონეები და პროგრამები

HuQF მოიცავს ისეთ სპეციალურ დონეებს და პროგრამებს, რომლებიც განსხვავდება სტანდარტული EQF-ისგან:

- სკოლამდელი განათლება: EQF-ის პირველ დონეს შეესაბამება და წარმოადგენს უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ეტაპს.
- დიპლომის შემდგომი პროგრამები: მოკლე ციკლის კურსები, რომლებიც ფოკუსირებულია პროფესიულ განვითარებაზე და მოიცავს 60 კრედიტს.



- ინტეგრირებული პროგრამები: მაგალითად, მედიცინისა და იურიდიულ სფეროებში ერთსაფეხურიანი კურსები, რომლებიც ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას აერთიანებს.
- პროფესიული ტრენინგი: მოკლე ციკლის პროგრამები, რომლებიც ეხმარება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დამსაქმებლების საჭიროებებს.

6.7 არაფორმალური განათლების აღიარება

- დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგულირებული კვალიფიკაციებია HuQF-სთან დაკავშირებული;
- გეგმაშია არაფორმალური და კომპანიის შიდა ტრენინგების აღიარება მომავალში;
- გრძელვადიანი ხედვა – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;
- არაფორმალური და ინფორმალური სწავლის აღიარება ჯერ არ არის სრულად დანერგილი.

6.8 უნგრეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გამოწვევები და სამომავლო გეგმები

უნგრეთის რეფერენსირების პროცესში გამოვლენილია შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- სწავლის შედეგების დახვეწა: საჭიროა დეტალური და გასაგები დეფინიციების შექმნა, რომლებიც უკეთ ასახავს დონეებს.
- EQF-ის დონეებთან შესაბამისობა: HuQF-ის სტრუქტურის გაუმჯობესება, რომ შეესაბამებოდეს EQF-ის სტანდარტებს.
- ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია: ციფრული უნარების განვითარების პროგრამების დანერგვა განათლების ყველა დონეზე.

სამომავლო გეგმებში შედის:

- სწავლის შედეგების უკეთესი ინტეგრაცია: ყველა საგანმანათლებლო დონეზე;
- ეროვნული ჩარჩოს მოდერნიზაცია: ახალი პროგრამების დანერგვა და არსებული სტრუქტურის გაუმჯობესება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება: საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და გაცვლითი პროგრამების გაძლიერება.



6.9 ანგარიშის შესწავლისას გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკა

HuQF-ის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს ყველა ასპექტს, რომლებიც რეფერენსირების პროცესისთვის არის საჭირო. დოკუმენტი აღქმადია, ვინაიდან მასში მრავლად არის მოცემული პროცესების სქემები.

დოკუმენტში მხარე გამოკვეთს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რაც მიუთითებს მათ მზაობაზე, პროცესმა ხელი შეუწყოს შემდგომ განვითარებას

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა წარმოჩენილია სათანადოდ, გამოკვეთილია მათი როლი და მოსაზრებები.